

ზღაპრების როლი ბავშვის მორალურ განვითარებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზღაპრების როლი ბავშვის მორალურ განვითარებაში

ნათია მესტვირიშვილი

ფსიქოლოგიაში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაცია

სადოქტორო პროგრამა: სოციალური, პოლიტიკური და კულტურის ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუიზა არუთინოვი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა

კანდიდატი, თსუ



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეხება ხალხური ზღაპრების გავლენას ბავშვის მორალურ განვითარებაზე. იგი ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში, არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით და ქართული ზღაპრების ინტერპრეტაციული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ზღაპრებს მეტაფორების საშუალებით მნიშვნელოვანი სოციალური და მორალური ფუნქციის შესრულება შეუძლიათ ბავშვის განვითარებაში. ზღაპარში არსებული ვიზუალური ხატები არა მხოლოდ ასახავენ რეალობას, არამედ წარმოადგენენ მეტაფორებს, რომლებიც სწორ არჩევანის გაკეთებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას უწყობენ ხელს. ასეთი მეტაფორები ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე გადასცემენ მნიშვნელოვან მორალურ და ცხოვრებისეულ გაკვეთილებს. ამასთან, ზღაპრები მკითხველს თავს კი არ ახვევენ მორალს, არამედ, ფრთხილად და სწორად წარმოაჩენენ მორალური ქცევის უპირატესობებს.

კვლევის მეორე ნაწილში ბავშვების ნაწერებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ მათ ესმით ზღაპრების მიერ გადაცემული მთავარი აზრი, რომელიც იმ ვიზუალური ხატებით და მეტაფორებით გადაეცემა მათ, რომლებსაც მოცემული ზღაპრები ქმნიან და რომლებიც კვლევის პირველ ნაწილშია გაანალიზებული. ბავშვების მიერ ზღაპრების გაგება იმაზე უფრო ღრმა და მრავალფეროვანია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მათი პასუხები აჩვენებს, რომ ზღაპრების მათეული გაგება გარკვეულწილად განსხვავდება ასაკის მიხედვით და რომ ზღაპარი “პირდაპირ” არასოდესაა გაგებული. თემების წვდომა გაშუალებულია ისეთი ფაქტორებით როგორცაა ბავშვის ასაკი, ცოდნა, გამოცდილება, ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური და მორალური განვითარების დონე და პრობლემები, მისწრაფებები და გამოწვევები, რომელიც კონკრეტულ მომენტში კონკრეტული ბავშვის წინაშე დგას. ზღაპრების თემების წვდომა, გარკვეულწილად, ასახავს ბავშვების მორალური განვითარების დონეს.

ეს ნაშრომი ხაზს უსვამს ზღაპრების ფუნქციების ხელახლა გააზრების საჭიროებას მეტაფორის იდეის გამოყენებით და სახავს ამ მიდგომის თეორიული გამოყენების გზებს მორალური განვითარების დონის შეფასების და მორალური განათლების ახალი შესაძლებლობების აღმოსაჩენად.

სარჩევი

აბსტრაქტი	2
შესავალი	6
1. ლიტერატურის მიმოხილვა	9
1.1. მორალური განვითარება და განათლება	9
1.2. ზღაპრები	15
2. თეორიული ჩარჩო	23
2.1. ბეთელჰაიმის თეორია და მეთოდი	23
2.2. ბეთელჰაიმის მიდგომის შეზღუდვები	26
2.3. სიმბოლო თუ მეტაფორა?	28
3. მეთოდოლოგია	31
4. ზღაპრების ნარატიული ანალიზი	40
4.1. ნაცარქექია	40
4.2. წიქარა	45
4.3. აბესალომ და ეთერი	51
4.4. მიწა თავისას მოითხოვს	60
5. “ნაცარქექიას” და “წიქარას” მკითხველისეული აღქმა	66
5.1. ნაცარქექია	66
5.2. წიქარა	93
დასკვნები	117
გამოყენებული ლიტერატურა	123
დანართი 1	128
კითხვები “ნაცარქექიას” შესახებ	128
კითხვები “წიქარას” შესახებ	130
დანართი 2	133

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც მშობლები უფრო და უფრო ნაკლებ დროს ატარებენ თავიანთ შვილებთან, შეუძლებელია უარვეყოთ მორალური განათლების ეფექტური გზების საჭიროება. უფრო მეტიც, როგორც პიაჟე (1965) მიიჩნევდა, ბავშვების წარმოდგენა სწორზე და არასწორზე, სამართლიანობაზე და უსამართლობაზე არ წარმოადგენს უფროსთა სწავლების პირდაპირ შედეგს. დღემდე არ არსებობს შეთანხმება იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს სწავლების ისეთი ალტერნატიული გზა, რომელიც, ავტორიტარული სწავლებისგან განსხვავებით, საშუალებას მიცემს ბავშვებს გააცნობიერონ მორალური ქცევის უპირატესობები.

მოცემული ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ის გზები, რომლის საშუალებითაც ზღაპრები ასწავლიან ბავშვს და ამით მცირე წვლილი შეიტანოს არსებულ დებატებში ზღაპრების და მათი საგანმანათლებლო ძალის შესახებ. ამოსავალი იდეა არის ის, რომ ზღაპრებს გააჩნიათ განსაკუთრებული ძალა ასწავლონ ბავშვებს ისეთი გზებით, რომლებიც მათთვის დამარწმუნებელი და გასაგებია (Bettelheim, 1976). ნაშრომში პასუხი გაეცემა სამ ძირითად კითხვას: 1. როგორ შეუძლიათ ზღაპარში წარმოდგენილ დაუჯერებელ და შეუძლებელ მოვლენებს ასახონ რეალობა და გადმოგვცენ ამ რეალობის შესახებ ღირებული გაკვეთილი? 2. რითი განსხვავდება ზღაპრის გავლენა უბრალო მითითებისგან იმის შესახებ თუ რა არის სწორი და არასწორი? 3. როგორ ესმით ბავშვებს ზღაპრის ძირითადი გზავნილები?

ზღაპრების საგანმანათლებლო ძალის წარმოსაჩენად გამოყენებული იქნება მეტაფორის ცნება. ოთხი ცნობილი ქართული ზღაპრის ანალიზის საფუძველზე ჩნდება თეორია, რომ ზღაპრების გავლენა შესაძლოა მოდიოდეს მეტაფორებიდან, რომლებსაც ისინი იყენებენ და რომლებიც საშუალებას აძლევს მკითხველს გაანალიზოს ესა თუ ის მოვლენა და გააკეთოს საკუთარი დასკვნები. სწავლების ასეთი გზა წარმოაჩენს მორალური ქცევის უპირატესობას და არ ახვევს მკითხველს თავზე

აბსტრაქტულ მორალურ ღირებულებებს. შესაბამისად ის შეიძლება ჩაითვალოს როგორც ეფექტური და ღირებული პრაქტიკა მორალური განათლების სფეროში.

კვლევის თეორიული ღირებულებაა იმაში მდგომარეობს, რომ ის იმ მცირერიცხოვან კვლევებს მიუკუთვნება, რომლებიც კულტურული რესურსების ფუნქციების შესწავლაზეა მიმართული, არა მხოლოდ მისი შინაარსის ან წარმომავლობის შესწავლაზე. მეორეს მხრივ მოცემული ნაშრომის მიზანია მოკრძალებული წვლილი შეიტანოს მორალური განვითარების თეორიების სრულყოფაში, რომლებიც ხშირად უგულებელყოფენ ნარატივის როლს ბავშვის მორალურ განვითარებაში. კვლევის პირველი ნაწილი პასუხობს კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს ეს ნარატივი, რომ წარმატებულად ასწავლოს ბავშვებს - ასწავლოს არა წესების გაუცნობიერებლად შესრულება, არამედ აზიაროს იმ მორალურ პრინციპებს, საიდანაც ეს წესები გამომდინარეობს. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ადამიანის მორალური განვითარების შეფასების ინსტრუმენტების ნაკლებობას და მათ მიმართ გამოთქმულ კრიტიკას მოცემულ მიდგომას შეუძლია გარკვეულწილად მაინც შეამციროს ეს დეფიციტი.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება კი ისაა, რომ მისი ძირითადი მიგნებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პრაქტიკაში, შეუძლია ეს პრაქტიკა როგორც ფორმალურ (მაგ. ბალი, სკოლა.), ასევე არაფორმალურ ინსტიტუტებში (მაგ. ოჯახი) უფრო ეფექტური გახადოს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კვლევა ზღაპრებზეა ორიენტირებული, ის მიანიშნებს ზოგადად ნარატივის ძალაზე, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვებს იმაზე ეფექტურად ასწავლონ, ვიდრე ეს მშობლების თუ სხვა აღმზრდელების პირდაპირი შეგონებებითაა შესაძლებელი. ნაშრომი ასევე მიუთითებს იმ მახასიათებლებზე, რომელიც ნარატივს ეფექტურს ხდის ბავშვებთან მიმართებაში. ამ მახასიათებლების მხედველობაში მიღებით, განმანათლებლებს შეუძლიათ გააუმჯობესონ პრაქტიკა და ბავშვებზე მორგებული გახადონ ის.

ნაშრომი შედგება შესავლის, 5 ძირითადი ნაწილის და დასკვნებისაგან. პირველი ნაწილი მორალურ განვითარებაზე და ზღაპრებზე არსებული ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას ეთმობა. მეორე ნაწილში განხილულია თეორიული ჩარჩო და წარმოდგენილია მისი კრიტიკული ანალიზი. მესამე თავი კვლევის მეთოდოლოგიის მიმოხილვაა. მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია ოთხი ქართული ზღაპრის ნარატიული ანალიზი. ბოლო, მეხუთე ნაწილი კი წინა ნაწილში გაანალიზებული ორი ზღაპრის ბავშვებისეული აღქმის შესწავლას ეთმობა.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. მორალური განვითარება და განათლება

1.1.1. პიაჟეს თეორია

ფილოსოფოსების და ფსიქოლოგების უმრავლესობა თანხმდება, რომ მორალურობა სწავლებადაა, თუმცა, მათი აზრები იმის შესახებ, თუ რომელია სწავლების ეფექტური გზა, განსხვავებულია ერთმანეთისგან.

ჟან პიაჟე - ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა მორალური განვითარების სფეროში - მიიჩნევდა, რომ ბავშვები მორალური განვითარების ორ ეტაპს გადიან: ჰეტერონომიულს და ავტონომიურს. განვითარების ამ გზაზე ავტორიტეტისადმი მორჩილება წესებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით იცვლება. რა თქმა უნდა, ეს გადასვლა არაა უეცარი და მკაცრად განსაზღვრული, რადგან ის მოითხოვს გარკვეულ მზაობას წესების კრიტიკულად განსჯისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გადასვლა ერთი ეტაპიდან მეორეზე, მოითხოვს მორალური პრინციპების გაგებას წესების მექანიკური დამორჩილების ნაცვლად.

პიაჟე (1965) ამ გადასვლას შემდეგნაირად აღწერს: “რალაც მომენტში ბავშვი ფიქრობს, რომ ტყუილი თავისთავად ცუდია და არ უნდა მოიტყუოს მაშინაც კი როდესაც იცის, რომ ამისთვის არ დაისჯება” (გვ. 194). ის აღიარებს, რომ მიუხედავად იმისა რომ გარკვეული ავტორიტარული შეგონებები გარდაუვალია ყოველდღიურობაში, მათ ბავშვის თვალსაზრისით არანაირი აზრი არ გააჩნიათ (გვ. 175). ავტონომიურ საფეხურზე გადასვლას განსაზღვრავს მსჯელობა და რეციპროკულობა, რომელიც ნიშნავს, რომ: “ერთიერთპატივისცემა საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ ინდივიდმა იგრძნოს შინაგანი სურვილი მოექცეს სხვებს ისე, როგორც უნდა რომ მას თავად მოექცნენ” (Piaget, 1965, გვ. 194).

მსჯელობა მოითხოვს რომ ავტორიტეტული შეგონებები გამყარებული იყოს ბავშვისთვის გასაგები ახსნა-განმარტებით. რადგანაც პიაჟე მიიჩნევდა, რომ ბავშვებს არ აქვთ უნარი ჩანვდნენ წესების და პრინციპების საჭიროებას, ის მიიჩნევდა, რომ “მშობლის გახარება” არის ინსტრუმენტი, რომლითაც ბავშვები მორალურად მისაღებ ქცევებს სწავლობენ. პიაჟეს მოყავს თავისი შვილის მაგალითი: “ჩვენ ყოველთვის ვაჩვენებთ მას თანამშრომლობას: “მიეხმარე დედას”, “გაახარე შენი მშობლები”, “აჩვენე შენს დას” და ა.შ. - მისთვის იყო ის მიზეზები, რის გამოც უნდა შეესრულებინა მითითება და რომელთა თავისთავად გაგებაც არ შეეძლო” (Piaget, 1965 გვ. 175). სავარაუდოდ, რასაც პიაჟე ამ მიზეზებში გულისხმობს არის არა თვითონ წესები, არამედ ის პრინციპები, აზრი ან ღირებულება რაც საფუძვლად უდევს წესებს (Blum & McHugh, 1984, გვ. 124). ბლუმი და მაკჰიუ (1984) ამ აზრს შემდეგნაირად აჯამებენ: “მშობლის გახარების” პრინციპი გულისხმობს: დაეთანხმე რომ ეს სწორია, რადგან მე ვაკეთებ ამას, ვიდრე თავად შეძლებ გადაწყვეტო სწორია თუ არა ის რასაც მე ვაკეთებ” (გვ. 128).

პიაჟეს მთელი თეორია აგებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ ჩანვდნენ განსხვავებას სწორსა და არასწორს შორის, რადგან ისინი შეზღუდულნი არიან კონკრეტულ უნარებში, როგორებიცაა განზოგადების და აბსტრაქციული ცნებების წვდომის უნარი. სწორედ ამიტომ, საჭიროა რომ მათ განივითარონ ინსტრუმენტალური დამოკიდებულება წესებისადმი ანუ ისინი უნდა დაემორჩილონ წესებს თუ უნდათ რომ ასიამოვნონ მშობელს, მაშინაც კი, როდესაც ვერ იგებენ ამ წესის აზრს ანუ პრინციპს. მიუხედავად იმისა რომ პირველი დებულება ბავშვების კოგნიტური უნარების შეზღუდულობის შესახებ ფაქტია, სადავოა “მშობლების გახარება” წარმოადგენს თუ არა ბავშვებისთვის სწავლების ერთადერთ და ეფექტურ გზას. მაგალითად, რაფელი (2004) მიიჩნევს რომ მიუხედავად იმის, რომ ეს სტრატეგია შეიძლება ეფექტური იყოს ცუდი ქცევების პრევენციისთვის, ის ბავშვებს წესებისადმი მორჩილებას მცდარი მიზეზის - მშობლების გახარების გამო ასწავლის.

ამგვარად, არსებობს იმისი საჭიროება, რომ განვითაროთ ან აღმოვაჩინოთ კომუნიკაციის ისეთი ფორმები, რომელიც ბავშვების განვითარების დონის გათვალისწინებით შეძლებს მათში მორალური მსჯელობას წახალისებას. რაფელს (2004) შემოაქვს ბლუმის და მაკჰიუს იდეა როგორც ალტერნატიული სწავლების გზა: “შეიძლება ბავშვები პირდაპირ ვერ იგებენ მორალურ პრინციპებს, მაგრამ მაინც შესაძლებელია ისეთი გზების პოვნა რომელიც ამ პრინციპებს არაპირდაპირ გადასცემენ ბავშვებს - ისეთი ფენომენის საშუალებით, რომლის გაგებაც მათ შეუძლიათ ანუ მოთხრობების საშუალებით” (გვ. 127). სწორედ ეს იდეა დაედო საფუძვლად მოცემულ ნაშრომს, რომელიც იკვლევს ზღაპრების როლს ბავშვის მორალურ განვითარებაში.

1.1.2. კოლბერგის თეორია

80-იან წლებში ლორენს კოლბერგმა განავრცო პიაჟეს მიერ შემუშავებული მორალის განვითარების სტადიები. კვლევის საფუძველზე მან მორალური მსჯელობის 6 საფეხური გამოყო, რომლებიც 3 სტადიად გააერთიანა. ყოველი საფეხური მორალის საკითხებისადმი ხარისხობრივად განსხვავებულ მსჯელობებს ასახავს.

პრეკონვენციონალური სტადია ძირითადად ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი. ამ სტადიაზე მყოფი ადამიანი ქცევის ზნეობრიობის შესახებ უშუალოდ ქცევის შედეგებიდან გამომდინარე მსჯელობას.

კონვენციონალური სტადია ზოგადად მოზარდებისა და მოზრდილებისათვის არის დამახასიათებელი. ამ სტადიაზე მყოფი ინდივიდები ქცევის ზნეობრივობაზე იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ რამდენად შეეფერება ეს ქცევა საზოგადოებრივ შეხედულებებსა და მოლოდინებს.

პოსტკონვენციონალურ სტადიაზე ინდივიდის პერსპექტივა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდების

მორალური მსჯელობა წესებისა და ნორმების პრინციპებს ეყრდნობა, ისინი უარყოფენ ამ წესებისა და ნორმების ერთგვაროვან გამოყენებას ნებისმიერ სიტუაციაში.

პირველი საფეხური – ორიენტაცია დასჯის არიდებასა და მორჩილებაზე – ფოკუსირებულია წესის დარღვევის და დასჯის თავიდან არიდებაზე. ადამიანი ცდილობს აიცილოს დასჯა და მიაჩნია, რომ ვინც ძლიერია, მართალიც ის არის. ეს საფეხური პიაჟეს მიერ გამოყოფილი პირველი საფეხურის მსგავსად ეგოცენტრიზმით ხასიათდება.

მეორე საფეხურზე, რომელსაც ჰედონისტურს ან ინსტრუმენტულ-რელატივისტურს უწოდებენ, ჩნდება მორალური რეციპროკულობა. ეს საფეხური ორიენტირებულია ქცევის პრაგმატულ ღირებულებაზე. მორალურ ქცევას პირადი ინტერესები განსაზღვრავს. ამ საფეხურზე მყოფი ადამიანი ცდილობს ჯერ საკუთარი სურვილები დაიკმაყოფილოს და მერე სხვების ინტერესებზეც იფიქროს. „სხვების“ მიმართ ინტერესი იზრდება, თუმცა ამას საფუძვლად უდევს პრაგმატულობა და არა სამართლიანობა ან ლოიალობა.

მესამე საფეხურია ინტერპერსონალური შეთანხმება, როდესაც ქცევის მორალურობას განსაზღვრავს სხვა ადამიანის მოლოდინები და სტერეოტიპული როლები. ამ საფეხურზე მყოფი ადამიანი ცდილობს გაამართლოს სხვათა მოლოდინები, რათა კარგი გამოჩნდეს მათ და საკუთარ თვალში, და ქცევის შესახებ მოქმედი პირის განზრახვის გათვალისწინებით მსჯელობს.

მეოთხე საფეხური ხასიათდება საზოგადოებაზე და სოციალური წესრიგის შენარჩუნებაზე ორიენტაციით. ქცევის სისწორის შესახებ მსჯელობა ხდება იმ წესებისა და ნორმების ტერმინებში, რომლებიც დადგენილია ფართო სოციალური სისტემის მიერ. ინდივიდი მსჯელობს საზოგადოების წევრის პოზიციიდან გამომდინარე და სწორ ქცევად არსებული სოციალური სისტემის დაცვას მიიჩნევს.

მეხუთე საფეხურზე მყოფი ადამიანი აცნობიერებს, რომ წესები მხოლოდ სოციალური შეთანხმებაა და მათი დარღვევა შესაძლებელია სიტუაციის მიხედვით – ისეთ შემთხვევებში, თუ ისინი სამართლიანობას და საყოველთაო კეთილდღეობას არ ემსახურებიან. თუმცა, არსებობს ისეთი ძირითადი და გარდაუვალი წესები, როგორებიცაა სიცოცხლის დაცვა და თავისუფლების მხარდაჭერა, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში დაცული უნდა იქნას. ადამიანს უყალიბდება საკუთარი შეხედულება იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა არასწორი, და უპირველეს ყოვლისა, ამ შეხედულების და არა - არსებული კანონებისა და წესების შესაბამისად მოქმედებს.

მეექვსე საფეხური გამოირჩევა უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებზე ორიენტაციით, რომლებიც უფრო ფართო და აბსტრაქტულია, ვიდრე მორალური პრინციპები. ადამიანი თავის თავს იმავე მოთხოვნებს უყენებს, რასაც სხვებს, და აღიარებს ადამიანთა თანასწორობას. ადამიანები იშვიათ შემთხვევებში თუ აღწევენ ამ საფეხურს. რეალურად, მხოლოდ პირველ ხუთ საფეხურთან დაკავშირებით არსებობს შესაბამისი ემპირიული მონაცემები. თავად კოლბერგის ბოლოდროინდელ კვლევებშიც მეხუთე-მეექვსე საფეხურები გაერთიანებულია და, შესაბამისად, საუბარია ხუთსაფეხურიან მოდელზე (Crain, 1985).

კოლბერგის თეორიის თანახმად, მორალი ვითარდება უცვლელი თანმიმდევრობით, თუმცა, ყველამ შეიძლება ვერც მიაღწიოს მორალის განვითარების უმაღლეს საფეხურს ინტელექტუალური სტიმულაციის ნაკლებობის გამო. რეალურად, როგორც აღინიშნა, მხოლოდ პირველმა ხუთმა საფეხურმა მოიპოვა არსებობის დამადასტურებელი ემპირიული მონაცემები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კროსკულტურულმა კვლევებმა დაადასტურა კოლბერგის სტადიების თანმიმდევრობის უნივერსალურობა.

მოცემულ ნაშრომში ბავშვების გამოკითხვის შედეგები განხილულია კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის ჭრილში.

1.2. ზღაპრები

1.2.1 ზღაპართა სტრუქტურა და მოტივები

ბოლო ათასწლეულების განმავლობაში მრავალფეროვანი ლიტერატურა დაგროვდა ზღაპრების და ზოგადად კულტურული რესურსების შესახებ, თუმცა მათი უმრავლესობა ან აღწერიითია ან ზღაპრების კლასიფიკაციას ემსახურება. ასეთი ლიტერატურა აუცილებელი და ინფორმატიულია, თუმცა არაფერს ამბობს ზღაპრების სიღრმისეულ აზრზე და იმ გავლენაზე, რასაც ისინი მკითხველზე ახდენენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი ლიტერატურის მიზანი არაა ზღაპრების ფუნქციების შესწავლა. როგორც გილესპი და ზიტუნი სამართლიანად აღნიშნავენ: “დიდი აქცენტი კეთდება თავად (კულტურულ) რესურსებზე, მათი გამოყენების ცნება კი უგულებელყოფილია” (Gillespie & Zittoun, 2010, გვ. 37).

ევროპული ფოლკლორისტიკა ორ საუკუნეზე მეტი ფოკუსირებული იყო მხოლოდ დასავლურ ევროპულ ფოლკლორზე, ვიდრე ჰ. ი. უთერმა არ განაახლა და განავრცო აარნე-თომფსონის მოტივთა ინდექსი (2004). ესაა ზღაპრების კლასიფიკაცია მოტივების მიხედვით. თითოეული მოტივის აღწერილობა და უნიკალური ნომერი უდავოდ მნიშვნელოვანია იმ თვისებრივი მკვლევარებისთვის, რომლებიც კოდირებას ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას და ზღაპრის სტრუქტურას იკვლევენ. თუმცა, ტექსტის ნაწილების ანალიზი არაა საკმარისი იმ ძირითადი იდეის გასაგებად, რაც თითოეული ზღაპრიდან გამომდინარეობს და შეიძლება გავებულ იქნას მხოლოდ ზღაპრის, როგორც მთელის შესწავლით.

ვლადიმირ პროპმა 100 რუსული ზღაპრის ანალიზის საფუძველზე დაასკვნა რომ ყველა ზღაპარს მსგავსი სტრუქტურა აქვს და შედგება ბაზისური, სტაბილური და უცვლელი ელემენტებისგან ანუ ფუნქციებისგან (1968). პროპი ფუნქციას განსაზღვრავს როგორც “ზღაპრის გმირის მოქმედება, რომელიც განისაზღვრება მისი მნიშვნელობით

მოქმედების კურსისთვის” (Propp, 1968, გვ. 21). პროპის მიხედვით, ფუნქციების თანამიმდევრობა ყველა ზღაპარში უცვლელია და მათი რიცხვი შეზღუდულია.

პროპმა გამოყო 31 ფუნქცია, რომლებიც ზღაპრის ოთხ ნაწილადაა დაჯგუფებული. პირველი ნაწილი - შესავალი, რომელიც სიტუაციის და გმირების წარდგენას ემსახურება 7 ფუნქციადაა დაყოფილი. მეორე ნაწილი, რომელიც ზღაპრის ზირითადი ნაწილია და ძირითადად გმირის სახლიდან წასვლით მთავრდება, 4 ფუნქციად იყოფა. მესამე ნაწილის 8 ფუნქცია გმირის მიერ გამოსავლის ძიებას და დამხმარის გამოვლენას ეთმობა. პროპის აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ზღაპარი ამით მთავრდება. სხვები კი იყენებენ შემდგომ 12 ფუნქციას, რომელიც გმირის სახლში დაბრუნებას და ანტიგმირის დასჯას ასახავს. ყველა ზღაპარი ყველა ფუნქციას არ შეიცავს. ზოგჯერ კი ერთი და იგივე ფუნქცია მეორდება ერთსა და იმავე ზღაპარში. თუმცა მთავარი ისაა, რომ თუ ზღაპარი ამ ფუნქციებს შეიცავს, მათი თანამიმდევრობა მიყვება პროპის მიერ განსაზღვრულ თანამიმდევრობას.

პროპის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურა დასტურდება სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრების მაგალითზე და მათ შორის ქართულზეც. თუმცა არსებობს გამონაკლისები, რომლებიც ასეთ სტრუქტურაში არ ჯდება და მაშინ ასეთი ზღაპრები ითვლება იგავებად, მითებად, ლეგენდებად და ა.შ.

1.2.2 ქართული ზღაპრები

ქართულ ზღაპრებზე არსებული ლიტერატურის უმრავლესობა მათ წარმოშობას ან კლასიფიკაციას უფრო ეხება ვიდრე მათ აზრს და/ან მნიშვნელობას. მიხეილ ჩიქოვანი (1952) იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც თქვა რომ ხალხურ ზღაპრებს სოციალური ფუნქცია გააჩნიათ და რეალობას შემოქმედებითად ასახავენ. სამწუხაროდ ზღაპრების ეს მნიშვნელოვანი ასპექტი დღემდე არასაკმარისადაა

შესწავლილი. ქართველი მეცნიერები ძირითადად ზღაპართა აღწერითი ანალიზით ან კატეგორიზაციით შემოიფარგლებიან.

ტრადიციულად, ქართული ზღაპრები სამ ჯგუფად იყოფა: ცხოველთა ზღაპრები, ჯადოსნური ზღაპრები და ნოველისტური ზღაპრები (Kiknadze, 2001; Cholokashvili, 2004). ცხოველთა ზღაპრებში გმირები ცხოველები არიან, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან, მეგობრობენ, ღალატობენ და ა.შ. ჯადოსნური ზღაპრის გმირები გამორჩეულები არიან რიგი ნიშან-თვისებებით. ისინი ხშირად ხელმწიფის ან გლეხის შვილები არიან, თუმცა მაგიური ძალა გააჩნიათ ან წარმატებას მაგიური გზებით აღწევენ. ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟები ძალიან გვანან ჩვეულებრივ ადამიანებს თავისი ინტერესებით, მიზნებით და საქმიანობით. ასეთ ზღაპრებში ბევრი შეგონებაა.

ზღაპართა ეს ჯგუფები ერთმანეთისგან გმირების გარდა იმის მიხედვითაც განსხვავდებიან, თუ რისი მიღწევა სურს გმირს. ცხოველთა ზღაპრის გმირი, საჭმლისთვის იბრძვის, ჯადოსნური ზღაპრის გმირი - საცოლესთვის, ხოლო ნოველისტური ზღაპრის გმირი - ქონებისთვის (Cholokashvili, 2004, გვ. 183). ჩოლოყაშვილის (2004) მიხედვით, ამ ჯგუფებს საერთო სიუჟეტი აქვთ: გმირი მიდის სასურველი მიზნის მისაღწევად, სამჯერ ძლევს წინააღმდეგობას, აღწევს მიზანს და სახლში გამარჯვებული ბრუნდება. მიუხედავად იმის, რომ ასეთი კლასიფიკაცია და სიუჟეტი ბევრ ქართულ ზღაპარს კარგად მიესადაგება, ის ნაკლებ ინფორმაციას გვაძლევს ამ ზღაპრების აზრსა და ფუნქციებზე. უფრო მეტიც, ასეთი სიუჟეტი ყველა ზღაპრისთვის საერთო არაა და ამისი მაგალითია ქვემოთ განხილული “წიქარა”.

1.2.3 ზღაპართა ფუნქციები

ზღაპართა საგანმანათლებლო ფუნქციების განსაზღვრის და მათი მნიშვნელობის/აზრის ჩანვდომის პირველი მცდელობები განხორციელდა ჩესტერტონის, ლუისის და ტოლკიენის მიერ.

ჩესტერტონისთვის ზღაპრებში მთავარია დანაპირების შესრულების იდეა, რაც ბავშვს მორალურობას შთაუწერავს: “იდეა იმის შესახებ რომ მშვიდობა და ბედნიერება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ გარკვეულ პირობებში არის მთავარი ეთიკაში და ზღაპრებში” (Chesterton, 1908, გვ. 256).

ის ასევე ხაზს უსვამს რეციპროკულ დამოკიდებულებას ზღაპრით განცდილ სიხარულსა და მორალურობას შორის:

“ჩვენ მოგვწონს ზღაპრები მათი მორალურობის გამო და მოგვწონს მორალურობა იმის გამო, რომ ის ჯადოსნურ სამყაროში გვაბრუნებს” (Chesterton, 1908, გვ. 258). ეს იდეა ახალ პერსპექტივას გვთავაზობს: სიხარული, რომელიც ზღაპრებს ბავშვებისთვის მოაქვთ განიხილება როგორც მორალურობის შთამწერავი მათში.

ტოლკინი (1988) მიიჩნევდა, რომ “თუ ზღაპრები იმსახურებენ საერთოდ კითხვას, მასინ ისინი იმსახურებენ რომ დაინერონ ზრდასრული ადამიანებისთვის და წაკითხულ იქნან ზრდასრული ადამიანების მიერ” (გვ. 43).

მისი აზრით, ბავშვებისთვის და ზრდასრულებისთვის ზღაპარს აქვს 4 ფუნქცია:

1. ფანტაზია - “ხელოვნების ამალღებული და სუფთა ფორმა, რომელიც არის ყველაზე პოტენციური”. მისი მიღწევა რთულია და მოითხოვს “მეორე სამყაროს” შექმნას, რომელშიც შენარჩუნებულია “შინაგანი კონსისტენტურობა”.

2. საგნების და მოვლენების ახლებურად დანახვა, რომელიც ხშირად გვინარჩუნებს ბავშვურობას.

3. გაქცევა - პრაქტიკული და გმირული. ისევე როგორც პატიმარი არაა ვალდებული იფიქროს მხოლოდ ციხის კედლებზე, მკითხველსაც აქვს უფლება გაცდეს რეალობას.

4. ბედნიერი დასარული - აუცილებელი ყველა ზღაპრისთვის და მათი უმაღლესი ფუნქცია. ესაა “უეცარი გადატრიალება ზღაპარში, რომელიც მკითხველს

ანიჭებს წამიერ და უძლიერეს სიხარულს და სურვილს რომ რელობაშიც ასე ხდებოდეს. ეს შეგრძნება შეიძლება აიხსნას ზღაპრის საფუძვლადმდებარე რეალობის ან ჭეშმარიტების წვდომით” (გვ. 23).

ტოლკიენი ორ მნიშვნელოვან იდეას ანვითარებს. პირველი დაკავშირებულია იმ სურვილთან, რომელსაც ზღაპრები მკითხველში აღძრავენ და ესაა სურვილი იმის, რომ ზღაპარში აღწერილი მოვლენები რეალობაშიც ასე ხდებოდეს. და მეორე ეხება იმას, რომ ზღაპრებში აღწერილი, ხშირ შემთხვევაში დაუჯერებელი მოვლენები, ასახავს რეალობას.

ლუისი (1966) ზღაპრებს მწერლის პერსპექტივიდან აანალიზებს და ფიქრობს, რომ ზღაპრის წარმატება მწერლის მიდგომაზეა დამოკიდებული. ის აკრიტიკებს პროფესიონალურ, ავტორიტარულ დამოკიდებულებას ბავშვებისადმი. ის მიიჩნევს, რომ კარგი ზღაპრები იწერება წარმოდგენის იმ ელემენტებისგან, რომელიც მწერალს და ბავშვებს საერთო აქვთ: “აცადეთ ზღაპარს გიჩვენოთ თავისი მორალი, მაგრამ თუ არ გიჩვენებთ, ნუ ჩადებთ მასში ნურანაირ მორალს” (Lewis, 1966, გვ. 33).

და ბოლოს, ზღაპრები მხოლოდ ბავშვებისთვის არაა. როგორც ლუისი (1966) ამტკიცებს, ზღაპრები გვეხმარებიან შევინარჩუნოთ ბავშური თვისებები - უბრალოება და სამართლიანობის სიყვარული, ისინი გვეხმარებიან იმაში, რომ გავიზარდოთ და არა შევიცვალოთ - ანუ არ დაგვარგოთ ის რაც ბავშვობაში გვექონდა, არამედ დავემატოთ მას ახალი მახასიათებლები.

1.2.4 ფსიქოანალიზი და ზღაპრები

ფსიქოანალიზის წარმომადგენლებმა დიდი წვლილი შეიტანეს ზღაპრის მნიშვნელობის შესწავლაში. იუნგის ნაშრომებიდან აღსანიშნავია მერი-ლუის ვონ ფრანსის ნაშრომები, ხოლო ფროიდიანული სკოლის წარმომადგენლებიდან ზრაპრების ყველაზე სრულყოფილ ანალიზს ბრუნო ბეთელჰაიმი გვთავაზობს.

იუნგის მოსწავლე, მერი-ლუის ვონ ფრანცი (1970) თავის წიგნში “ჯადოსნური ზღაპრების ინტერპრეტაცია” ამბობს, რომ მითები და ჯადოსნური ზღაპრები “ირეკლავენ ფსიქიკის ბაზისურ სტრუქტურას” (44, გვ. 2). მისი აზრით, ჯადოსნური ზღაპრები კოლექტიური არაცნობიერის ყველაზე მარტივი და სუფთა გამოხატულებაა და, შესაბამისად, ადამიანთა ფსიქიკის ყველაზე ზუსტ გაგებას გვთავაზობს. ვონ ფრანცი იზიარებს იუნგის ხედვას იმის თაობაზე, რომ ჯადოსნური ზღაპარი მითებისგან და ლეგენდებისგან კულტურული პატერნების ნაკლები გავლენით ხასიათდება და, შესაბამისად, უკეთ ასახავს ადამიანის ფსიქიკას.

ძირითადი ტერმინები, რომელსაც ვონ ფრანცი ზღაპრებს ინტერპრეტაციისთვის იყენებს, არის “კოლექტიური არაცნობიერი” და “არქეტიპი”. მისი აზრით, ჯადოსნური ზღაპრები არქეტიპებს უნიკალურად სუფთად გადმოგვცემს და ამით სიზმრებს ემსგავსება. ზღაპრების მისეულ ინტერპრეტაციაში ვონ ფრანცი ცდილობს, რომ ზღაპრის ანალიზი ეფუძნებოდეს თავად ზღაპარს და არა წინასწარ ვარაუდებს მის შესახებ. ზღაპრის ინტერპრეტაცია იწყება ყოველგვარი კონკრეტული ჰიპოთეზის არსებობის გარეშე, რაც საშუალებას გვაძლევს ზღაპარს ღიად და მიუკერძოებლად შევხედოთ. ის მიიჩნევს, რომ ისევე, როგორც სიზმრის ინტერპრეტაცია ყოველთვის უფრო ნაკლებად კარგია, ვიდრე თავად სიზმარი, თავად ზღაპარიც ყველაზე უკეთ ხსნის თავის თავს, თუმცა მაინც გვთავაზობს ინტერპრეტაციის საკუთარ მეთოდს. მის ინტერპრეტაციაში ახსნილია არქეტიპები, როგორებიცაა რიცხვები, საგნები, მოქმედებები თუ გმირები. ის ყურადღებას უთმობს ზღაპრების ექსპოზიციას (სად და როდის ხდება მოქმედება), მოქმედი პირების რაოდენობას (რამდენი გმირი ფიგურირებს ზღაპარში), რომელსაც, მისი აზრით, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ზღაპარში წამოჭრილი პრობლემის ფსიქოლოგიურ განსაზღვრებას, ბედის და გარემოებების უცაბედ ცვლილებებს ზღაპარში და ყველა ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ სიმბოლოს, რომლებიც მასში გვხვდება.

ბრუნო ბეთელჰაიმი (1976), რომელიც ასევე ფსიქოანალიზის წარმომადგენელია, შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერად, რომელმაც მეტ-ნაკლებად სრულყოფილი თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო შემოგვთავაზა ზღაპართა ინტერპრეტაციისთვის. მისი თეორია და საყოველთაოდ ცნობილი ზღაპრების მისეული ინტერპრეტაცია წარმოადგენს მოცემული ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს და დანვრისთვის ადრინდელი შემდგომ თავში.

1.2.5 კითხვები, რომლებიც ღიად რჩება

კითხვაზე, თუ რამდენად შეუძლიათ ბავშვებს მონათხრობში გადმოცემული მთავარი აზრის გაგება, ერთი დასაბუთებული პასუხი არ არსებობს. უკვე განხილული მოსაზრებების საპირისპიროდ, რომლებიც ამტკიცებენ რომ ზღაპრები ღირებულ საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს, არსებობს მთელი რიგი კვლევები, რომლებიც ამტკიცებენ რომ ბავშვებს მონათხრობის თემის ანუ აზრის წვდომა არ შეუძლიათ, ყოველ შემთხვევაში 10 წლამდე მაინც: ტეილორმა (1986) გამოიკვლია 9 დან 11 წლამდე ასაკის ბავშვების უნარი წერილობით შეეჭამებინათ ნარატივი და დაეწერათ მისი მთავარი აზრი და აღმოაჩინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნარატივის შეჭამება ადვილი იყო ბავშვებისთვის, მისი მთავარი აზრის გადმოცემა რთული აღმოჩნდა. მსგავსად, გოლდმანმა და კოლეგებმა (1984) იკვლიეს თუ როგორ ესმით იგავები ბავშვებს 5დან 12 წლამდე. მათი კვლევის მიხედვით, ბავშვებს 10 წლამდე არ შეუძლიათ თემის გამოყოფა 10 წლამდე (მეოთხე კლასამდე).

ასევე ღიად რჩება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ, რა გზებით ახდენენ ზღაპრები გავლენას ბავშვებზე. მკვლევრები მიიჩნევენ რომ ზღაპრები ბედნიერი დასასრულის დამსახურებით შთაუწერგავენ მორალს მკითხველს. თუმცა ამ ლოგიკით ყველა ზღაპარს, რომელიც ბედნიერად სრულდება, მსგავსი დადებითი გავლენა უნდა ქონდეს ბავშვების განვითარებაზე, რისი თქმაც ძნელია. უფრო მეტიც, ქართულ ხალხურ ზღაპრებს ხშირად არ აქვთ ბედნიერი დასასრული, თუმცა ის ფაქტი რომ საუკუნის

განმავლობაში ისინი ხალხმა შემოინახა, მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ბედნიერი დასასრულის გარდა ზღაპრებს უნდა გააჩნდეთ სხვა თავისებურებებიც, რომლებიც მათ აქტიურ სოციალურ და მორალურ აგენტებად აქცევენ.

2. თეორიული ჩარჩო

2.1. ბეთელჰაიმის თეორია და მეთოდი

ბეთელჰაიმი იყო ბავშვთა ფსიქოლოგი და ფროიდიანული სკოლის წარმომადგენელი, რომელიც ზღაპრებს ფსიქოანალიტიკური პერსპექტივიდან გამომდინარე იკვლევდა. ის ამტკიცებდა, რომ ზღაპრები აუცილებელი ბავშვის განვითარებისთვის რადგან ისინი ბავშვებს ღირებულ გაკვეთილებს სთავაზობენ მათთვის გასაგებ და დამარწმუნებელ ენაზე. ისინი არა მხოლოდ წარმოდგენენ პრობლემებს, არამედ აჩვენებენ მათი მოგვარების გზებს და ამ გზით განამტკიცებენ იმედს და დადებით დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი. ბედნიერი დასასრული ბეთელჰაიმის მიერ განიხილება კარგი ზღაპრის აუცილებელ მახასიათებლად, რაც მას კიდევ უფრო დამარწმუნებლს ხდის:

“ზღაპარი უფრო ფსიქოლოგიურად დამარწმუნებელია ბავშვისთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა რეალისტური მოთხრობა, რადგან ის ბავშვს საოცნებო ტრიუმფს პირდება. ვინაიდან ზღაპარი ბავშვს სამეფოს აღუთქვამს, ბავშვი მზადაა დაიჭეროს ყველაფერი, რასაც მას ზღაპარი ასწავლის” (Bettelheim, 1976, გვ. 133).

გავრცელებულ კრიტიკას, რომ ზღაპრები ბავშვებში არარეალურ მოლოდინებს აღძრავენ, ბეთელჰაიმი ორი არგუმენტით უპირისპირდება. პირველ რიგში ის ამბობს რომ ბავშვებს ჭირდებათ არარეალისტური იმედები იმ არარეალისტური შიშების გამო რაც მათ გააჩნიათ. და მეორე, რადგან ბედნიერ დასასრული ჯადოსნურ სამყაროში ხდება, მისი უცვლელად გადმოტანა რეალობაში არ ხდება. კონკრეტულად როგორ წარმოიდგენ ბავშვი “სამეფოს” დამოკიდებულია მის ასაკზე და განვითარების ეტაპზე, თუმცა არც ერთი ბავშვი მას პირდაპირი მნიშვნელობით არ იგებს. ბავშვები რომ ზღაპარში აღწერილ მოვლენებს პირდაპირ გეხულობდნენ, ზღაპრები მათ სიამოვნების

ნაცვლად იმედგაცრუებას და ტანჯვას მოუტანდა იმ მკაცრი რეალობის გამო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და რომელიც ზღაპრის სამყაროსგან განსხვავდება.

მიხედავად იმისა, რომ ზღაპარში აღწერილი მოვლენები ნაკლებად სავარაუდო და ხშირაც შეუძლებელიცაა რეალობაში, ბეთელჰაიმის აზრით, ისინი მაინც ყველა ლიტერატურაზე უკეთ ახერხებენ ბავშვის რეალობაში ორიენტირებას. როგორაა ეს შესაძლებელი? ბეთელჰაიმი, როგორც ფსიქოანალიზის მიმდევარი, ზღაპრების ასეთ ძალას სიმბოლოების ენაში ხედავს. ის მიიჩნევს, რომ ზღაპრებს იგივე მნიშვნელობა აქვთ ბავშვებისთვის, რაც სიმბრებს ზრდასრული ადამიანებისთვის. შესაბამისად, ბავშვები, რომლებიც მოკლებულნი არიან ზღაპრებს, მიდრეკილნი არიან ემოციური დარღვევებისადმი, რადგან ზღაპრები ბავშვებს ეხმარება ქვეყნობიერის ზეწოლას ფანტაზიით გაუმკლავდნენ. ბეთელჰაიმი ზღაპრის პირველად ფუნქციას სწორედ ბავშვების ინტერპერსონალური პრობლემების მოგავრებაში ხედავს და მათ თერაპიულ ეფექტზე საუბრობს. ზღაპრების გავლება ბავშვის მორალურ განვითარებაზე არაა ბეთელჰაიმის პირველადი ინტერესი, თუმცა თავის ნაშრომში ზღაპრების შესახებ ის მნიშვნელოვან მინიშნებებს იძლევა იმის შესახებ, თუ რა როლი შეიძლება შეასრულონ ზღაპრებმა ბავშვის მორალურ განვითარებაში.

ბეთელჰაიმის აზრით, ბავშვი ახდენს იდენტიფიცირებას ზღაპრის გმირთან და ეს ის მექანიზმია, რაც მას მორალურობას შთაუწერგავს:

“ის რაც ბავშვს მორალურობას შთაუწერგავს, არის არა სიმართლის/კეთილის გამარჯვება ბოლოში, არამედ მიმზიდველი გმირი, რომელთანაც ბავშვი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს. ამ იდენტიფიცირების გამო ბავშვი თავის წარმოდგენაში გმირთან ერთად გაივლის ყველა განსაცდელს და მასთან ერთად ზეიმობს სიკეთის გამარჯვებას. ასეთ იდენტიფიცირებას გმირთან

ბავშვი თავის თავად ახდენს და გმირის შინაგანი და გარეგანი ბრძოლები მას მორალურობას შთაუწერგავს” (გვ. 9).

ბეთელჰაიმის მიხედვით, გმირის ამბივალენტურობა ზღაპარს ამორალურს ხდის და გმირთან იდენტიფიცირებას აძნელებს. მისი აზრით, კარგი ზღაპრის გმირს არ ახასიათებს ამბივალენტურობა - ის ან ჭკვიანი, ლამაზი და კეთილია ერთად ან უშნო, ბოროტი და სულელი, მაგრამ გმირი არ შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც ერთდროულად.

თუმცა ერთ-ერთი ქართული ზღაპრის მაგალითზე ვეცდები ვაჩვენო რომ ზოგჯერ შესაძლოა გმირის ასეთმა ამბივალენტურობამ გააადვილოს გმირთან იდენტიფიცირება და შექმნას დადებითი განვითარების საფუძველი.

ზღაპრების ჩემეული ანალიზის ამოსავალი წერტილია ბეთელჰაიმის იდეა რომ:

“ზღაპრები არასოდეს გვიპირისპირდებიან და არც პირდაპირ გვეუბნებიან როგორ უნდა მივიღოთ გადანიშნულება. ისინი ბავშვს უღვიძებენ ცნობიერების

ამაღლების სურვილს იმ მოვლენების საშუალებით რაც მათშია აღწერილი. ზღაპარი ჩვენ გვარწმუნებს იმ ეფექტის გამო, რასაც ის ჩვენს წარმოსახვაზე ახდენს მოვლენების ჩენტვის სასურველი განვითარებით” (Bettelheim, 1976, გვ. 34).

ბეთელჰაიმი აღიარებს, რომ ზღაპრების ჯადოსნური ძალა არა მოდის არა მხოლოდ მათი ფსიქოლოგიური მნიშვნელობიდან, არამედ იმ მხატვრული ხერხებიდან, რომელიც მასშია გამოყენებული (Bettelheim, 1976, გვ. 12). თუმცა მთლად გასაგები არაა რას გულისხმობს იგი ამ მხატვრულ ხერხებში. მისი ანალიზიდან ჩანს რომ იგი სიმბოლოებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მისი აზრით, მეცნიერული ახსნა დამაბნეველია ბავშვისთვის, რომელსაც აბსტრაქტული აზროვნება ჯერ არ აქვს განვითარებული. ზღაპრები, რომელიც მას სიმბოლოების ენაზე ელაპარაკებიან, სრულიად გასაგებია მისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ბეთელჰაიმისეული სიმბოლოს გაგება არის ფროიდისეული ანუ მეტაფორებში ის გულისხმობს ბავშვის ქვეცნობიერისთვის გასაგებ და მისაღებ ხატებს, რომელიც ქვეცნობიერის სფეროსი არსებულ რაიმე საგანს ან მოვლენას ეხება. მაგალითად, კონკიაში ქოში განხილულია როგორც ვაგინას და/ან მასთან დაკავშირებული იდეების სიმბოლო (Bettelheim, 1976, გვ. 268). მგელი წითელქუდაში განიხილება როგორც მამრობითი სქესის მაცდუნებლის და ასევე ჩვენში არსებული ასოციალური, ცხოველური ტენდენციების სიმბოლო (გვ. 172). ბეთელჰაიმის პირველადი ინტერესი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მოქმედებენ ეს სიმბოლოები ქვეცნობიერ დონეზე.

2.2. ბეთელჰაიმის მიდგომის შეზღუდვები

წიგნის პირველ ნაწილში ბეთელჰაიმი ეხება ერთ მნიშვნელოვან იდეას, რომელსაც შემდგომ აღარ ანვითარებს. მაგალითად, “მეთევზე და ჯინი”-ში ჯინის დაჭერის სამი მცდელობა განხილულია როგორც მესიჯი, რომ წარმატებას პირველივე მცდელობისას არ უნდა ველოდოთ და რომ ზოგიერთი რამ გაცილებით ძნელი მისაღწევია ვიდრე ჩვენ ეს გვგონია და მოველით (Bettelheim, 1976, გვ. 33).

ასევე, ის ამბობს, რომ ბავშვი ზღაპრიდან “ურჩხული და მზეთუნახავი” სწავლობს რომ ის რაც თავიდან შეიძლება საზიზღარი და შემაშინებელი ჩანდეს, შესაძლებელია რომ მომავალში ყველაზე სასურველ მეგობრად გარდაიქმნას. ეს ბავშვი შემდგომ, რეალურ ცხოვრებაშიც მზადაა დაიჭეროს, რომ უცნაური და/ან შემაშინებელი ბავშვი, რომელსაც ის სკოლაში ხვდება ასევე შეიძლება საუკეთესო კომპანიონად გადაიქცეს (გვ. 50).

თუმცა წიგნის შემდგომ ნაწილში და ამ ზღაპრების ანალიზისას ეს იდეები აღარ ვითარდება და ზღაპარში “ურჩხული და მზეთუნახავი”, ურჩხულიდან პრინცად გადაქცევა განხილულია როგორც მზეთუნახავის მიერ მამასთან არსებული ოიდიპური კავშირის განწყვეტა და განვითარების იმ ეტაპზე გადასვლა, როდესაც სექსუალური კავშირი შემაშინებელი აღარ ჩანს.

მსგავსად, “მეფე ბაყაყის” შემთხვევაში ბაყაყი განხილულია როგორც სექსუალური ურთიერთობის სიმბოლო და ზღაპარი - როგორც სექსუალური განათლების მიმცემი ბავშვისთვის. ბეთელჰაიმი, კვლავ იგნორირებას უკეთებს ზღაპრის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა დანაპირების შესრულება და მისი დადებითი შედეგები - საზიზღარი არსების სასურველ პარტნიორად გადაქცევა და ამით მონიჭებული სიხარული. ამ მომენტს ორმაგი მნიშვნელობა აქვს: პირველ რიგში მას მორალური დატვირთვა აქვს რადგან ხაზს უსვამს დანაპირების შესრულების მნიშვნელობას და პრინციპს, რომ მას, ვინც გაჭირვებაში დაგეხმარა, იმედი არ უნდა გაუცრუო. და მეორე, ეს მომენტი ასახავს რეალობას, ანგრევს რა სტერეოტიპს რომ სიმახინჯე კავშირშია სიბოროტესთან და გვაფრთხილებს რომ ადამიანის გარეგნობით და/ან პირველი ზედაპირული შთაბეჭდილებით განსჯამ შესაძლოა ცხოვრებაში დიდ შეცდომამდე მიგვიყვანოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ორიენტირებულია რა ზღაპრებში სიმბოლოების აღმოჩენაზე, ბეთელჰაიმი ჯეროვნად ვერ აფასებს ზღაპრის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს. მაგალითად, ის “კონკიას” ანალიზებს როგორც ნარატივის დების ქიშპობაზე და ეჭვიანობაზე და არა როგორც ნარატივის სიკეთის აღიარებაზე და დაფასებაზე. ბეთელჰაიმის აზრით ეს უკანასკნელი ზღაპრების ზედაპირული მახასიათებელია, თუმცა მისი არ დანახვა ნიშნავს რომ არ დავინახოთ ის სამართლიანობა და მორალურობა რომლებიც ზღაპრებს ასე მიმზიდველს ხდის.

2.3. სიმბოლო თუ მეტაფორა?

სტენლი რაფელი (2011) მიიჩნევს, რომ ბეთელჰაიმი არასათანადოდ აფასებს ვიზუალურ ხატებს როდესაც მათ სიმბოლოებს უწოდებს. სიმბოლო მხოლოდ აღნიშნავს რაიმე მოვლენას ან საგანს. საუკეთესო ხატები ზღაპრებში კი გაცილებით მეტს აკეთებენ: ისინი გვეხმარებიან შევიმეცნოთ რაიმე მოვლენის თუ საგნის ბუნება. ისინი არა მხოლოდ აღნიშნავენ ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას, არამედ იმასაც გვაჩვენებენ თუ როგორია ეს საგანი თუ მოვლენა. შესაბამისად, ასეთი ხატები მეტაფორები უფროა ვიდრე სიმბოლოები, რადგან ისინი რეალობას ჰფენენ ნათელს.

მეტაფორა ნიშნავს ერთი მოვლენის ან საგნის სხვა სიტყვებით აღწერას. თუმცა, დღეს ითვლება, რომ მეტაფორა ეხება არა მხოლოდ ენას, არამედ აზროვნებას და მსჯელობას (Lakoff, 1993, გვ. 208). მეტაფორა უფრო ძლიერია ვიდრე სიმბოლო, რადგან ის გვეხმარება მნიშვნელობის გაგებაში და ხშირად განსაზღვრავს ადამიანების აზროვნებას (Todd & Harrison, 2008, გვ. 481). ამიტომ, უფრო მართებული იქნება თუ ზღაპარში არსებულ სიმბოლოებს (ზოგიერთს მაინც) მეტაფორებს ვუწოდებთ, რადგან ისინი არა მხოლოდ ქვეცნობიერის დონეზე მოქმედებენ და ტაბუდადებულ საგნებს და მოვლენებს ეხებიან, არამედ ქმნიან კოგნიტურ ჩარჩოს რეალური სიტუაციების იდენტიფიკაციისთვის და შესაბამისად მოქმედებისთვის.

მაგალითად, კონკიას შემთხვევაში, ხატი რომელიც კონკიას ფეხზე ქოშის ადვილად მორგებით იქმნება, მაშინ როდესაც დედინაცვლის შვილები უშედეგოდ იტანჯებიან რომ ქოში მოირგონ, არა მხოლოდ ბავშვი ქვეცნობიერს აწვდის გზავნილს, რომ ოიდიპური საფეხური გადალახულია (როგორც ამას ბეთელჰაიმი ამტკიცებს), არამედ ნათელს ჰფენს იმას, რომ ჩადენილი სიბოროტის დამალვა არც ისე ადვილია რადგან ის მოითხოვს თავის მოჩვენებას და ნამდვილი მე-ს განადგურებას. მეორეს მხრივ, თუ ვინმეს სიკეთე აქვს გაკეთებული, ზედმეტი ძალისხმევა საჭირო აღარაა

იმისთვის, რომ ეს სიკეთე წარმოჩინდეს - ის ზუსტად ერგება იმას, თუ ვინ ხარ და რა გაგიკეთებია. შესაძლოა სწორედ ამ გზით ახერხებენ ზღაპრები ღირებული ცხოვრებისეული გაკვეთილების გადმოცემას.

რაფელის (2011) მიხედვით, კარგი მეტაფორა ზღაპარში სულ მცირე ორ რამეს აკეთებს: ანიჭებს ამა თუ იმ მოვლენას მაგიურ ძალას და ცხადყოფს თუ როგორია ეს მოვლენა. შედეგად, მეტაფორები მკითხველს ასწავლიან არა ავტორიტარულად, არამედ საშუალებას აძლევენ გააანალიზოს ესა თუ ის მოვლენა და გადანყვიტოს “ვინ” უნდა რომ იყოს მსგავს სიტუაციაში.

მეტაფორები შესაძლოა ზღაპრების სწორედ ის შეუსწავლელი ელემენტებია, რომლებიც მკითხველში უკეთეს ადამიანად გახდომის სურვილს აჩენენ და ამისთვის ბედნიერი დასასრული აუცილებელი არაა. ასევე, შესაძლოა, ზღაპრის უარყოფითმა პერსონაჟმაც ასწავლოს მკითხველს და დაეხმაროს რეალობის შემეცნებაში შეშინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მკითხველი აანალიზებს ზღაპარში აღწერილ სიტუაციას და გამოაქვს საკუთარი დასკვნები. თუ დადებით მეტაფორას შეუძლია რაიმე ძალიან სასურველად წარმოაჩინოს და განამტკიცოს შესაბამისი ქცევები, უარყოფით მეტაფორას აქვს პოტენციური საგნები თუ მოვლენები არასასურველად წარმოაჩინოს და მკითხველი დაარწმუნოს რომ შესაბამისი ქცევები თავიდან აირიდოს.

რაფელის აზრით, თუ მოთხრობა ზედმეტად ორიენტირებულია იმაზე რომ გვიკარნახოს როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ სიტუაციაში, ის ვერ იქნება წარმატებული, რადგან ის ვერ შექმნის კარგ მეტაფორებს. კარგი მეტაფორა შეიძლება ასახავდეს კარგასაც და ცუდსაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა რომ ისინი კი არ კიცხავენ, არამედ ასახავენ, ამხელენ ცუდს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას რომ ზღაპრებს მრავალი ფუნქცია აქვთ და მრავალნაირ გზას იყენებენ გზავნილების გადმოსაცემად. ზოგი მათგანი უფრო ეფექტურია, ზოგი კი მეტად ავტორიტარული და ნაკლებად ეფექტური. ზოგი ზღაპარი

მკითხველის დასარწმუნებლად ბედნიერ დასასრულს იყენებს, ზოგი კი მეტათორებს - იმისთვის რომ გვაჩვენოს რეალობა. რამდენიმე კარგად ცნობილი ქართული ზღაპრის მაგალითზე შევეცდები ვაჩვენო ეს სწავლების გზები და აზრი, რომელსაც ეს ზღაპრები გადმოგვცემენ.

3. მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი წარმოადგენს ოთხი ცნობილი ქართული ხალხური ზღაპრის ნარატიულ ანალიზს. მეორე ნაწილი კი ეთმობა მათგან ორი ზღაპრის შესახებ ბავშვების აზრის შესწავლას. კვლევის პირველი ნაწილი პასუხობს პირველ კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ ზღაპრებს ასახონ რეალობა და ეფექტურად ასწავლონ მკითხველს - სწორის და არასწორის, მორალური და ამორალური საქციელის გარჩევა. კვლევის მეორე ნაწილი კი პასუხობს კვლევის კითხვას იმის შესახებ, თუ თავად ბავშვებს როგორ ესმით ზღაპრების მიერ გადმოცემული გზავნილები.

მეთოდოლოგია, ისევე როგორც გამოყენებული ანალიზის ტექნიკები განსაზღვრულია კვლევის მიზნით და ამოცანებით. იმისთვის, რომ ვიკვლიოთ რა გავლენას ახდენს ზღაპრები ბავშვის მორალური განვითარებაზე, აუცილებელია მათი სიღრმისეული ანალიზი. შესაბამისად, რაოდენობრივი მეთოდები, რომელთა ანალიტიკური სტრატეგიაა სიტყვების ან ფრაზების კოდირება და დათვლა შეუსაბამოა ზღაპრის, როგორც მთლიანი ნარატივის, გაგებისათვის.

წარმოდგენილი კვლევის ანალიზი კონსტრუქციონიზმს ემყარება, რომლის თანახმადაც რაიმეს აზრი და მნიშვნელობა არა არის რაიმე მყარი მოცემულობა, რომელსაც მკვლევარი აღმოაჩენს. არამედ ის სხვადასხვანაირად კონსტრუირებულია სხვადასხვა ადამიანის მიერ სხვადასხვა სიტუაციაში (Crotty, 1998, გვ. 9). შესაბამისად, მე არ მივიჩნევ რომ ამ კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია ერთადერთი აღმოჩენილი ჭეშმარიტებაა, არამედ ვიზიარებ შეხედულებას რომ ჩვენი კოგნიცია, აღქმა და ცოდნა მსოფლიოს შესახებ კონსტრუქტებია, რომელიც შეიძლება ინდივიდიდან ინდივიდამდე შეიცვალოს (Flick, 2004, გვ. 88).

კვლევის პირველ ნაწილში გამოყენებული მეთოდოლოგია ნარატივის ანალიზია, რომელიც კვლევის ობიექტად ნარატივს, ანუ მონათხრობს მიიჩნევს (Riessman, 1993, გვ. 1), ხოლო კვლევის მეორე ნაწილი, რომელიც ზღაპარში მონათხრობის აღქმას იკვლევს ანკვეტირების მეთოდით, ანალიტიკური კოდირების პრინციპს ეყრდნობა.

ნარატივის ანალიზის მეთოდს აქვს ნაკლიც და უპირატესობაც: ხშირად ტექნიკები, რომელბსაც მკვლევარები გვთავაზობენ საკმაოდ ფორმალური და რიგიდულია და მათი გამოყენება სხვადასხვა მასალაზე მოდიფიკაციის გარეშე შეუძლებელია. მეორეს მხრივ, ნარატივის ანალიზის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ იგი საკმაოდ ფართო თვისებრივი კვლევის დისციპლინაა და საშუალებას აძლევს მკვლევარებს მოარგონ იგი კვლევის საჭიროებებს.

ნარატივის ანალიზის ტექნიკის მრავალფეროვანი სპექტრის არსებობამ შესაძლებელი გახადა თავი ამერიდებინა რაიმე კონკრეტული და სპეციფიკური მიდგომის გამეორებისათვის, არამედ მომეძებნა გზა, რომელიც კომბინირებულ მიდგომაზე იქნებოდა დამყარებული და უფრო რელევანტური დასახული მიზნების მისაღწევად. ასეთი მეთოდის ბაზისურ საწყისად პრაიორის (2004) მიდგომაზე დაფუძნებული ანალიზის სტრატეგია ავირჩიე, რომლის მიხედვითაც, ტექსტი უნდა შევისწავლოთ არა მხოლოდ როგორც რაიმეს სათავესო, არამედ როგორც გარკვეული ფუნქციების მქონე. პრაიორის აზრით: “ტექსტი გვასწავლის თუ როგორ დავინახოთ სამყარო, როგორ განვასხვავოთ სხვადასხვა ნაწილები მასში და ამასთან გვთავაზობს საშუალებებს, რომლებითაც შეგვიძლია ვიურთიერთობოთ” (Prior, 1997, გვ. 67). ჩემი კვლევის მასალის ანალიზის მიზანიც არის იმისი გარკვევა, თუ როგორ გვეხმარება ზღაპრები სამყაროს ხედვაში და მასში კეთილის და ბორტის, სწორის და არასწორის გარჩევაში. ამდენად, მოცემული კვლევა ზღაპრებს განიხილავს როგორც სოციალური ინტერაქციის აქტიურ აგენტებს და იკვლევს, თუ როგორ შეუძლიათ მათ “მკითხველის სტრუქტურირება” და კონკრეტული სამოქმედო გზების ჩვენება (Prior, 2004, გვ. 89).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევა ფოკუსირებულია ნარატივის პრაიორის მიერ გამოყოფილი სამი ასპექტიდან ერთზე - სელფის და იდენტობის აგებაზე. დანარჩენი ორი - პროდუქცია და გამოყენება - მოცემული კვლევის ფოკუსის მიღმაა.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არ არის ობიექტური სინამდვილის აღმოჩენა ან რაოდენობრივი შედეგების ჩვენება - ესაა მცდელობა შემოგთავაზოთ ზღაპრების ღირებული ინტერპრეტაცია, რომელიც სხვა ინტერპრეტაციების არსებობის უფლებას კი არ უარყოფს, არამედ მხოლოდ ადასტურებს.

ამდენად წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება ინტერპრეტაციულ მიდგომას და, კერძოდ, წარმოადგენს ბეთელჰაიმის ანალიზის სტრატეგიისა (1976) და რაფელის თეორიის კომბინაციას. ბეთელჰაიმი არ არქმევს სახელს მეთოდს, რომელსაც ზღაპრების გასაანალიზებლად იყენებს, თუმცა ის ძალიან ახლოსაა ფროიდისეულ სიმბრის ინტერპრეტაციის მეთოდთან (1913). ჩემს ანალიზში შევეცდები ფსიქოანალიტიკური ცნებების ნაცვლად მეტაფორების იდეა შემოვიტანო და ვიზუალური ხატების ანალიზის საშუალებით ვაჩვენო, თუ როგორ ასახავენ და უფრო მეტიც, გვასწავლიან ზღაპრები რეალურ ცხოვრებას. ამრიგად, ზღაპრების ანალიზის ერთ-ერთ ძირითად ერთეულს წარმოადგენს მეტაფორა.

კვლევის პირველი ნაწილში გაკეთებულია ოთხი ქართული ზღაპრის - “წიქარა”, “ნაცარქექია”, “აბესალომ და ეთერი” და “მინა თავისას მოითხოვს” - ანალიზი, ხოლო კვლევის მეორე ნაწილი ეთმობა ამ ზღაპრებიდან მხოლოდ ორის - “ნაცარქექიას” და “წიქარას” მკითხველისეული აღქმის შესწავლას.

კვლევის მეორე ნაწილი ანკეტირების მეთოდს ეყრდნობა. კითხვარი სტრუქტურირებულია და ძირითადად მოიცავს ღია კითხვებს. კითხვების შინაარსი ზღაპრების ნარატიულ ანალიზს ეყრდნობა და მიმართულია ნარატიულ ანალიზში განხილული თემების შესახებ ბავშვების აზრის გაგებისკენ. კითხვარები მოცემულია დანართში (1).

პროცედურა

გამოკითხვა ჩატარდა თელავის ერთ-ერთ საჯარო საშუალო სკოლაში 2013 წლის ოქტომბერში. პროცედურა იყო შემდეგი: თავდაპირველად სკოლის დირექტორისგან და მასწავლებლებისგან მივიღე ინფორმირებული თანხმობა მოსწავლეთა კვლევაში ჩასართავად. შედეგად, მომეცა საშუალება ორი საათის განმავლობაში ჩამეტარებინა გამოკითხვა III, VI და IX კლასებში. დავგვემეთ 6 შეხვედრა, თითოეულ კლასთან ორჯერ ორ სხვადასხვა ზღაპარზე სასაუბროდ. მოსწავლეებს გავაცანი საკუთარ თავი და კვლევის მიზანი. აგრეთვე, აუხსენი რომ კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. არც ერთ მოსწავლეს უარი არ უთქვამს მონაწილეობაზე. მოსწავლეებთან ხმამაღლა ვკითხულობდი ზღაპარს (“ნაცარქექიას” ან “წიქარას”), შემდეგ კი თითოეულ მათგანს შესავსებად ვაძლევდი კითხვარს. მონაწილენი კითხვარებს ინდივიდუალურად ავსებდნენ როგორც ნაცარქექიას, ისე წიქარას მოსმენის შემდეგ.

შეხვედრა გრძელდებოდა საშუალოდ 1 საათს, საიდანაც 20 წუთი ეთმობოდა შესავალს, ზღაპარს და ინსტრუქციებს, ხოლო 40 წუთი - კითხვარის შეკითხვებზე პასუხების გაცემას. მონაცემთა შეგროვების შემდეგ მოხდა ანკეტების კომპიუტერიზაცია (ანუ ვორდის ფორმატში გადატანა) და ანონიმიზაცია, რომლის დროსაც რეპონდენტებს ფსევდონიმები მიენიჭათ. კვლევის ყველა ეტაპზე შევსებულ ანკეტებზე ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ მკვლევარს. ანალიზი განხორცილდა ანონიმიზირებული ტრანსკრიპტების გამოყენებით, რაც შეუძლებელს ხდიდა ინდივიდის იდენტიფიცირებას და, შესაბამისად, უზრუნველყოფდა კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალურობას.

კვლევის მონაწილენი

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს და ანკეტა შეავსეს მე-3, მე-6 და მე-9 კლასის მოსწავლეებმა. ამ ასაკობრივი ჯგუფების შერჩევა არსებულმა კვლევებმა განაპირობა, რომელთა მიხედვითაც მოთხრობების თემების წვდომა, რაც გულისხმობს არა ტექსტის შეჯამებას, არამედ მთავარი იდეის გაგებას და საკუთარი სიტყვებით გადმოცემას, 10 წლამდე არ ხერხდება (Goldman, S. R., Reyes, M., and Varnhagen, D., 1984). ნაწილობრივ, კვლევის მიზანი ამ შედეგების გადამოწმებაცაა, რის გამოც, გამოკითხული ბავშვების ასაკი 7 წლიდან იწყება და 14 წლამდე ასაკის ბავშვებს მოიცავს. კითხვებს “წიქარას” და “ნაცარქექიას” შესახებ ერთი და იგივე ბავშვებმა უპასუხეს. კვლევის მონაწილეთა განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით მოცემულია #1 ცხრილში:

ცხრილი #1

	III კლასი (ასაკი: 7,8)	VI კლასი (ასაკი: 10,11,12)	IX კლასი (ასაკი: 13,14)	სულ
წიქარა	17 (9 გოგო, 8 ბიჭი)	25 (11 გოგო, 14 ბიჭი)	20 (8 გოგო, 12 ბიჭი)	62 (28 გოგო, 34 ბიჭი)
ნაცარქექია	20 (11 გოგო, 9 ბიჭი)	25 (11 გოგო, 14 ბიჭი)	16 (7 გოგო, 9 ბიჭი)	61 (29 გოგო, 32 ბიჭი)

ანალიზის სტრატეგია

კვლევის მორე ნაწილში გამოყენებული იქნა ანალიტიკური კოდირება ნარატივის ანალიზის ნაცვლად. ეს ლოგიკურიცაა, რადგან კვლევის პირველი ნაწილი ნარატივს ეხება. ნარატივის ანალიზში, აღწერილ მოვლენათა თანამიმდევრობა გადამწყვეტ როლს ასრულებს დასკვნების გამოტანაში. კოდირება კი არღვევს ამ თანამიმდევრობას, ანაწევრებს რა ტექსტს თემატურ ნაწილებად და ქმნის საშიშროებას, რომ დაიკარგოს ნარატივის მთავარი გზავნილი.

კვლევის მეორე ნაწილისთვის კი კოდირება შესაფერისი ტექნიკაა, რადგან კვლევის მეორე ნაწილის მასალა მხოლოდ კითხვაზე პასუხებია. კითხვებზე გაცემული პასუხები არ წარმოადგენს ნარატივს (არ აქვს დასაწყისი, შუა და ბოლო ნაწილი, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული) და, შესაბამისად, თანამიმდევრობა აქ გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. კითხვაზე პასუხების ანალიზისას მთავარი მიზანი არის იმ თემების განსაზღვრა და კვლევა, რომლებიც პასუხებშია გამოკვეთილი. ამდენად, ჩემი მიზანი იყო ამგვარი თემების აღმოჩენა, მათი დაკავშირება და შედარება ზღაპრების ნარატიული ანალიზის ძირითად მიგნებებთან.

შედეგები დამუშავდა თვისებრივი ანალიზის პროგრამაში NVivo 10. ანალიზის პროცესი დიდწილად განსაზღვრული იყო კითხვების შინაარსით. გამოყენებულ იქნა სამი სახის კოდი (ნოდი): პირველადი (ან ძირითადი), მეორადი (ან ქვენოდი) და დამოუკიდებელი (ან ცალკე მდგომი). პირველადი კოდები უფრო ზოგადია და მოიცავს ფართო საკითხებს, რომელიც მეორად კოდებში კონკრეტდება.

პირველადი კოდები შეიქმნა კითხვებიდან გამომდინარე. მაგალითად, ნაცარქექიას მთავარი თემა, რას გვასწავლის ნაცარქექია, მსგავსება ნაცარქექიასთან და ა.შ. ამის შემდეგ, კოდირების პროცესში განისაზღვრა მეორადი კოდები, რომელიც ყოველი ახალი ანკეტის ანალიზის დროს, ახალი თემის აღმოჩენასთან ერთად

იზრდებოდა. საზოგადოდ, როგორც წესი, მეორადი კოდები უფრო კონკრეტულია და ახლოსაა იმ სიტყვებთან/ენასთან რაც რესპონდენტმა გამოიყენა ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით.

მაგალითად, თუ მესამე კლასში მეორადი კოდები პირველი სამი ინტერვიუს კოდირების ბოლოს იყო მხოლოდ ორი 1. “მოხერხებულობა” და 2. “გამბედაობა”, 20 ინტერვიუს კოდირების შემდეგ მეორადი კოდების რაოდენობამ უკვე შვიდს მიაღწია, რადგან დანარჩენი ინტერვიუების ანალიზმა გამოავლინა ისეთი თემები/კოდები, როგორებიცაა: ეშმაკობა, სიჭკვიანე, სიძლიერე, ტყუილი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ გამოყენებული იქნა ორმაგი კოდირების მექანიზმი, რაც ნიშნავს, რომ რიგ შემთხვევებში, ბავშვების ზოგიერთი პასუხი ერთზე მეტ თემაში (ანუ ნოდში) იქნა კოდირებული. ორმაგი კოდირება გამოყენებულ იქნა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთ კითხვაზე პასუხი, სხვა კითხვაზე პასუხსაც შეიცავდა. მაგალითად, თუ რესპონდენტი ერთ კითხვაზე პასუხისას ნაწილობრივ (ან სრულად) მაინც ფარავდა რომელიმე მომდევნო კითხვაზე პასუხს, ასეთი პასუხები ორივე კატეგორიაში კოდირდებოდა.

პირველადი და მეორადი კოდების გარდა, გამოიყო რამდენიმე ე.წ. “დამოუკიდებელი” კოდი (free nodes). დამოუკიდებელი კოდები აერთიანებს ისეთ პასუხებს, რომლებიც კვლევის სხვადასხვა მონაწილის მიერ სხვადასხვა კითხვაზე იქნა გაცემული, თუმცა ერთ თემას ეხება. დამოუკიდებელი კოდების მაგალითებია: “ნაცარქექია შეიცვალა” და “ხერხი სჯობია ღონესა”. ორივე მათგანი, ზღაპრის მნიშვნელოვან ასპექტებს ეხება, რომელიც ნარატიულ ანალიზში დეტალურადაა განხილული. მიზეზი, რის გამოც ისინი დამოუკიდებელ ნოდებად ჩამოყალიბდნენ არის ის, რომ მათში კოდირებული პასუხები სხვადასხვა კითხვებზე გაცემული პასუხებია და შესაბამისად განსხვავებული კონტექსტი, თუმცა საერთო თემა გააჩნიათ. ნაცარქექიას ცვლილება მისი სახლიდან წასვლის შემდეგ, ზოგჯერ მიჩნეულია როგორც მისი

წარმატება, ხოლო ზოგჯერ - როგორც საშუალება, რითაც მან წარმატებას მიაღწია. მიუხედავად ამისა, ყველა პასუხში ცალსახად საუბარია ნაცარქექიას ცვლილებაზე მისი სახლიდან წასვლის შემდეგ. ასევე, “ხერხი სჯობია ღონესა” ზოგჯერ ნახსენები იქნა როგორც ზღაპრის მთავარი აზრი, ზოგჯერ კი - საშუალება, რითაც ნაცარქექიამ წარმატებას მიაღწია. ორმაგი კოდირების საშუალებით, ასეთი პასუხები გაერთიანდა როგორც ზემოთ ნახსენებ დამოუკიდებელ ნოდებში, ასევე შესაბამისი კითხვის ქვენოდებში, რათა ანალიზისას არ მომხდარიყო კონტექსტის, ანუ კითხვის უგულებელყოფა, რაზე პასუხადაც ბავშვებმა ესა თუ ის თემა ახსნეს.

ასევე, ზოგიერთ პირველად კოდს, როგორცაა რესპონდენტის ასაკი, ან ნაცარქექიას ასაკი (პასუხები კითხვაზე : შენი აზრით, რამდენი წლისაა ნაცარქექია?) არ აქვს მეორადი კოდები, რადგან პასუხები რიცხვებით გამოისახება და მისი ჯგუფებად დაყოფა აზრს მოკლებულია. პირველადი, მეორადი და დამოუკიდებელი კოდების განაწილება მოცემულია დანართში (2).

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ იმისი გარკვევა თუ როგორ ესმით მოცემული ზღაპრები ბავშვებს, არამედ იმისიც თუ როგორ ესმით ეს ზღაპარი სხვადასხვა ასაკის ბავშვებს. ამდენად კვლევის შედეგები ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი, რაც მათ შორის არსებული მსგავსებების და განსხვავებების დანახვისთვის მნიშვნელოვანია.

4. ზღაპრების ნარატიული ანალიზი

4.1. ნაცარქექია

„ნაცარქექია“ ერთ-ერთი პოპულარული და ამვე დროს ატიპური ზღაპარია საქართველოში. ეს არის ზარმაცი უსაქმური მაგრამ ამავ დროს ძალიან მოხერხებული გმირის ამბავი.

ქართული კლასიფიკაციის მიხედვით “ნაცარქექია” ნოველისტურ ზღაპრად ითვლება და არა ჯადოსნურ ზღაპრად იმის გამო რომ მთავარ გმირს პრაგმატული მიზანი - საჭმლის ფულის შოვნა - ამოძრავებს (Kiknadze, 2001). თუმცა მე არ დავეთანხმებოდი ამ კლასიფიკაციას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ ითვალისწინებს ამ ზღაპრის სხვა ასპექტებს (რომელიც ყოველგვარი კლასიფიკაციის ზოგადი ნაკლია), არამედ იმიტომ რომ ეს ზღაპარი არ ჯდება ნოველისტური ზღაპრის განსაზღვრებაში. ქართველი ფოლკლორისტები ნოველისტურ ზღაპრებს განსაზღვრავენ როგორც ნარატივს რომელიც რეალისტურია და არათერს შეიცავს ისეთს, რაც შეიძლება რეალობაში არ მოხდეს (Kiknadze 2001, გვ. 26). ამ კრიტერიუმში “ნაცარქექია” მხოლოდ ნაწილობრივ ჯდება. მიუხედავად იმისა, რომ ნაცარქექია თავის მიზანს რეალისტურად აღწევს და მის ქმედებებში არათერია ისეთი, რაც რეალობაში შეუძლებელია, მთავარი ანტიგმირი - დევი არაა რეალური არსება და შესაბამისად ზღაპარიც არაბუნებრივ/ჯადოსნურ ელემენტებს შეიცავს.

მაშინაც კი, თუ ზღაპრებს იმ მიზნების მიხედვით დავაჯგუფებთ რისი მიღწევაც გმირს უნდა, “ნაცარქექია” მაინც არ ჯდება ნოველისტური ზღაპრების კატეგორიაში, რადგან გმირი აქ გაცილებით მეტს აღწევს ვიდრე ფულს ან საჭმელს - ის დევს ამარცხებს, რომელიც ქართული ზღაპრების მთავარი ანტიგმირია. დევი რომელიც უვიცობასთან და ძალასთან ასოცირდება მარცხდება არა ძალის გამოყენებით,

როგორც ეს ქართული ზღაპრების უმრავლესობაში ხდება, არამედ ჭკუის და მოხერხების საშუალებით.

ნაცარქექიას სახლიდან რძალი აგდებს ლუკმა პურის საშოვნელად. სამი ჩვეულებრივი საგნის საშუალებით (ნაცარი, სადგისი და ჭყლინტი ყველი) ნაცარქექია დიდი ქონების პატრონი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მას აშინებს დევთან შეხვედრა, ნაცარქექია არ ბრუნდება სახლში და გეგმას აწყობს. მის ხელში არსებული რესურსების ჭკვიანური გამოყენებით ის დევს აფიქრებინებს რომ ნაცარქექია მასზე ძლიერია და აფრთხობს მას. ის საგნებს არ ხმარობს იმ დანიშნულებით, როგორც ადამიანები მათ ყოველდღიურად იყენებენ და სხვა გამოყენებას უძებნის.

ადამიანები ხშირად აკრიტიკებენ “ნაცარქექიას” სიზარმაცის და ტყუილის წაქეზებისთვის. მათთვის, ვინც ამ ზღაპარს სიცრუის წახალისებაში სდებს ბრალს, შეიძლება ითქვას რომ არსებობს ბევრი სხვა (ქართული და არაქართული) ზღაპრები, რომლებშიც მთავარი გმირი ანტაგონისტს კლავს. ნიშნავს თუ არა რომ ისინი ახალისებენ მკვლელობას? რა თქმა უნდა არა - ეს ზღაპრების ძალიან პრიმიტიული გაგება იქნებოდა. ეს ზღაპარი ნამდვილად იქნებოდა უსარგებლო დევის ნაცვლად რომ უდანაშაულო მსხვერპლი ყოფილიყო. მაგრამ ქართველი მკითხველი უკვე იცნობს დევს როგორც ბოროტ არსებას, რომელიც კაცობრიობის არსებობას საფრთხეს უქმნის. დევის და ადამიანების თანაარსებობა ზღაპარში შეუძლებელია და ნაცარქექიას რომ სიცრუე არ ეთქვა ის დევის “საუზმე” გახდებოდა. კარგი ზღაპრის ღირსებაც ხომ სწორედ ესაა: ის არა მარტო იმაზე მიგვითითებს, რომ რეალურ ცხოვრებაში “დევები” ანუ ბოროტი ძალები არსებობენ, არამედ გვაჩვენებს, რომ მათი დამარცხება შესაძლებელია რაც არ უნდა ძლიერი იყვნენ ჩვენზე.

უფრო მეტიც, ამ ზღაპარში რომ ნაცარქექია დევს შებრძოლებოდა და თავისი ძალით დაემარცხებინა, ეს უკვე ტიპიური ზღაპარი იქნებოდა, რომელიც ალბათ უფრო

ნაკლებ კრიტიკას გამოიწვევდა ზრდასრულ მკითხველში, ვიდრე “ნაცარქექიას” ორიგინალური ვერსია.

ვფიქრობ, ნაცარქექია სიზამრმაცეს კი არ ახალისებს, არამედ პირიქით, ახალისებს სიზარმაცის დაძლევას და “სახლიდან გასვლას” იმით, რომ შედეგად მკითხველს დიდ წარმატებას პირდება. ნაცარქექია რომ სახლში დარჩენილიყო და ნაცრის ქექვა გაეგრძლებინა სავარაუდოდ ვერაფერს მიაღწევდა ცხოვრებაში. ზღაპრის ბედნიერი დასასრული გამო ბავშვს სჯერა რომ წარმატების მისაღწევად აუცილებელია “სახლიდან წასვლა” და იმ ჩაკეტილი წრის გადალახვა რაშიც ცხოვრობს - თნდაც ეს ერთი შეხედვით შემაშინებელი ჩანდეს.

ბეთელჰაიმის აზრით, გმირის ამბივალენტურობა დამახინჯებელია ბავშვისთვის და აფერხებს მკითხველის გმირთან იდენტიფიკაციას. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ნაცარქექიას ამბივალენტურობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ზღაპარში და პირიქით აადვილებს ბავშვის გმირთან იდენტიფიკაციას. დასაწყისში, ნაცარქექია დახასიათებულია როგორც ზარმაცი და უქნარა, რომელსაც არაფერის გაკეთება არ უნდოდა (Chikovani, 1999, გვ. 181). თუმცა, როგორც კი ის ტოვებს სახლს, ის მოხერხებულ გმირად იქცევა, რომელიც ამარცხებს დევს. ნაცარქექიას უარყოფითი მახასიათებლები სწორედ ის თვისებებია, რაც ასე ხშირია ბავშვებში: სიზარმაცე, გრძელ ვადიან გეგმებზე ორიენტირების სიძნელე, სახლის და მასში ყოფნასთან დაკავშირებული კომფორტის დატოვების შიში და შიში იმ არსებების მიმართ რომლებიც მასზე დიდები და ძლიერები არიან. ნაცარქექია სხვა ზღაპრების ძლიერი და უშიშარი გმირებისგან სწორედ ამ მახასიათებლებით განსხვავდება მაგრამ ესგავსება მკითხველს - ბავშვს. ამ ზღაპრის ძირითადი ღირსებაც ისაა რომ გმირის - და შესაბამისად მკითხველის - შეზღუდვების მიუხედავად ბედნიერი დასასრულით მთავრდება.

ცნობილი გამონათქვამი: “ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსაო” ფაქტიურად იგივე აზრს გადმოსცემს, რასაც ნაცარქექია, თუმცა გადმოცემის მხატვრული ხერხები განსხვავდება. “ნაცარქექია” პირდაპირ არასოდეს არ ამბობს რომ “ხერხი სჯობია ღონესა”, არამედ მისი სიუჟეტის გაანალიზების შედეგად მკითხველი თავად მიდის ამ დასკვნამდე. ხალხური გამონათქვამის შემთხვევაში კი ეს გზავნილი მკითხველს მზა სახით მიეწოდება - როგორც რაღაც რაც უკვე დადგენილია, თუმცა რის საფუძველზეა დადგენილი, რა გამოცდილებამ მიიყვანა მისი ავტორი ამ აზრამდე ეს უცნობი რჩება. ზღაპრის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, ის მკითხველს საშუალებას აძლევს თავად გამოიტანოს “გაკვეთილი” მისი სიუჟეტიდან. როდესაც ასეთი დასკვნა თავად ადამიანის მიერაა გაკეთებული და არა სხვის მიერ, ის უფრო დამაჯერებელია და შესაბამისად მისი ინტერნალიზაციის და ქცევაში გადატანის ალბათობა უფრო მეტია.

“ნაცარქექია” იყენებს მეტაფორას, რათა აჩვენოს რომ ზარმაცი და უსაქმური ადამიანის ცხოვრება ნაცრის ქექვასავითაა - რომელიც უინტერესო და მოსაწყენია და შედეგი არავისთვის მოაქვს. თუმცა, სახლის დატოვებასთან და გარეთ გასვლასთან ერთად, ცხოვრება ბევრად უფრო საინტერესო ხდება და წარმატების მიღწევა აღვილდება. როგორც ყველა კარგი მეტაფორა ზღაპრებში, ესეც არ ახვევს მკითხველს თავზე რაიმე იდეას ან წესს. ის ქმნის უბრალო ხატს, რათა მკითხველს საშუალება მისცეს გაანალიზოს და ერთმანეთს შეადაროს ყოფიერების ორი ფორმა: სახლში ჯდომა და არაფრის კეთება და სახლიდან გასვლა და იმ გამოწვევების მიღება, რასაც ცხოვრება გვთავაზობს. რადგან პირველი წარმოდგენილია მოსაწყენი სურათით ხოლო მეორე ტრიუმფით მთავრდება, საკუთარ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე რომ უკეთესია შეეცადო რაიმეს კეთება (ყველა შიშის და ეჭვის მიუხედავად), ვიდრე მთელი ცხოვრება უცვლელ და ჩაკეტილ გარემოში გაატარო, თუნდაც ის ჩვენთვის უფრო კომფორტული ჩანდეს.

ასე რომ, გმირის ამბივალენტურობის მიუხედავად “ნაცარქექია” ასწავლის მკითხველს, რომ საჭიროა სახლიდან გასვლა იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიო, რომ ძალა შეიძლება გონებით დაამარცხო, რომ შიში ბუნებრივია და რომ ყველაზე ზარმაც და სუსტ ადამიანსაც კი შეუძლია წარმატებას მიაღწიოს თუ მის ხელში არსებულ რესურსებს ჭკვიანურად გამოიყენებს.

4.2. წიქარა

წიქარა ყველასთვის ცნობილი ქართული ზღაპარია. პირველი ასოციაცია რასაც ის ქართველ მკითხველში იწვევს მეგობრობაა. ესაა ისტორია ბიჭზე, რომლის მამასაც ბოროტი დედინაცვალი შვილის მოკვლის აუცილებლობაში დაარწმუნებს. თუმცა ბიჭს მისი ხარი - წიქარა იხსნის, გაიყვანს ტრიალ მინდორზე, შემოსვამს ალვის ხეზე, ორ სალამურს - საჭირვარამოსა და სალხინოს - მისცემს და ეტყვის: “შენ აქ იჯექი. თუ რამე გაგიჭირდეს საჭირვარამო სალამური დაუკარი და მაშინვე აქ გაუჩნდები, თუ გილხინდეს, სალხინო სალამური დაუკარი, საჭმელსაც მოგიტან და სასმელსაცო” (Chikovani, 1999, გვ. 173). ერთ მეცხვარეს შემურდება წიქარასი, ჩამოიტყუებს ბიჭს ალვის ხიდან (რითაც ბიჭი წიქარასთვის მიცემულ პირობას არღვევს) და ცხრაკლიტულში გამოამწყვდევს. ბიჭი საჭირვარამო სალამურს დაუკრავს და წიქარა მასთან გაჩნდება. ხარი 8 კლიტეს გატეხავს და მეცხვრეზე რქას მოიტეხს. თავი მას რქის გამთელებას სთავაზობს მაგრამ სანაცვლოდ მის ლეშს ითხოვს. რადგან ეს ბიჭის გადარჩენის ერთადერთი გზაა წიქარა თანხმდება. ის დაიხსნის ბიჭს ტყვეობიდან, დააბრუნებს ხეზე და მინდორში მიდის. ბიჭს ენატრება წიქარა, უკრავს საჭირვარამო სალამურზე მაგრამ წიქარა არ ჩანს. ის ჩამოდის და წიქარას მკვდარს ნახულობს. მას შემდეგ ბიჭს აღარც სალხინო სალამურზე დაუკრავს და აღარც საჭირვარამოზე¹.

ზღაპრის გმირი ჩვეულებრივი ბიჭია, რომელსაც დედინაცვალი ჩაგრავს. სხვა ზღაპრების გმირებისგან განსხვავებით ის არც ძლიერია, არც სილამაზით ან სიმამაცით გამოჩეული და არც განსაკუთრებულად ჭკვიანი ან მოხერხებული. ის ჩვეულებრივი პატარა ბიჭია რომელიც ტირის, ეშინია, და გადარჩენისთვის სხვისი დახმარება ჭირდება. ბეთელჰაიმისთვის ის არ იქნებოდა სანიმუშო გმირი, რომელიც ზღაპარში პოლარობას წარმოშობს. თუმცა ის არის გმირი, რომელთან იდენტიფიცირებაც შესაძლოა იმაზე ადვილი იყოს ბავშვისთვის ვიდრე სხვა გმირებთან, რომლებსაც

¹ არსებობს წიქარას სხვა ვერსიებიც, რომელშიც თავი წიქარას და ბიჭს სიცოცხლეს ჩუქნის, თუმცა აქ განხილული წიქარას ვერსია ყველაზე ძველია, რაც გვაფიქრებინებს რომ ზღაპარმა სემდგომ განიცადა მოდიფიკაცია.

ბავშვებთან ნაკლები საერთო გააჩნიათ. ის ფაქტი, რომ ბიჭს სახელიც არ აქვს, კიდევ უფრო აადვილებს მასთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. მისი ერთადერთი მეგობარი ხარია და ეს მეგობრობა ამ ზღაპრის ლეიტმოტივაა.

სხვა ზღაპრებთან შედარებით “წიქარა” ატიპიური ისტორიაა რადგან ორიგინალურ ვერსიაში ის წიქარას სიკვდილით მთავრდება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბედნიერი დასასრულის არქონის გამო ეს ზღაპარი არაა ღირებული და მოსაწონი მკითხველისთვის? ბეთელჰაიმი ალბათ არ მიიჩნევდა “წიქარას” კარგ ზღაპრად, არა მხოლოდ გმირის ამბივალენტობის გამო, არამედ მისი დასასრულის გამოც. თუმცა მე შევეცდები ვაჩვენო, რომ მეტაფორების დახმარებით “წიქარა” ღირებულ გაკვეთილებს გადმოგვცემს და რომ მეტაფორებზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია იმისთვის, რომ დავინახოთ ზღაპრების ძალა. ბეთელჰაიმის თვალსაზრისით თუ მივუდგებით, „წიქარა” უსარგებლო ტრაგედიად წარმოგვიდგება. მაგრამ თუ ამ ისტორიას შევხედავთ მეტაფორების თვალსაზრისით, ვნახავთ რომ ის რეალობას კარგად ასახავს და სულ მცირე სამ ძალიან მნიშვნელოვან გზავნილს აწვდის მკითხველს: 1. გადმოცემს მეგობრობის იდეას და მიმზიდველს ხდის მას მკითხველოსთვის 2. გვასწავლის როგორ შევიცნოთ ნამდვილი მეგობარი 3. მიუთითებს მეგობრობის საზღვრებზე. შევეცდები ავხსნა თუ როგორ ახერხებს “წიქარა” თითოეულ მათგანს.

“ბიჭს ერთი ხარი ჰყავდა, სახელად წიქარა, რომელიც ძალიან უყვარდა. ყოველდღე მინდორში დაჰყავდა. დაბინდებამდე აძოვებდა, აბანავებდა, ჩრდილში ასვენებდა, რომ სიცხეს არ შეეწუხებინა და მისი მოვლით თვითონაც ერთობოდა” (Chikovani, 1999, გვ. 172). ეს სურათი მკითხველს შთაბეჭდილებას უქმნის მეგობრობაზე და ეუბნება რომ მეგობრობა ორივე მხარესთვის სასიამოვნო და სასარგებლო უნდა იყოს. მეგობრები არა მხოლოდ ზრუნავენ ერთმანეთზე, არამედ ამისგან სიამოვნებასაც იღებენ. მეგობრობა მათ ცხოვრებას უფრო სავსეს, საინტერესოს და სასიამოვნოს ხდის და ყოველდღიური პრობლემებისგან განთავისუფლების საშუალებას წარმოადგენს.

წიქარა ჩვეულებრივი ხარი არაა. მას მაგიური თვისებები გააჩნია: შეუძლია მომავლის წინასწარმეტყველება, ჩვეულებრივი საგნების გადაქცევა დაბრკოლებებად მტრის წინამდეგ და ა.შ.. შესაბამისად, ბიჭის და წიქარას მეგობრობას მთელ ზღაპარში მაგიური ელფერი დაკრავს, რაც ამ მეგობრობას კიდევ უფრო მიზიდველს და ჯადოსნურს ხდის.

წიქარა მეგობრისთვის სიცოცხლეს წირავს და ამით იდეალური მეგობრობის მაგალითს იძლევა. იმის გამო, რომ ასეთი მეგობრობა რეალურ ცხოვრებაში იშვიათია (თუმცა არაა არარეალური), ვინმეს შესაძლებელია გაუჩნდეს კითხვა იმის თაობაზე ხომ არ აჩენს “წიქარა” მკითხველში არარეალურ მოლოდინებს მეგობრების მიმართ. თუმცა, როგორც ლუისი (1966) ამტკიცებს, მკითხველს ნამდვილი ტყე იმედს კი არ უცრუებს იმის გამო რომ მან ზღაპარში ჯადოსნურ ტყეზე წაიკითხა, არამედ, ეს წაკითხული რეალურ ტყეებსაც ჯადოსნურ ელფერს აძლევს (გვ. 29). იმედგაცრუების ნაცვლად, ზღაპრები გვეხმარებიან დავაფასოთ რეალური სამყარო. შესაბამისად, “წიქარა” არარეალისტურ მოლოდინებს კი არ აჩენს, არამედ ნამდვილ მეგობრობას წარმოაჩენს ისეთივე მიმზიდველად და ჯადოსნურად, როგორც ზღაპარში წიქარას და ბიჭის მეგობრობაა. წიქარა თავს წირავს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) მეგობრისთვის, მაგრამ რეალურ ცხოვრებაშიც ადამიანები მზად არიან მსხვერპლი გაიღონ მეგობრისთვის როდესაც ეს საჭიროა. “წიქარაში” მეგობრობის ეს იდეა მარტივი ისტორიის სახითაა გადმოცემული.

მეორე იდეა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ჭეშმარიტი მეგობრის შეცნობა რეალურ ცხოვრებაში არც ისე ადვილია. მეგობრებს მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია აკისრიათ და შესაბამისად, მეგობრების სწორად შერჩევა ჩვენს ცხოვრებაში ბევრს რამეს განსაზღვრავს. ამასთან ბავშვებისთვის, რომლებიც ხშირად გულუბრყვილო არსებებად განიხილებიან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისწავლონ ნადვილი და ყალბი მეგობრების გარჩევა, ისე რომ არ დაკრავონ ნდობა ადამიანების მიმართ. “წიქარა” მეტაფორების გამოყენებით ასწავლის მკითხველს მეგობრების გარჩევას. თუ

საჭირვარამო და სალხინო სალამურებს შევხედავთ როგორც რეალურ ცხოვრებაში ბედნიერი და სირთულეებით აღსავსე დღეების ცვალებადობის მეტაფორას, ადვილია დავინახოთ აზრი, რომელიც დევს წიქარას გამოჩენაში როდესაც საჭირვარამო სალამური უკრავს. ეს მკითხველს პრაქტიკულ მინიშნებას აძლევს იმის შესახებ, თუ როგორ ვიცნოთ ნამდვილი მეგობარი. ის ამბობს, რომ გარდა იმისა, რომ ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს ხდის, ნამდვილი მეგობარი ყოველთვის ჩნდება მაშინ, როდესაც გიჭირს და მზადაა ყველაფერი გააკეთოს შენთვის.

იგივე იდეაა გაუღრებული ცნობილ ქართულ გამონათქვამში: “მეგობარი ჭირში იცნობაო”. “წიქარა” იგივეს ამბობს, თუმცა არა პირდაპირ, როგორც ამას ეს გამონათქვამი აკეთებს, არამედ იმ ვიზუალური ხატების საშუალებით და მეტაფორებით რომელსაც ზღაპარში ვხვდებით. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებული გამონათქვამი ბავშვისთვის შესაძლოა ადვილად გასაგები არ იყოს, ისინი მაშინვე წვდებიან მეგობრობის იდეას “წიქარას” საშუალებით, რომელიც არა მხოლოდ ასახავს მეგობრობას, არამედ მას ჯადოსნურ ელფერს სძენს და ნამდვილი მეგობრობას ყველასთვის სასურველად და მიმზიდველად წარმოაჩენს.

იდელური მეგობრის ხატის შექმნასთან ერთად, “წიქარა” გაფრთხილებასაც შეიცავს იმის შესახებ, რომ ყველაზე თავგანწირულ მეგობრობასაც აქვს თავისი შეზღუდვები. ამ შეზღუდვების გაცნობიერება აუცილებელია იმედგაცრუების თავიდან ასარიდებლად. წიქარას სიკვდილით ეს ზღაპარი სწორედ ამ შეზღუდვებს ეხება, თუმცა ისე რომ იმედს და ნდობას არ კლავს მკითხველში. ის, რომ მეგობრებისგან გაჭირვების დროს თანადგომას ველით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნებიან. მათი შესაძლებლობები ბუნებრივად შეზღუდულია და ეს სულაც არ ამცირებს მეგობრობის მნიშვნელობას. პირიქით, ის მეგობრობას უფრო ღირებულად წარმოაჩენს ვიდრე ჩვენ მას რეალურ ცხოვრებაში ვაფასებთ. წიქარა გატეხავს რვა კლიტეს, მაგრამ მეცხრეზე რქა ტყდება.

წიქარას სიკვდილით, თუ ამას მეგობრობის ლიმიტის მეტაფორად განვიხილავთ, ზღაპრის დასარული ტრაგიკული კი არა უფრო რეალურია. ბიჭი ხიდან ჩამოდის მიწაზე და აღარც სალხინო სალამურზე უკრავს და აღარც საჭირვარამოზე. ალვის ხის კენწეროდან მიწაზე ჩამოსვლა შეიძლება განვიხილოთ როგორც მკაცრ რეალობასთან პირისპირ, მარტო დარჩენის მეტაფორა. ბიჭი აღარ უკრავს სალხინო სალამურზე, რადგან აცნობიერებს რომ ცხოვრება ისეთივე სასიამოვნო აღარაა. თუმცა ის არც საჭირვარამო სალამურზე უკრავს, რადგან ცხოვრება გრძელდება და მიუხედავად იმის რომ საუკეთესო მეგობრის დაკარგვა მის ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს, ის ცვლის ცხოვრებას, მაგრამ არ ხდის მას ტრაგიკულს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზავნილი, რომელსაც “წიქარა” მკითხველს გადასცემს არის პირობის შესრულების აუცილებლობა. ბიჭი სწორედ მაშინ კარგავს მისთვის საყვარელ მეგობარს, როდესაც ის მისთვის მიცემულ პირობას არღვევს. ვფიქრობ, ამ ადგილს ისეთივე მორალური დატვირთვა აქვს, როგორც მაგალითად “მეფე ბაყაყის” სიუჟეტს, რომელიც მკითხველს პირობის შესრულების აუცილებლობაზე მიუთითებს. განსხვავება “წიქარას” და “მეფე ბაყაყს” შორის ისაა, რომ პირველი პირობის დარღვევით გამონვეულ უარყოფით შედეგს უსახავს მკითხველს, მეორე კი - პირიქით, დანაპირების შესრულებით გამონვეულ დადებით შედეგზე აკეთებს აქცენტს. ორივე ზღაპარი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სიუჟეტით და გმირებით, ერთნაირ გზავნილს გადასცემენ მკითხველს, იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვანია დანაპირების შესრულება. თუმცა “მეფე ბაყაყში” ეს გზავნილი მთავარია, “წიქარაში” კი ის მეორეხარისხოვანია მეგობრობის თემასთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრის მთავარი გმირი ბიჭია, წიქარა არის ის გმირი, რომელიც მკითხველზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მეგობრობის იდეალურ ხატს ქმნის და მკითხველს ასწავლის. ეს ეწინააღმდეგება ბეთელჰაიმის მოსაზრებას რომ გმირი ყოველთვის ყველაზე მიმზიდველია მკითხველისთვის, რომელიც გმირთან იდენტიფიკაციის საფუძველზე სწავლობს.

შესაძლოა მკითხველმა მართლაც ბიჭთან მოახდინოს იდენტიფიკაცია, მაგრამ წიქარა უდავოდ რჩევა ყველაზე მიმზიდველ და დადებით გმირად ზღაპრის განმავლობაში.

“წიქარა”-ს ანალიზი გვიჩვენებს ბეთელჰაიმის თეორიის შეზღუდვებს, რომელიც არ ხსნის ყველა იმ მექანიზმს რასაც ზღაპრები იყენებენ მკითხველის დასარწმუნებლად. მე შევეცადე ეს თეორია შემეფასო რაფელის თეორიით მეტაფორების შესახებ და მეჩვენებინა, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ცვლის ზღაპრების აზრის და მნიშვნელობის გაგებას.

4.3. აბესალომ და ეთერი

“აბესალომ და ეთერი” (იგივე “ეთერიანი”) ერთ-ერთი უძველესი და ქართველებისთვის საყვარელი ზღაპარია. ამ ისტორიის ცამეტი ვარიანტის საფუძველზე “ეთერიანი” პირველად 1875 წელს გამოქვეყნდა პ.უმიკაშვილის მიერ და გამომცემლის მიერ ზღაპრადაა წოდებული (კიკნაძე, 2001). თუმცა, მოგვიანებით, ქართველმა მეცნიერებმა მას რომანტიკული ეპოსი უწოდეს მისი ტრაგიკული დასასრულის გამო (ჩიქოვანი, 1952; კიკნაძე, 2001). ბეთელჰაიმის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით, ეს ზღაპარი ბავშვებისთვის უვარგისად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მას ბედნიერი დასასრული არ აქვს. თუმცა, მიმაჩნია, რომ დასასრულის ტიპის მიხედვით ზღაპრების კლასიფიკაცია მათ პრიმიტიულ გაგებას წარმოადგენს და იგნორირებას უკეთებს ზღაპრის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა რეალური ცხოვრების ასახვა და ცხოვრებისეული გაკვეთილების გადმოცემა. ვფიქრობ, ფსიქოლოგებისთვის და განმანათლებლებისთვის ეს უკანასკნელი უკეთესი კრიტერიუმია ზღაპრების, და ზოგადად საბავშვო ლიტერატურის ანალიზისთვის და კლასიფიკაციისთვის.

“აბესალომ და ეთერს” ბევრი საერთო აქვს ზღაპრებთან. პირველ რიგში, მისი დასაწყისი - “იყო და არა იყო რა” - ტიპიურია ქართული ზღაპრისთვის და ასეთი დასაწყისი არც ერთ სხვა ლიტერატურულ ჟანრში არ გვხვდება. ასევე, მასში აღწერილი მოვლენები, დასარული გარდა, სრულად ჯდება ზღაპრის ტიპურ სტრუქტურაში. თუმცა, როგორც ვნახეთ, ქართულ ზღაპრებში ეს არაა ერთადერთი შემთხვევა ბედნიერი დასასრულის არქონის. შესაძლოა ბედნიერი დასასრული არ ქონა ქართული ზღაპრების უნიკალური მახასიათებელი იყოს, რომელსაც შემდგომი კვლევა ჭირდება და არა ასეთი ზღაპრების ზღაპრების კატეგორიიდან გამორიცხვა.

დღეს “აბესალომის და ეთერის” 100-ზე მეტი ვერსია ინახება ბიბლიოთეკის არქივებში, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ამ ზღაპრის პოპულარობას. მის მნიშვნელოვნებაზე ხალხისთვის მიუთითებს ის ფაქტიც რომ ის შესულია ქართული ენის

სკოლის სახელმძღვანელოში შექმნილი კლასის სავალდებულო პროგრამაში (გორდელაძე, ჩხენკელი, კუხიანიძე, 2011). ეს ზღაპარი ასევე საფუძვლად დაედო ზაქარია ფალიაშვილის ცნობილ ოპერას “აბესალომ და ეთერი”. აქ განხილული ზღაპარი, სწორედ სკოლის სახელმძღვანელოში შესულ ვერსიას ეფუძნება.

ზღაპრის პირველი ნაწილი ობოლ გოგოზეა, რომელსაც ეთერი ჰქვია და რომელიც ავი დედინაცვლის ხელში იტანჯება. ეთერი თავის პრინც - აბესალომს - შემთხვევით ტყეში ხვდება. პრინცი იხიბლება ეთერის სილამაზით და ცოლობას სთხოვს. ეთერი ფიქრობს, რომ აბესალომის ცოლობის ღირსი არ არის და შიშს გამოთქვამს, რომ აბესალომი მას მალე მიატოვებს. აბესალომი პირდება, რომ ერთგული იქნება:

“ზევიდან ღმერთი ცეცხლსა ჰყრის, ქვეშ აბესალომ უდგება,

ეთერო შენსა ღალატსა, ღვთის მეტი ვინ შეუდგება.

ომში ხმალამოლებულსა, აბჯარიმც ჩამომიწყდება,

წყალი, უწყლოსა ალაგსა, ზღვა იყოს, ამომიშრება,

შვიდი წლის გზასა მავალსა საგზალიმც დამიმინდება,

თოფი მტრისაკენ დახრილი, გულშიამც დამიბრუნდება.” (გვ.142)

აბესალომი ეთერს დანას ჩუქნის ერთგულების ნიშნად და თავის სამეფოში მიყავს. მათი ქორწინებით მთავრდება ტიპური ზღაპრის სიუჟეტი, მაგრამ იწყება ის, რაც ამ ისტორიას ატიპიურ (და ამავდროულად, ძალიან პოპულარულ) ზღაპრად აქცევს. აბესალომის და ეთერის ცხოვრებაში მესამე ადამიანი შემოდის აბესალომის მრჩევლის - მურმანის სახით. მურმანს ეთერი შეუყვარდება და ამ სიყვარულისთვის სულს ეშმაკს მიყიდის. ეშმაკი მურმანს სურვილს აუსრულებს და ჯვრისწერის მერე ეთერს ისეთი

მკბენარი დაეხვევა, რომელსაც ვერავინ აცლის და რომლის გამოც აბესალომი მასზე უარს ამბობს. მურმანი წაიყვანს ეთერს ცოლად, რომელიც მისი ერთი ხელის შეხებისთანავე განიკურნება. აბესალომი კი განშორების შემდეგ, ავად ხდება. ის მურმანს უკვდავების წყლის მოსატანად გზავნის, თავის და მარებს კი ეთერის მოსაყვანად. ეთერის დანახვისას აბესალომი კვდება და ეთერიც თავს იკლავს აბესალომის ნაჩუქარი დანით. აბესალომის და ეთერის საფლაავზე ვარდი და ია ამოდის, მურმანის საფლაავზე კი ეკალი, რომელიც ვარდს და იას გადახვევის საშუალებას არ აძლევს: “მურმანის საფლაავზე მწარე ეკალი ამოვიდა, აბესალომისა და ეთერისაზე კი - ვარდი და ია. გადაიხრებიან ვარდი და ია ერთმანეთის მოსახვევად, მაგრამ ეკალი დგას შუაში და უშლის მისვლას უშლის” (გვ.150). ასე მთავრდება ზღაპარი და მკითხველს ამ სურათით შექმნილ ძლიერ მეტაფორასთან სტოვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ისტორიის ყველა გმირი საკმაოდ რეალისტურია და როგორც კარი ზღაპრისთვისაა დამახასიათებელი, ისტორია მარტივი ენითაა დაწერილი, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მსგავსი რამ ყველას შეიძლება დაემართოს. დიალოგები პოეზიის სახითაა წარმოდგენილი, რაც ზღაპარს კიდევ უფრო სასიამოვნო წასაკითხს ხდის. მაგრამ, რაც მთავარია, ეს ზღაპარი კიდევ ერთი ნიმუშია იმის, თუ როგორ შეიძლება მორალური გაკვეთილების გადმოცემა არაავტორიტარული გზით და ისე, რომ მკითხველს თუ მსმენელს თავს არ მოახვიო რაიმე წესი, არამედ დაათქვამოს პრინციპზე, საიდანაც წესები გამომდინარეობს და საშუალება მისცე თავად გადაწყვიტოს როგორი საქციელია უფრო “კარგი” ანუ მორალურად გამართლებული.

ამ ზღაპრის ყველა გმირი სხვადასხვა “გაკვეთილს” გვასწავლის, რაც მის წარმატებულობას განაპირობებს. აბესალომი, ეთერი და მურმანი თანაბრად მნიშვნელოვანი პერსონაჟები არიან და უნიკალურ სახეებს ქმნიან ამ ზღაპარში.

აბესალომი ისჯება ეთერისთვის მიცემული პირობის გატეხვის გამო. მის მაგალითზე, ზღაპარი გვასწავლის პირობის შესრულების საჭიროებას, რაც როგორც ჩესტერტონი აღნიშნავს, ასე მნიშვნელოვანია ზღაპრებში და ეთიკაში. ის, რაც ამ ზღაპარს ეფექტურს ხდის არის არა თვითონ გზავნილი, რომ პირობის გატეხვა არ შეიძლება, არამედ კომუნიკაციის ის ფორმა, რომლითაც ეს გზავნილი მკითხველამდე მიდის. სწორედ კომუნიკაციის ასეთი ფორმა, რომელიც არც ემუქრება ან აშინებს მკითხველს და არც ჭკუას არიგებს, განასხვავებს ზღაპარს მითისგან, სამეცნიერო ან სხვა ლიტერატურული ჟანრისგან, რომელსაც შესაძლოა იგივე გზავნილი ჰქონდეს, მაგრამ ნაკლებად ეფექტური იყოს, განსაკუთრებით ბავშვთა განათლებისთვის. აბესალომის ბედი მკითხველში თანაგრძობას იწვევს მისი ადამიანური სისუსტის გამო, რაც ადამიანებს მასთან აერთიანებს. თავისი სისუსტით, აბესალომი უფრო ახლოსაა მკითხველთან, ვიდრე მითების ან სხვა ზღაპრების ტიპური გმირები. აბესალომი რომ ისეთი ზღაპრის ტიპური გმირი ყოფილიყო, რომელსაც ბეთელჰაიმი კარგ ზღაპრად მიიჩნევს, ის არ დაარღვევდა პირობას და არ მიატოვებდა ეთერს მისი ნაკლის გამო. მაგრამ, აბესალომი პირობის დარღვევას ამჯობინებს იმ ტანჯვას, რასაც პირობის არგატეხვა მოუტანდა. რეალურ ცხოვრებაში ასე ხშირად ხდება. ზღაპარი აბესალომს ხატავს არა ისეთ გმირად, რომელიც სამართლიანად დაისაჯა, არამედ ადამიანად, რომელმაც ვერ გაუძლო ბოროტი ძალის გამოცდას და დამარცხდა.

მეორე მთავარ გმირს, ეთერს, ზღაპრის დასაწყისში ბევრი საერთო აქვს კონკიასთან, თუმცა მისი ბედი კონკიას ბედისგან მკვეთრად განსხვავდება. ის უსიყვარულოდ ცხოვრობს მურმანთან მცველებით გარს შემორტყმულ ბროლის კოშკში:

“რას კითხულობ, ცათა სწორო, ცოლის ქება აუგია,

შენც გინახავს ბროლის ციხე, წვერი ცამდის აულია.

შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია,

წელი წვრილი, ბეჭი ფართე, თეძოს თავი დაბალია,

შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი, საფეთქელი მწყაზარია,

ცხვირი სტვირი, კბილი მძივი, ბაგე ხახვის ფურცელია,

ცხრა მული გვერდსა უსხედან, ყველა პირის ფარეშია.

დედამთილი ზურგთან უზის, გიშრის თმების დამწვნილია,

ცხრა მაზლი კარებზე დგანან; დალესილი აღმასია,

მამამთილი ერდოზე წევს გველეშაპის მომკლავია.” (გვ. 144)

თადაპირველად, შეიძლება მკითხველს გაუგებრად მოეჩვენოს რა არის ცუდი ასეთ ცხოვრებაში. თუმცა, თუ ჩვენ ამ სურათს შევხედავთ როგორც მეტაფორას, რომელიც ვინმესთან უსიყვარულოდ ცხოვრებას ასახავს, ბევრი რამ ნათელი გახდება. ბროლის სასახლე, ეთერს საშუალებას აძლევს დაინახოს რა ხდება გარე სამყაროში, მაგრამ საშუალებას არ აძლევს თვითონ გავიდეს და გახდეს იმისი ნაწილი, რაც გარეთ ხდება. მისი ცხოვრება კოშკში მოსაწყენი და ტრივიალურია. ის ჩაკეტილია და იზოლირებულია ყველასგან. ეს მეტაფორა აჩვენებს როგორია ქორწინება სიყვარულის გარეშე და რომ ყველაფერი, რაც შეიძლება ერთი შეხედვით მიმზიდველად ჩანდეს შეიძლება ყველაზე მკაცრ ციხედ გარდაიქმნას და ცხოვრება მოსაწყენი და აუტანელი გახადოს. ეს არის ის, რასაც რაფელი ზღაპრებში ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს - მეტაფორის ძალას, რომელიც მკითხველს შთააგონებს არ იცხოვროს ადამიანთან, რომელიც არ უყვარს, რადგან ასეთი ცხოვრება შეიძლება პატიმრობას დაემსგავსოს. ასეთი ყოფის ვიზუალიზაციით, მეტაფორა მკითხველს მისი უარყოფითი ასპექტების გაანალიზებისკენ უბიძგებს და ეხმარება მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, სურს თუ არა მანაც ასე იცხოვროს.

მურმანის შემოყვანით, ეს ზღაპარი მკითხველს ასწავლის, რომ ორ ადამიანს შორის ჩადგომა, რომელთაც ერთმანეთი უყვართ დაუშვებელია. კომუნიკაციის გზა, რომლითაც ეს გზავნილი გადმოცემულია, ისევ მეტაფორაა, რომელსაც ზღაპრის დასასრულს ვხვდებით. მურმანის საფლაგზე ეკალი ამოდის, რომელიც ორ შეყვარებულს (ვარდს და იას) გადახვევის საშუალებას არ აძლევს.

ერთი შეხედვით, ეს მეტაფორა რეალობისგან შორსაა - არავის შეუძლია სიკვდილის შემდეგ ეკლად გარდაიქმნას და ხელი შეუშალოს ორი ერთმანეთზე შეყვარებული ადამიანის ერთად ყოფნას სიკვდილის შემდეგ. თუმცა ადამიანებს ნამდვილად შეუძლიათ ამისი გაკეთება სანამ ცოცხლები არიან და სწორედ ასეთ საქციელს ეხება მეტაფორა, რომელიც ამბობს, რომ ასეთი ადამიანები ორ ლამაზ ყვავილს შორის ამოსულ ეკალს გვანან. ძნელია, მოიფიქრო უკეთესი გზა მურმანის საქციელის აღსაწერად, ვიდრე ეს მეტაფორაა. ის ეფექტურია, რადგან არაფერს ახვევს მკითხველს თავზე, უბრალოდ მარტივი ხატით გამოსახავს მურმანის საქციელს და დასკვნის გაკეთებას მკითხველს ანდობს.

პირველი სურვილი, რაც ადამიანს ყვავილებს შორის ამოსული ეკლის დანახვაზე გაუჩნდებოდა, ალბათ ეკლის ამოძირკვა იქნებოდა, რათა ლამაზი ყვავილები უკეთ გამოჩენილიყვნენ და გაზრდილიყვნენ. ანალოგიურად, ეს მეტაფორა მკითხველში იწვევს სურვილს ყველა საშუალებით აირიდოს თავიდან ისეთი ქცევა, რომელიც მას სხვის თვალში ეკლად აქცევს. რეალურ ცხოვრებაშიც, ადამიანები ყოველთვის არ აცნობიერებენ საკუთარი ქცევის მოსალოდნელ შედეგებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე სიყვარულს ეხება. ეს მეტაფორა საშუალებას აძლევს მკითხველს გაიაზროს ზოგიერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც შესაძლოა აკრძალულმა სიყვარულმა მოიტანოს. როდესაც მკითხველი იაზრებს, რომ ასეთ საქციელს შეუძლია ის სხვის თვალში ეკლად წარმოაჩინოს, ის ეცდება თავიდან აირიდოს ასეთი ქცევა.

მიუხედავად მასში წარმოდგენილი საკითხის სირთულისა, “აბესალომ და ეთერი” ახერხებს მორალური იდეის მკითხველამდე მიტანას მარტივი გზით. არსებობს ბევრი სხვა წყარო, რომელიც ცდილობს მსგავსი გზავნილის გადმოცემას. ეს წყარო შეიძლება იყოს მშობელი, მეგობარი, საეკლესიო პირი/ლიტერატურა თუ სამეცნიერო ნაშრომი. თუმცა, ყველა მათგანი ან წესების (აკრძალვების) ენით საუბრობს, ან ენით, რომელიც ბავშვისთვის რთულად გასაგებია, რადგან წინასწარი ცოდნის არსებობას მოითხოვს რაიმე საკითხზე. სწორედ ამიტომ, შესაძლოა ზემოთ ჩამოთვლილი წყაროები ნაკლებად ეფექტური იყვნენ იგივე გზავნილის ბავშვისთვის მიწოდებაში, ვიდრე აბესალომის და ეთერის მარტივი ამბავი, რომელიც მეტაფორას იყენებს მორალურად გაუმართლებელი ქცევის წარმოსაჩენად. ის არაფერს ახვევს მკითხველს თავს, არამედ ეხმარება წარმოიდგინოს კონკრეტული საქციელის უარყოფითი შედეგები და აჩენს კითხვას: გვინდა თუ არა რომ ეკალს დავემსგავსოთ? ამასთან, ეს ზღაპარი ამ კითხვაზე პირდაპირ არ პასუხობს კითხველის ნაცვლად. ის საშუალებას აძლევს მკითხველს თავად გასცეს პასუხი ამ კითხვას. ამგვარად, მკითხველი საკუთარი ანალიზიდან სწავლობს, რომელიც განვითარების ყველა ეტაპზე შესაძლებელი და არ მოითხოვს განსაკუთრებულ კოგნიტურ უნარებს. ეს ზღაპარი იყენებს მარტივ ენას, და მის მიერ გადმოცემული გზავნილი (პრინციპი) გასაგებია ყველასთვის, ვისაც არ უნდა რომ ორ ლამაზ ყვავილს შორის ამოსული ეკალი იყოს.

ასეთი სწავლების ეფექტურობა, იმითაც დასტურდება რომ “მურმანის ეკალი” კარგად ცნობილი და ხშირად გამოყენებული ტერმინია ქართულ ენაში. “მურმანის ეკალს” დღემდე უწოდებენ ადამიანს, რომელიც ცდილობს ხელი შეუშალოს ორი ადამიანის სიყვარულს და/ან კომფორტს. ყოველთვის, როდესაც თავს მურმანის მსგავსი საქციელის ჩადენის რისკის წინაშე აღმოვაჩინოთ, ჩვენ მშობლის დარიგება, რელიგიური აკრძალვები ან სხვადასხვა ფილოსოფოსის მორალური არგუმენტები კი არ გვახსენდება, არამედ წარმოგვიდგება ეკლის მარტივი ხატი, რომელიც სიგნალივით მოქმედებს და გვახსენებს აბესალომის და ეთერის სრულ ისტორიას იმ უარყოფითი ემოციების ჩათვლით, რასაც მურმანის ეკალი იწვევს. ეს ემოცია, რომელიც შინაგანია

და არავის მოუხვევია ჩვენთვის თავს, ჩვენს გადანწყვეტილებასთან ერთად, რომ არ გვინდა ეკალს დავემსგავსოთ, ბევრად უკეთ ამუხრუჭებს არასასურველ ქცევას, ვიდრე სხვა შეგონება, აკრძალვა თუ წესი, რომელიც გარედან მოდის.

ამასთან, ეს ზღაპარი, არც ისე პესიმისტურია როგორც თავიდან ჩანს. მისი მთავარი გზავნილი არ არის ის, რომ სიყვარულის ბუნებრივი ბოლო ტრაგიკულია. პირიქით, ის ამბობს, რომ სიყვარულის ბუნებრივი ბოლოს - ბედნიერებას- შესაძლოა ხელი შეუშალოს ბოროტმა ძალამ და მკითხველს მოუწოდებს არ გახდეს ასეთი ძალა, რომელიც სხვების სიყვარულის და ბედნიერების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ის, თუ როგორ მოქმედებს ეკლის ხატი მკითხველზე, ძალიან ჰგავს იმას, რასაც რაფელის აზრით საუკეთესო ზღაპრები აკეთებენ - შთაგონებენ მკითხველს მეტაფორების საშუალებით, რომლებიც რეალობს ნათელს ჰფენენ და ამავდროულად ჯადოსნურ ელფერს აძლევენ. ცენტრალური შედარება ვარდს და იას შორის ამოსულ ეკალს და სხვისი სიყვარულის და ბედნიერების ხელისშემშლელად ყოფნას შორის, ისეთივე გზით მოქმედებს მკითხველზე, როგორც “კონკიაში” ქომის მორგება, რომელიც დამსახურებების აღიარების და სიმართლის გამარჯვების მეტაფორაა. მაგრამ, ის, რაც “აბესალომ და ეთერის” გამორჩეულს ხდის, არის ის, რომ მეტაფორა, უარყოფითი ხატის სახით ჩნდება ზღაპრის დასასრულს რომელიც სხვა ზღაპრებით ბედნიერი არ არის. ბეთელჰაიმი მიიჩნევს, რომ ასეთ ზღაპრებს კარგი არაფერი მოაქვთ ბავშვებისთვის - მხოლოდ პესიმიზმი. თუმცა ქართველებისთვის კარგად ცნობილი გამოთქმა “მურმანის ეკალი” საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

და ბოლოს, ამ ზღაპრის, ისევე როგორც სხვა კარგი ზღაპრების, წაკითხვისას, მახსენდება ლუისის (1966) რჩევა, რომელსაც იგი ბავშვებისთვის მწერლებს აძლევს: “აცადეთ ზღაპარს გიჩვენოთ თავისი მორალი, მაგრამ თუ არ გიჩვენებთ, ნუ ჩადებთ მასში ნურანაირ მორალს” (გვ. 33). ეს ეხება არა მხოლოდ საბავშვო ლიტერატურას, არამედ ნებისმიერ ლიტერატურას. “აბესალომ და ეთერი” არაა მხოლოდ საბავშვო

ზღაპარი. მისი ძირითადი ღირებულება იმ ხელოვნებაში მდგომარეობს, რომელსაც მეტაფორები ქვია და რომელიც მორალს თავისთავად გვიჩვენებს. ამ ზღაპრის მორალი თანდაყოლილია და მისგან განუყოფელი, რაც მკითხველს ისე ასწავლის, რომ “რეალობის შინაგან კონსისტენტურობას” (Tolkien, 1988) არ არღვევს.

4.4. მიწა თავისას მოითხოვს

“მიწა თავისას მოითხოვს” საკმაოდ ძველი ზღაპარია. მისი სხვადასხვა ვერსიები სხვადასხვა სახელითაა ცნობილი (მაგალითად: “უკვდავების მადიებელი”). ზღაპრის ის ვერსია, რომელიც მოცემულ ნაშრომშია გაანალიზებული, თედო რაზიკაშვილის მიერ გორში იქნა ჩანერილი 1890 წელს. მიუხედავად იმის, რომ იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვისგანაც თედო რაზიკაშვილმა მოცემული ზღაპრის ვერსია ჩაიწერა ცნობილია, ის ბევრს ვერაფერს გვეუბნება მის შესახებ (Chikovani, 1999, გვ. 249). უცნობია ასევე ზუსტად როდის და როგორ შეიქმნა ეს ზღაპარი. ცნობილია, რომ ამ ზღაპრის თხუთმეტამდე ვარიანტი არსებობდა, რომელთაგან ზოგი მე-17-ე საუკუნეში იყო ჩანერილი (Chikovani, 1999, გვ. 249). სავარაუდოდ, რადგან ზღაპრები ადრე მხოლოდ ვერბალურად არსებობდნენ, ამ ზღაპრის პირველადი ვერსია ბევრჯერ შეიცვალა სხვადასხვა მთხრობელის მიერ. თუმცა მთავარი თემა - უკვდავების ძიება - უცვლელი რჩება მის ყველა ვერსიაში. მხოლოს ის ფაქტი, რომ ამ ზღაპარმა გაუძლო დროის ტესტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი ჩანერის და დაცვის არანაირი საშუალება არ არსებობდა, მიუთითებს რომ ის ხალხისთვის მნიშვნელოვანი და პოპულარული იყო.

ზღაპარი “მიწა თავისას მოითხოვს” ხშირად გვხვდება საბავშვო ლიტერატურაში და შეტანილია მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში. მას ფილოსოფიური შინაარსი აქვს. ესაა ერთი ბიჭის ისტორია, რომელსაც სიკვდილის ეშინია და უკვდავების საძებნელად სახლიდან მიდის. ის დიდი ხნის განმავლობაში ეძებს ადგილს, სადაც სიკვდილი არაა და საბოლოოდ პოულობს მას ლამაზი ქალის სახით. მიუხედავად უკვდავი ქალის გაფრთხილების, რომ იქ დიდხანს ვერ გაძლებს რადგან თავისი მიწა მოუხმობს, ბიჭი მასთან დარჩენას გადაწყვეტს. ძალიან მალე ბიჭს ბებრდება ერთფეროვანი ცხოვრება, მოენატრება საკითარი სოფელი და ხალხი და და სახლში დაბრუნებას დააპირებს. იმ ოთხ დღეში, რომელსაც ბიჭი იქ ატარებს სინამდვილეში მრავალი წელი გადის. ქალი აფრთხილებს მას, რომ ის ვეღარ ნახავს ნათესავებს რადგან ისინი უკვე დიდი ხანია ცოცხლები აღარ არიან. ბიჭი არ იჯერებს და რადგან

წასვლას არ იშლის, ქალი მას სამ ვაშლს აძლევს და ეუბნება იმ შემთხვევაში შეჭამოს თუ თავს სასონარკვეთილად იგრძნობს. სახლისკენ მიმავალი ბიჭი ხვდება რომ მისი წასვლის შემდეგ ძალიან დიდი დროა გასული. ის ვერ პოულობს ვერც დედას და ვერც სხვა ნათესავებს. საკუთარ სოფელში მას ყველა გაოცებული უყურებს. იმ ადგილას, სადაც ბიჭის სახლი იდგა ახლა მხოლოდ ხავსით დაფარული ნანგრევები ხვდება. ბავშვობის, დედის და მეგობების გახსენებაზე ბიჭი მოიწყენს და ვაშლს შეჭამს. პირველი ვაშლი, მას გაზრდის, მეორე- დააბერებს, ხოლო მესამე კლავს. მის გვამს სოფლის ხალხი მარხავს (Chikovani, 1999, გვ. 91).

ეს ისტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც “კოლექტიური ისტორია”, რომელიც რიჩარდსონის მიხედვით: “სოციალური კატეგორიის გამოცდილებას ასახავს ერთი ინდივიდის ამბავში, რომელიც ამ სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნება [...]. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნარატივი ადამინთა გარკვეულ კატეგორიას ეხება, კარგად გადმოცემულ კოლექტიურ ისტორიაზე ინდივიდუალური პასუხი შემდეგია: “ეს ისტორია ჩემია. მე მართო არ ვარ” (Richardson, 1990, გვ. 25-6 in Elliot, 2005, გვ.13). სავარაუდოდ, კარგი ზღაპრის ფუნქცია სწორედ ამ განცდის შექმნაა მკითხველში, რასაც რიჩარდსონი აღწერს და რასაც ბეთელჰაიმი გმირთან იდენტიფიკაციას ეძახის.

ზღაპარი “მინა თავისას მოითხოვს” ეხება უნივერსალურ და ყოველთვის აქტუალურ საკითხს, რომელზე ბავშვებთან საუბარსაც ხშირად გაურბიან. შეიძლება ითქვას, რომ ის კოლექტიური ცოდნა, რაც სიკვდილის შესახებ საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა ადამიანებში აქ სიმბოლური ფორმითაა გადმოცემული. ნარატივი მკითხველს მასში განვითარებულ მოვლენებზე დამკვირვებლის როლს სთავაზობს. მკითხველი აკვირდება, ეცნობა, ისმენს მისი მთავარი გმირის ისტორიას, თუმცა ის პასიური დამკვირვებელი არაა. ბავშვებს ადვილად შეუძლიათ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მოახდინონ ამ ზღაპრის გმირთან, რადგან ის ჩვეულებრივი ბიჭია და მსგავსი კითხვა უჩნდება სიკვდილის შესახებ, რაც მის თანამედროვე თანატოლებს. სწორედ ზღაპრის გმირთან იდენტიფიკაციით იწყება იდენტობის

კონსტრუქცია და რეკონსტრუქცია და კონკრეტული ქცევითი სკრიპტების ფორმირება. თუმცა, ამ კონკრეტული ზღაპრის შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ უფრო ცხოვრების ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე, ვიდრე მორალურობის. ზღაპრში “მინა თავისას მოითხოვს” რამდენიმე მნიშვნელოვანი გზავნილია:

- პირველი ისაა რომ ყველაფერს თავისი დასარული აქვს.
- მეორე ისაა რომ მისგან გაქცევას ან თავის არიდებას აზრი არ აქვს.
- მესამე - ეს დასარული ბუნებრივია და მისი არ უნდა გვეშინოდეს.
- მეოთხე - არ დავტოვოთ ჩვენი “სოფელი”, რაც ფართო გაგებით ჩვენი ქვეყანა და საზოგადოებაა.

რაც მთავარია, ისევე როგორც ყველა კარგი ზღაპარი, ეს ზღაპარიც ქმნის უკვდავების შთამბეჭდავ მეტაფორას ლამაზი ქალის სახით. ყოველი აზრი მკითხველს კონკრეტულ ქცევით სკრიპტებს სთავაზობს.

უკვდავების საძიებლად წასული ბიჭი მას მარტივად არ პოულობს. ის გზად მრავალ “სოფელს” გაივლის, სადაც ეუბნებიან რომ იქ ჩვეულებრივი, მოკვდავი ხალხი ცხოვრობს. გზად მას ხედებიან ირემი, რომელიც უკვდავი იქნება მანამ, სანამ მისი რქები ცას არ მიწვდება და ყორანი, რომელიც უკვდავი იქნება მანამ, სანამ ბუმბულით უფსკრულს არ ამოავსებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში სიცოცხლეს ნიშნავს, მას მაინც აქვს ლიმიტი. როდესაც ისინი მაინც მოკვდებიან. ეს მკითხველს საშუალებას აძლევს ვირტუალურად იმოგზაუროს სხვადასხვა ადგილებში და დარწმუნეს, რომ სიკვდილი ყველგან ბუნებრივი დასასრულია ცოცხალი არსებებისთვის და ადრე თუ გვიან მას ვერავინ გაეცევა.

ეს ზღაპარი მოკვდავი ადამიანის იდენტობას ამკვიდრებს. ის მკითხველს ასწავლის, რომ მიიღოს ბუნების წესები, როლებიც ისე მყარადაა ჩვენში გამჯდარი რომ მისი შეცვლა შეუძლებელია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ასეთი იდენტობა არაა წარმოდგენილი, როგორც რაღაც ნეგატიური. ეს ზღაპარი აყალიბებს სიკვდილის

ძალიან რეალისტურ აღქმას და ამას ისე აკეთებს, რომ ეს მკითხველისთვის არც შემაშინებელია და არც რაიმეს მოითხოვს მისგან.

ამ იდეის გადმოსაცემად ზღაპარი მეტაფორას ქმნის - უკვდავებას ლამაზი ქალის სახით წარმოადგენს, რომელიც, ისევე როგორც უკვდავება მიმზიდველია ყველასთვის. თუმცა მასთან ყოფნის 1 წუთი ცხოვრების წლებს უდრის, რომელიც იკარგება ისე, რომ მისი გამოყენების ნაცვლად ადამიანი ჩაკეტილ, მოსაწყენ გარემოში ატარებს მთელ ცხოვრებას.

თავისი სიუჟეტით ეს ზღაპარი ძალიან მარტივად და ყველასთვის გასაგებ ენაზე გადასცემს მკითხველს იდეას, რომელსაც ბევრი რელიგია, ფილოსოფია თუ გამონათქვამი ეფუძნება. თუმცა განსხვავება ისაა, რომ ეს უკანასკნელნი ბავშვისთვის გაუგებარი, ზოგჯერ შემაშინებელი და მუქარის შემცველია, მაშინ როდესაც ზღაპრის მარტივ სიუჟეტი მას საკუთარი დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს. აქ სწორი და არასწორი ქმედებები ხატებადაა ქცეული, რომლებიც ბავშვს ისეთი აბსტრაქტული ცნებების წვდომაში ეხმარებიან, რაც სხვანაირად მათთვის გაუგებარია. მკითხველისთვის გარკვეული რელობის გაანალიზების შესაძლებლობის მიცემით და სწორი გადაწყვეტილების წახალისებით იმის შესახებ, თუ ვინ გვინდა ვიყოთ ამა თუ იმ სიტუაციაში, ზღაპრები ბავშვის განვითარებას და ზრდას უწობენ ხელს.

ზღაპროს კიდევ ერთი გზავნილი მთავარი გმირის მიერ “სოფლის” დატოვებას უკავშირდება. თუმცა, “სოფელი” აქ აუცილებლად ვინრო მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. “სოფელი” შეიძლება იყოს არა მხოლოდ საკუთარი სახლი ოჯახი, სოფელი თუ ქალაქი, არამედ ქვეყანა და ზოგადად საკუთარი ხალხი, ის ადამიანები ვინც ჩვენთვის ახლობელია. ისევ და ისევ ქვეყნის სოციო-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, ოდითგანვე მნიშვნელოვანი იყო საკუთარი მოქალაქეების შენარჩუნება. შესაბამისად ეს ზღაპარი მკითხველს მოუწოდებს, რომ დარჩეს იქ, სადაც დაიბადა - საკუთარ ხალხთან.

როდესაც ზღაპრის მთავარი გმირი საკუთარ სოფელში ბრუნდება მას ველარავინ ცნობს - მას აღარც ოჯახის წევრები ყავს, აღარც ნაცნობები და არარც მეგობრები. ის ყველასგან იგნორირებულია, რადგან იმ დრომ, რაც მან სახლისგან შორს გაატარა მას ყველაფერი წაართვა რაც გააჩნდა: სახლი, დედა, ნათესავები და მეგობრები. ის გრძნობს რომ აღარ ეკუთვნის იმ ადგილს სადაც დაიბადა და კვდება. ზღაპრის ბოლო წინადადება ამბობს რომ სოფლის ყველა მცხოვრები მივიდა მის დაკრძალვაზე, რაც ხაზს უსვამს ბიჭის, როგორც თავისი სოფლის თემის წევრის იდენტობას. ეს ამავდროულად აყალიბებს მკითხველის, როგორც საკუთარი თემის წევრის იდენტობას, იქნება ეს საკუთარი ოჯახი, სოფელი თუ ქვეყანა ზოგადად. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭმა არ მოისურვა საკუთარ სოფელში, საკუთარ ხალხთან დარჩენა, ამ ხალხმა მაინც ლოიალურობა და პატივისცემა გამოამჟღავნა მის მიმართ.

თუმცა ყველაზე მთავარი ამ ზღაპარში ალბათ მაინ ის არის, რომ სიკვდილი წარმოდგენილია, როგორც ყოველი ადამიანის ბუნებრივი ბოლო, რომელიც რაც არ უნდა შემაშინებელი ჩანდეს თავიდან ბოლოს სასურველიც კი ხდება. უკვდავება, კი რაც არ უნდა მიმზიდველი ჩანდეს, ბოლოს მოსაწყენი და უაზრო ხდება. ამ მეტაფორების შექმნით, ზღაპარი მკითხველს უბიძგებს მიიღოს ცხოვრება ისეთი როგორცაა და აზრიანად გამოიყენოს ის.

ამგვარად, “მინა თავისას მოითხოვს” სიკვდილს - კაცობრიობისთვის ერთ-ერთ ურთულეს და პრობლემატურ საკითხს - წარმოდგენს ისე, რომ ის გასაგები ხდება ბავშვისთვისაც კი და ამავდროულად არ იწვევს მათში შიშს და მღელვარებას. ესაა სწორედ ის განსაკუთრებული ძალა, რომელიც ზღაპრებს გააჩნიათ და რომელიც ბავშვებს ისე ასწავლის, რომ არ ახვევს თავს წინასწარ გამზადებული წესს, როგორც ამას ხშირად უფროსები ან აღზრდის სხვა წყაროები აკეთებენ. ეს ზღაპარი რეალობის ფორმულირებას ახდენს უბრალო, მარტივი სიტყვებით და ხატებით და არაფერს ახვევს თავს მკითხველს. ის ხატავს სიკვდილისგან გაქცევის მცდელობის შესაძლო შედეგებს, თუმცა დასკვნების გაკეთებას მკითხველს ანდობს.

5. “ნაცარქექიას” და “წიქარას” მკითხველისეული აღქმა

ამ თავში გაანალიზებულია გამოითხვის შედეგები პირველ რიგში თემების მიხედვით. თემებში განხილულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები. თემები ინტერპრეტირებულია წინა თავებში განხილულ ლიტერატურაზე და ასევე ზღაპრების ნარატიულ ანალიზზე დაყრდნობით.

5.1. ნაცარქექია

როგორც მოსალოდნელი იყო არჩეული ზღაპრების პოპულარულობიდან გამომდინარე, ნაცარქექია უმრავლესობისთვის ნაცნობი გამოდგა. მესამეკლასელ გამოკითხულთაგან ორის გარდა ყველას წაკითხული ქონდა ნაცარქექია, მეექვსე კლასში - უკლებლივ ყველას აღმოაჩნდა წაკითხული, ხოლო მეცხრე კლასში - ერთის გარდა ყველას. აღმოჩნდა, რომ მესამეკლასელთაგან ყველას უყვარს ზღაპრების კითხვა, მეექვსე კლასში ოთხმა თქვა რომ არც ისე ან არ უყვარს ზღაპრები, ხოლო მეცხრე კლასში ასეთი ხუთი ბავშვი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არა არის რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანიც განზოგადებაა, კვლევის ის შედეგი, რომელიც მიხედვითაც ასაკის მატებასთან ერთად ბავშვები ზღაპრებს შორდებიან, შესაძლოა უნივერსალური და საყურადღებო ტენდენცია იყოს. ანიშნული ტენდენცია შეიძლება ორი მიზეზით აიხსენას: ზღაპრები დღეს საზოგადოდ საბავშვო ლიტერატურად მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ზღაპრების თავდაპირველი სამიზნე ჯგუფი სულაც არ ყოფილა. შესაბამისად, ითვლება, რომ ზღაპრები მხოლოდ ბავშვებისთვისაა, და რომ მოზარდებმა სხვა სახის ლიტერატურა უნდა იკითხონ. მეორე მიზეზი კი შეიძლება ის იყოს, რომ ასაკის მატებასთან ერთად (ყოველ შემთხვევაში გარკვეულ ასაკამდე), ადამიანები ცდილობენ არ გამოჩინდნენ “ბავშვურები” სხვის თვალში, და უარყონ ყველაფერი (ზღაპრების ჩათვლით), რასაც ისინი “ბავშვურად” თვლიან. თუმცა, როგორც ლუისი (1966)

აღნიშნავს, ასეთი მისწრაფება უფრო ბავშვურია, ვიდრე ზღაპრების კითხვა: “როდესაც ათი წლის ვიყავი, ზღაპრებს მალულად ვკითხულობდი და შემრცხვებოდა თუ ვინმე ამას დაინახავდა. ახლა, როდესაც 50-ის ვარ, მე ზღაპრებს ღიად ვკითხულობ, რადგან როდესაც კაცი გავხდი, გვერდზე გადავდე ბავშვური რამეები, მათ შორის ბავშვურობის შიში და სურვილი, რომ ძალიან ზრდასრული ვყოფილიყავი” (გვ.25).

ზემოთხსენებული მიზეზები, ლუისის აზრით, “ზრდის” არასწორი გაგებითაა განპირობებული. ადამიანები ხშირად განვითარების შეფერხებას უწოდებენ იმას, თუ ვინმეს შემორჩა ბავშვობისდროინდელი გემოვნება (თუნდაც ლიტერატურული), რაც ლუისის აზრით, ამ ცნების არასწორ გაგებას წარმოადგენს. ის ამბობს, რომ:

“განვითარების შეფერხება არის არა ის, რომ უარი თქვა ძველ რამეზე, არამედ ის, რომ უარი თქვა ახლის შექენაზე.[...] მე ახლა ისევე მომწონს ტოლსტოის და ჯეინ ოსტენის კითხვა, როგორც ზღაპრების და მე ამას ვეძახი ზრდას: თუ მე დავკარგავდი ზღაპრებს, იმისთვის რომ მყვარებოდა ნოველისტები, ვერ ვიტყოდი, რომ მე გავიზარდე, არამედ ვიტყოდი, რომ მხოლოდ შევიცვალე” (გვ. 26).

ეს კვლევა სწორედ იმ ასაკის ბავშვებს მოიცავს, რომლებიც ლუისის მიხედვით, გაურბიან “ბავშვურობას” და ეს შედეგებშიც გამოჩნდა: 10-11 წლის და უფროსი ბავშვები ამბობენ, რომ ზღაპრები არ უყვართ, მაშინ, როდესაც 7-8 წლის ბავშვები ერთხმად აღიარებენ მათ სიყვარულს. უფრო მეტიც, “ნაცარქექიას” არ მონონების მიზეზს მეცხრე კლასელები შემდეგნაირად ხსნიან:

“ზღაპრებს პატარაობაში ვკითხულობდით და შეიძლება ისე ვერ აღგვექვა ეს ყველაფერი ამიტომ პირდაპირ გავიგებდით რომ ტყუილი კარგია და სწორედ ტყუილებით მივალწევდით ყველაფერს” (ნინო, IX კლასი),

“აქ ნაჩვენებია ის, რომ ტყუილის საშუალებითაც მიაღწევ წარმატებას თუნდაც ძალიან ბარმაცი იყო. ეს კი ცუდი მაგალითია პატარებისთვის” (ანა, IX კლასი).

თუმცა, ეს ეჭვი რომ უსაფუძვლია, ამაზე მესამეკლასელთა პასუხები მიუთითებს, რომელთა დეტალურ ანალიზსაც შემდეგ ნაწილში გთავაზობთ.

ხეხრი სჯობია ღონესა...

“ნაცარქექიას” ნარატიულ ანალიზში ნათქვამი იყო, რომ ნაცარქექია სიზარმაცეს და ტყუილს კი არ ახალისებს, არამედ მოხერხებულობას (არსებული რესურსების ჭკვიანურად გამოყენებას) და გამბედაობას - დატოვო შენთვის კომფორტული და უსაფრთხო, მაგრამ ჩაკეტილი გარემო.

პასუხები კითხვებზე იმის შესახებ, თუ რა არის ზღაპრის ძირითადი თემა, აზრი და რას გვასწავლის ეს ზღაპარი ბევრ შემთხვევაში ურთიერთგადამთარავი აღმოჩნდა და ადასტურებს ნარატიულ ანალიზში მოყვანილ მოსაზრებებს. სამი მთავარი თემა, რომელიც ყველაზე ხშირად დასახელდა როგორც წამყვანი იდეა ამ ზღაპარში არის: მოხერხებულობა, სიჭკვიანე და გამბედაობა. მსგავსი სურათი გამოვლინდა მეექვსე კლასშიც, სადაც მოხერხებულობას მოსდევს, სიზარმაცე/უსაქმურობა, სიჭკვიანე და უშიშრობა. მეცხრე კლასში პასუხები გაცილებით მრავალფეროვანია, თუმცა მოხერხებულობა და სიზარმაცე/უსაქმურობა აქაც რამდენჯერმე დასახელდა. აღსანიშნავია, რომ სიზარმაცე ყველა კლასში და ყოველთვის ნახსენები იქნა უაყოფიო კონტექსტში:

“არასოდეს არ უნდა ვიყოთ მატყუარები და ბარმაცები” (ნუკი, III კლასი),

“ამ ზღაპრის მთავარი თემაა, რომ დავგანახოს ჩვენ სახლში ჯდომა არათერს მოგვიტანს” (თემური, IX კლასი),

“ეს ზღაპარი იმას ეხება, რომ არ უნდა ვიყოთ ზარმაცი ადამიანები და ყოველთვის საქმე უნდა ვაკეთოთ” (რუსო, VI კლასი).

ეს პასუხები ადასტურებს, რომ ეს ზღაპარი სიზარმაცეს კი არა მის დაძლევას და სახლიდან გასვლას ახალისებს, როგორც ეს ნარატიულ ანალიზში გამოჩნდა.

სხვა თემები, რომლებიც იქნა ნახსენები მესამე კლასში შემდეგია: სიძლიერე, ეშმაკობა, ტყუილი/მატყუარები და ის რომ, ადამიანის სახლიდან გაგდება არ შეიძლება. მეექვსე კლასში: როგორ მოვერიოთ ძლიერებს, ტყუილი, ყველაზე სუსტ ადამიანსაც შეუძლია ღირსეული გახდეს. ხოლო მეცხრე კლასში: ყველა ადამიანში რაღაც შეუძლია, ადამიანის სახლიდან გაგდება არ შეიძლება და ზოგჯერ ტყუილი საჭიროა.

ცხრილი #2

შენი აზრით, რა არის ამ ზღაპარის მთავარი თემა/აზრი?					
III კლასი		VI კლასი		IX კლასი	
მოხერხებულობა	15	მოხერხებულობა	11	მოხერხებულობა	6
უშიშრობა, გამბედაობა	4	უსაქმურობა	5	სიზარმაცე, უსაქმურობა	4
სიჭკვიანე	4	სიჭკვიანე	4	სხვა	3
ტყუილი	2	უშიშრობა	3	ყველა ადამიანში არის პოტენციალი	2
სიძლიერე	1	როგორ მოვერიოთ ძლიერებს სიემშაკით	2	ზოგჯერ ტყუილი საჭიროა	2
ეშმაკობა	1	ყველაზე სუსტ ადამიანსაც შეუძლია ღირსეული გახდეს	1	ადამიანის სახლიდან გაგდება არ შეიძლება	1
ადამიანის სახლიდან გაგდება არ შეიძლება	1	ტყუილი	1		

კითხვაზე - რას გვასწავლის ეს ზღაპარი? - მესამეკლასელები კვლავ მოხერხებულობას ასახელებენ როგორც წამყვან თემას, რასაც მოსდევს უშიშრობა და გონიერება და კატეგორიაში “სხვა” გაერთიანებული თემები: თავის დაცვა, მეგობრობა, არ ვიზარმაცოთ, არ მოვიტყუოთ.

ბავშვების მიერ გაცემულ პასუხებში იკვეთება ისიც, რომ მოხერხებულობა ხშირად დაკავშირებულია სიყოჩაღესთან, გამოსავლის პოვნასთან. უშიშრობა აქ ორგვარად არის გაგებული: ერთი, რომ “ძლიერს არ უნდა შევეუშინდე” (აკა, III კლასი), ხოლო მეორე - “სხვას არ უნდა ვაგრძნობინოთ შიში” (ანი, III კლასი).

მათი უმრავლესობა, ვინც თქვა, რომ “ნაცარქექიას” მთავარი თემა ტყულია, ამ კითხვაზე პასუხად განმარტავს, რომ ზღაპარი გვასწავლის, რომ არ უნდა მოვიტყუოთ. ეს საინტერესოა იმ კუთხით, რამდენადაც ის არალოგიკურია. ნაცარქექია წარმატებას ტყულით აღწევს - თუ ამ ზღაპარს ზედაპირულად შევხედავთ, ისე როგორც უფროსები უყურებენ, მათი შემფოთებას იმის შესახებ, რომ “ნაცარქექია” ბავშვებს ტყულის თქმისკენ უბიძგებს და კარგს ვერაფერს ასწავლის, მართებულად მოგვეჩვენება. თუმცა, ეს ნამდვილად ზედაპირული დამოკიდებულებაა ზოგადად ზღაპრების მიმართ, რადგან, როგორც პერფეტი აღნიშნავს უფროსების მსგავსად, ბავშვი მკითხველი საკუთარ ინტერპრეტაციას, ტექსტის მენტალურ რეპრეზენტაციას ქმნის, რომელიც მის უკვე არსებულ ცოდნას ეფუძნება” (Perfetti, 1994). უფრო მეტიც, ლეა საკუთარ კვლევაზე დაყრდნობით მიდის დასკვნამდე რომ: “პატარ ბავშვებს ლიტერატურიდან აზრი გამოაქვთ იმ პერსპექტივიდან, რომელიც უფროსების პერსპექტივისგან გასხვავდება” (Lehr, 1991, გვ. 48).

მეექვსე კლასელები თვლიან, რომ “ნაცარქექია” მათ მოხერხებულობას, სიზარმაცის დაგმობას, ძალის ნაცვლად ჭკუის გამოყენებას, გამბედაობას და სიჭკვიანეს ასწავლის.

მეცხრე კლასში კი თემები უფრო გაფანტულია და მოიცავს: გვასწავლის რომ არ ვიზარმაცოთ, მოხერხებულობა, ადამიანთა მიმღებლობა, არ მოვიტყუოთ, ცოდნა, განათლება მნიშვნელოვანია, მონდომება, ჭკუის გამოყენება ძალის ნაცვლად და სხვა.

ცხრილი #3

შენი აზრით, რას გვასწავლის ეს ზღაპარი?					
III კლასი		VI კლასი		IX კლასი	
მოხერხებულობა	14	არ ვიზარმაცოთ	8	არ ვიზარმაცოთ	4
უშიშრობა	5	მოხერხებულობა	8	მოხერხებულობა	4
სიჭკვიანე	3	ჭკუის გამოყენება ძალის ნაცვლად	5	მიმღებლობა	3
არ მოვიტყუოთ	2	გამბედაობა	2	მონდომება	2
თავის დაცვას	1	სიჭკვიანე	2	ჭკუის გამოყენება ძალის ნაცვლად	2
მეგობრობას	1	ტყუილს	1	არ მოვიტყუოთ	2
არ ვიზარმაცოთ	1	არ მოვიტყუოთ	1	ცოდნა, განათლება	2
				უშიშრობა	1
				არ ვიყოთ	1

გულუბრყვილოები

აღსანიშნავია, რომ მეექვსე კლასში უკვე ხდება ზღაპრის ცნობილ ქართულ გამონათქვამთან დაკავშირება, რაც მეცხრე კლასშიც ფიქსირდება:

“ნაცარქექია პატარა კაცი იყო და იმდენი აზრი ედო თავში რომ 9 დევი შეაშინა და მათ ქონებას დაეპატრონა. ეს ზღაპარი მაგონებს ანდამას - ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო” (ნინია, VI კლასი).

ზღაპრის ცნობილ ხალხურ გამონათქვამთან ასეთი კავშირი თავისთავად შედგა, რაც იმის დასტურია, რომ ზღაპრის ძირითადი იდეა, რომელიც სხვადასხვა გზით შეიძლება იყოს გადმოცემული, ადვილი მისახვედრია ბავშვებისთვის. მაშინაც კი, როდესაც ბავშვები ზღაპარს ამ ხალხურ გამონათქვამთან არ აკავშირებენ, ისინი საკუთარი სიტყვებით გამოსცემენ იგივე აზრს. კითხვაზე, თუ რას გვასწავლის ეს ზღაპარი, მეექვსე და მეცხრეკლასელები პასუხობენ, რომ:

“ჭკუის გამოყენება უფრო კარგია, ვიდრე ძალის” (ანანო, VI კლასი)

“შეიძლება ძალა არ გქონდეს მარა ჭკუა მაინც გვექნება რომ ვინმეს მოვერიოთ” (მარიამი, VI კლასი).

ანალიზი აჩვენებს, რომ ზღაპრის მთავარი აზრი მესამეკლასელებისთვის და მათზე უფროსებისთვისაც მოხერხებულობა, თუმცა მეექვსე- და მეცხრეკლასელები უკვე ახერხებენ ამ იდეის ხალხურ გამონათქვამთან დაკავშირებას. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მესამეკლასელებისთვის შესაძლოა საერთოდ არა ცნობილი ეს გამონათქვამი - მათ არ აქვთ წინასწარი ცოდნა ამის შესახებ. ეს არ ნიშნავს, რომ მესამეკლასელებს სხვანაირი აზრი გამოაქვთ “ნაცარქექიადან”. განსხვავება მხოლოდ

გადმოსცემის ფორმაშია. ბუნებრივია, მესამეკლასელთა გამოცდილება და ცოდნა ნაკლებია მეექვსე და მეცხრეკლასელებზე. ამიტომ ისინი იმ სიტყვებს იყენებენ ზღაპრის ძირითადი გზავნილის გადმოსაცემად, რაც მათთვის ცნობილია - ამბობენ რომ ნაცარქექია მოხერხებულობას გვასწავლის. მეექვსე- და მეცხრეკლასელები კი, რომლებსაც უფრო მეტი ალბათობით ექნებათ გაგონილი ეს გამონათქვამი, უფრო მრავალფეროვნად გადმოსცემენ “ნაცარქექიას” ძირითად აზრს, ახდენენ რა მის დაკავშირებას მათში დაგროვილ ცოდნასთან და გამოცდილებასთან.

ყველას შეუძლია წარმატებას მიაღწიოს

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი თემის - მოხერხებულობის წვდომა მესამე კლასშივე ხდება, მეექვსე და მეცხრე კლასელები ახერხებენ “ნაცარქექიას” მეორე მნიშვნელოვანი გზავნილის დაჭერას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ადამიანს შეუძლია წარმატების მიღწევა. მეექვსე კლასელი ნინი აღნიშნავს, რომ: “ყველაზე სუსტ ადამიანსაც შეუძლია ღირსეულ და ჭკვიან ადამიანად გადაიქცეს”. ანას აზრით კი, ნაცარქექიამ: “დაუმტკიცა რძალს რომ ყველაზე ზარმაც და სუსტ ადამიანსაც შეუძლია წარმატებას მიაღწიოს”. იგივე აზრი ოთხჯერ გამოითქვა მეცხრე კლასშიც: “ზღაპარი ეხება იმას, რომ ადამიანი შეიძლება ერთი პერიოდი იყოს ზარმაცი და არაფერის მომცემი, მაგრამ შეიძლება ერთ დღესაც ის გახდეს ძალიან მნიშვნელოვანი” (ნაილი, მეცხრე კლასი). მეცხრეკლასელები ხაზს უსვამენ მონდომების როლს წარმატების მიღწევაში:

“მონდომებას ყველაფერი შეიძლია, თუ ადამიანი მონდომებს მთასაც გადაატრიალებს” (ჯაბა, IX კლასი),

“ყველა ადამიანს აქვს გარკვეული შესაძლებლობები და მათი გამოყენებისთვის საჭიროა მონდომება” (გიორგი, IX კლასი).

ეს გზავნილი არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც “ნაცარქექია” მეცხრე კლასელთა მონონებას იმსახურებს: “ეს ზღაპარი მოგვიწოდებს რომ ვიპოვოთ ჩვენი თავი იმ საქმეში რაც გვცხერხება. სწორად ამიტომ დაიმსახურა მან ჩემი დიდი მონონება” (გიორგი, IX კლასი). როგორც პირველ ნაწილში აღინიშნა, ასეთი ოპტიმიზმი და, შესაბამისად, ზღაპრები, რომელებიც ბავშვს მას შთაუწერგავს, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის.

გამოკითხვამ ისეთი თემებიც გამოავლნა, რომელიც ნარატიულ ანალიზში არ იყო ნახსენები, თუმცა სხვა გზავნილებზე არანაკლებ მნიშვნელოვან მორალურ დატვირთვას ატარებს. აღმოჩნდა, რომ “ნაცარქექია” ბავშვებს არა მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ ყველა ადამიანს შეუძლია წარმატებას მიაღწიოს, არამედ იმასაც შთაუწერგავს, რომ მიმღებლები ვიყოთ ისეთი ადამიანებისადმი, რომლებსაც ერთი შეხედვით განსაკუთრებული უნარები არ გააჩნიათ და არაფრით გამოირჩევიან:

“ზღაპარი გვასწავლის რომ ადამიანი უსაქმურობის გამო სახლიდან არ უნდა გაავდო და უნდა მივიღოთ ისეთი როგორიც არის” (ქეთი, IX კლასი)

“ყველა ადამიანი უნდა მივიღოთ ისეთი როგორიც არის და არ გავკიცხოთ” (ნაილი, IX კლასი).

ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ პრინციპის გათავისება რეალურ სიტუაციებში ბავშვებს უბიძგებს არ შეაფასონ ადამიანი ერთი შეხედვით. პრინციპი, რომ ყველა ადამიანს შეუძლია წარმატების მიღწევა, არა მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებაში, არამედ სხვებთან მიმართებაშიც განიხილება, რაც სხვებისადმი ტოლერანტობას და პატივისცემას შთაუწერგავს მკითხველს. აღნიშნული თემა კიდევ ერთხელ მიუთითებს “ნაცარქექიას” საგანმანათლებლო პოტენციალზე.

გმირთან იდენტიფიკაცია

მონაცემები აჩვენებს, რომ ნაცარქექია მესამეკლასელთა მიერ აღიქმება როგორც 20 წლის ან უფრო უფროსი. მინიმალური ასაკი, რომელიც დასახელდა 20 წელია, ხოლო მაქსიმალური 62. ნაცარქექიას საშუალო ასაკი 32 წელი გამოდის. თუმცა მიუხედავად ასაკში აღქმული განსხვავების, მესამეკლასელები მაინც პოულობენ ნაცარქექიასთან საერთოს და კითხვაზე, თუ რითი გვანან ნაცარქექიას, პასუხი “არაფრით” - არც ერთხელ არ დაფიქსირებულა. ბავშვების უმრავლესობა აქცენტს მის დადებით მახასიათებლებზე აკეთებს და ამბობს რომ ნაცარქექიას მოხერხებულობით, უშიშრობით და სიჭკვიანით ჰგავს. სხვა მსგავსებები ნაცარქექიასთან რომლებიც დასახელდა შემდეგია: მეგობრობა, სიკეთე, წინდახედულობა, შიშის არ შემჩნევა, სიზარმაცე და ის, რომ ნაცარქექიაც ადამიანია.

მეექვსეკლასელებისთვის და მეცხრეკლასელებისთვის ნაცარქექიას ასაკი 17დან 40 წლამდე მერყეობს და პირველ შემთხვევაში საშუალოდ 30 წელს უდრის, მეორეში კი 27-ს. მესამეკლასელებისგან განსხვავებით მეექვსეკლასელებს და მეცხრეკლასელებს უჭირთ ნაცარქექიასთან საერთო თვისებების გამონახვა და ამბობენ, რომ ნაცარქექიას არაფრით გვანან. თუმცა, ზოგი მათგანი თვლის, რომ ნაცარქექიას სიზარმაცით, მოხერხებულობით, სიჭკვიანით და ზოგჯერ ტყულის თქმითაც ჰგავს.

მესამეკლასელთა უმრავლესობა დევთან მეგობრობას ნაცარქექიასთან მეგობრობას არჩევს შემდეგი მიზეზების გამო: იმიტომ რომ ის მოხერხებული, კეთილი, უშიშარი და ჭკვიანია: “იმიტომ რომ უფრო მოხერხებული გახდა და მერე მშვიდობიანად იცხოვრა და მეც არაფრის მეშინია” (საბა, III კლასი). დევთან მეგობრობის სურვილი კი ახსნილია იმით, რომ: “ამ ზღაპარში დევები კეთილები არიან” (გვანცა, III კლასი) და რომ მათი დაცვა შეუძლიათ: “დევი დიდი იქნებოდა,

მაკატავებდა, მისი ყველას შეეშინდებოდა, მაგრამ მე ამის უფლებას არ მოვცემდი” (აკა, III კლასი).

მეექვსე- და განსაკუთრებით, მეცხრეკლასელთა აზრი, იმის შესახებ თუ ვისთან მეგობრება ურჩევნიათ უფრო პოლარიზებულია. მეექვსე კლასში 25-დან შვიდი, ხოლო მეცხრე კლასში 16-დან 6 დევთან მეგობრობას ირჩევს. მეექვსე კლასში დევთან მეგობრობის სურვილი ახნილია იმით, რომ “დევი არ მომატყუებდა, ნაცარქექიას კი შეეძლო გავებრიყვებინე” (ია, VI კლასი) და იმით, რომ “ნაცარქექია იყო ზარმაცი და მატყუარა, დევები კი მშრომელები და ყოჩაღები” (ნიკა, VI კლასი). თუმცა მეექვსე კლასელთა უმრავლესობა მაინც ნაცარქექიასთან მეგობრობას არჩევს ძირითადად იმიტომ, რომ:

*“ის მასწავლიდა თავის მოხერხებულობას და მეც ისეთი ვიქნებოდი”
(გიორგი, VI კლასი)*

*“ის უფრო ჭკვიანია და იმიტომ, რომ ადამიანია, ალბათ ვერასოდეს
შეეძლებდი დევებთან მეგობრობას” (ნინია, VI კლასი).*

მეცხრეკლასელთა ნაცარქექიასთან მეგობრობის სურვილი შემდეგ მოტივებს ემყარება:

“ნაცარქექიას უფრო გავუგებდი” (ირაკლი, IX კლასი),

“მასთან ერთად ცხოვრება ძალიან სახალისო იქნებოდა” (შაკო, IX კლასი),

“ის ძალიან ჭკვიანია და მე ბევრს ვისწავლიდი მისგან” (თემური, IX კლასი)

“იმიტომ, რომ პირველ რიგში ადამიანია” (ლაშა, IX კლასი).

ღვეთან მეგობრობის სურვილი კი ძირითადად იმითაა ახსნილი რომ “გულუბრყვილო მეგობარი მირჩვენია ცბიერს” (ნინო, IX კლასი).

მესამეკლასელების და მეექვსეკლასელების უმრავლესობა, კითხვაზე - შენ რომ ყოფილიყავი ნაცარქექიას ადგილას, როგორ მოიქცეოდი? - პასუხობს რომ ზუსტად ნაცარქექიასავით მოიქცეოდა. მეცხრე კლასში კი უმრავლესობა ღვეისთვის შეუმჩნეველად გვერდის ავლას ირჩევს.

ცხრილი #4

შენ როგორ მოიქცეოდი ნაცარქექიას ადგილას?			
	III კლასი	VI კლასი	IX კლასი
არ წავიდოდი სახლიდან	1	3	3
შევებრძოლებოდი დევს	3	1	1
შეუმჩნევლად ავუვლიდი დევს გვერდს	3	5	12
ისე მოვიქცეოდი, როგორც ნაცარქექია მოიქცა	12	16	3

როგორც სჩანს, მესამეკლასელები უკეთ ახერხებენ თავის ნაცარქექიასთან იდენტიფიკაციას ბევრი იმ ნიშნის მიხედვით, რომლებსაც ზღაპრის ანალიზში გავსვა ხაზი. ეს ნიშნები იკვეთება მეექვსე და მეცხრე კლასებშიც, თუმცა აქ ჩნდება პასუხი რომ ნაცარქექიას არაფრით გვანან და იმატებს ნაცარქექიას კრიტიკა და დევთან მეგობრობის სურვილი. მესამე კლასში ნაცარქექიასთანაც და დევთან მეგობრობის სურვილიც, უსაფრთხოდ ყოფნის სურვილს უკავშირდება. ნაწილობრივ ასეა მეექვსე და მეცხრე კლასშიც, სადაც არ უნდათ ისეთი მეგობარი, რომელმაც შესაძლოა ისინიც მოატყუოს. თუმცა მეექვსე და მეცხრე კლასებში ჩნდება უფრო კრიტიკული და ერთგვარად პრაგმატული დამოკიდებულება, რომ იმეგობრონ მასთან, ვისგანაც რაიმეს (მაგალითად მოხერხებულობას, სიჭკვიანეს, ოინებს და ა.შ.) ისწავლიან და ვისთან ყოფნაც სახალისოა.

ზოგადად, ნაცარქექიასთან მეგობრობის სურვილს უფრო მეტი მოტივი აქვს სამივე კლასში ვიდრე დევთან მეგობრობის სურვილს, რომელსაც პრინციპში ერთადერთი მიზეზით ირჩევენ - რომ დევები ამ ზღაპარში “კეთილები” არიან. ეს საკითხი უკავშირდება ზღაპრის პოლარობის საკითხს, რომელსაც ბეთელჰაიმი კარგი ზღაპრისთვის აუცილებელ მახასიათებლად თვლიდა, და რომელიც “ნაცარქექიაში” დარღვეულია. დევები, რომლებიც ქართული ზღაპრის ტიპური ანტაგონისტები არიან, აქ არ არიან პირდაპირ “ბოროტ” ძალად წარმოჩენილნი. თუმცა, როგორც ვივარაუდეთ, მათთვის ვინც ზღაპრის სამყაროს იცნობს, ისიც ცნობილია რომ დევების და ადამიანების თანაარსებობა ქართულ ზღაპარში გამოირიცხებულია. როგორც ჩანს ეს უკანასკნელი მესამეკლასელებისთვის უფრო ნაცნობია, ვიდრე მათზე უფროსებისთვის, რომლებიც ნაცარქექიასთან მეგობრობას დევთან მეგობრობას არჩევენ. მათი არჩევანის გამამართლებელი არგუმენტი, რომ ამ ზღაპარში დევები “კეთილები” არიან, მიუთითებს, რომ ისინი მსჯელობისას მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ ზღაპარს ეყრდნობიან და არა ზოგადად “ზღაპრის სამყაროს”, რომელშიც დევთან მეგობრობა არავის მოუნდებოდა.

ყოფიერების ორი ალტერნატივა

კითხვაზე, როგორ გაგრძელდებოდა ნაცარქექიას ცხოვრება სახლიდან რომ არ წასულიყო, მესამეკლასელთა უმრავლესობა პასუხობს, რომ ნაცარქექიას ცხოვრება ისევ ისე, უსაქმურად და უინტერესოდ გაგრძელდებოდა:

“სულ უსაქმური იქნებოდა და სულ ნაცარში იქნებოდა ჩამძვრალი” (ანი, III კლასი),

“უინტერესო იქნებოდა მისი ცხოვრება (გუგა, III კლასი).”

ზოგიერთი თქვობს, რომ ნაცარქექიას ცხოვრება უფრო ცუდად გაგრძელდებოდა: “არც საჭმელი ექნებოდა და შიმშილისგან მოკვდებოდა (ნუკი, III

კლასი). ანალოგიურად ხედავენ ნაცარქექიას მომავალს მეექვსე და მეცხრეკლასელებიც. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ ნაცარქექიას ცხოვრება იგივენაირად, უსაქმურობით და სიზარმაცით გაგრძელდებოდა სახლიდან რომ არ წასულიყო. თუმცა მეექვსე კლასში ჩნდება ახალი თემა, უაზროდ, ერთფეროვნად და თავგადასავლების გარეშე, რომელიც მეცხრე კლასშიც იქნა ნახსენები:

“უაზრო ცხოვრება ექნებოდა” (ია, VI კლასი),

“ისევ ერთფეროვანი იქნებოდა და ღარიბული” (მერაბი, VI კლასი),

“ეს თავგადასავალი არ გადახდებოდა” (ირაკლი, IX კლასი).

ამ ტიპის პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ მეტაფორა გაგებული იქნა - ნაცრის ქექვა, მხოლოდ ნაცრის ქექვასთან კი არა, ცუდ, უაზრო და ერთფეროვან ცხოვრების წესთან ასოცირდება ბავშვებისთვის.

შესაბამისად, ალბათ ლოგიკურია რომ მესამე, მეექვსე და მეცხრეკლასელთა უმრავლესობა თვლის, რომ ნაცარქექიამ სწორი გზა აირჩია, როდესაც სახლიდან წავიდა. ძირითადი თემა მესამე კლასში სიმდიდრის მოპოვებაა, რითაც ნაცარქექიას სახლიდან წასვლას ამართლებენ. თუმცა აქვე, მესამეკლასელები ასახელებენ მეორე მიზეზსაც, რის გამოც ნაცარქექიას სახლიდან წასვლას ამართლებენ. ესაა ის, რომ: “სახლიდან წასვლის შემდეგ ის უშიშარი გახდა” (ციცი, III კლასი). როგორც ჩანს, მესამეკლასელები უკვე აცნობიერებენ რომ სახლიდან წასვლა გარკვეულ ცვლილებებს უკავშირდება, რასაც შემდეგ სასურველი შედეგისკენ მივყავართ.

მეექვსე კლასშიც ნაცარქექიას სახლიდან წასვლა, სიმდიდრის მოპოვებითაა გამართლებული. თუმცა აქ ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც შესაძლებლობების რელიზაციის უკავშირდება. როგორც მეექვსეკლასელი თიკა ამბობს, ნაცარქექია სახლიდან რომ არ წასულიყო ვერ მიაღწევდა ამდენ რამეს,

რადგან : “შეიძლება სიეშმაკე თავიდანვე ქონდა, მაგრამ გამოყენების საშუალება არ ქონდა”. იგივე თემა გამოიკვეთა მეცხრეკლასელთა პასუხებშიც:

“(სახლიდან წასვლით) მან თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია მოახდინა და შეწყვიტა უქმად ყოფნა” (გიორგი, IX კლასი),

“სახლიდან რომ არ წასულიყო, შესაძლოა თავისი ნიჭი ვერსად გამოემულავნებინა” (ნინო, IX კლასი).

ეს მიუთითებს, რომ ზღაპარი არა მხოლოდ ყოფიერების ორ ალტერნატივას წარმოუდგენს მკითხველს, რომელთაგაც ერთი მოსაწყენი, უაზრო, ხოლო მეორე - თავგადასავლებით სავსე და წარმატების მომტანია, არამედ იმაზეც მიუთითებს, რომ თვითრეალიზაცია ჩაკეტილ გარემოში არ ხდება და შესაბამის გარემოს საჭიროებს.

შიშის დაძლევა და ალტერნატიული “სამეფო”

პასუხები იმაზე, თუ რა არის მთავარი, რასაც ნაცარქექიამ მიაღწია, ნაწილობრივ იმ კითხვასაც პასუხობს თუ თუ რა არის ის “სამეფო” რომელსაც “ნაცარქექია” მკითხველს პირდება და რომელსაც, ბეთელჰაიმის აზრით ყველა ბავშვი საკუთარი ასაკის და განვითარების მიხედვით სხვადასხვანაირად აღიქვამს. ანალიზი აჩვენებს, რომ ეს არა მხოლოდ დევების სახლ-კარი და სიმდიდრეა, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს მკითხველს, არამედ რძალთან შერიგება და მისი პატივისცემის მოპოვება, დევების (როგორც მოწინააღმდეგის) დამარცხება და ის ცვლილებაცაა, რომელიც ნაცარქექიამ სახლიდან წამოსვლის შემდეგ განიცადა.

მესამეკლასელები ნაცარქექიას მთავარ მიღწევად ასახელებენ სიმდიდრის მოპოვებას, რძალთან შერიგებას, დევების დამარცხებას, შიშის დაძლევას და ნაცარქექიას ცვლილებას: “(ნაცარქექია) ისევ სახლში დაბრუნდა, მაგრამ ისე რომ ნაცარქექია აღარ იყო” (ანი, III კლასი).

მეექვსე კლასშიც იგივე თემებმა წამოიწია წინ, თუმცა აქ ნაცარქექიას მიღწევად შიშის დაძლევის ნაცვლად შრომის უნარი სახელდება:

*“რაც მთავარია აღმოაჩინა რომ ის უქნარა არ ყოფილა და ჭკუა ქონია”
(გიორგი, VI კლასი),*

“მთავარი ის არის რომ ნაცარქექიამ მუშაობა ისწავლა” (ნიკა, VI კლასი),

“მან პირველად იმუშავა და მიაღწია წარმატებას” (თაზო, VI კლასი).

მეექვსეკლასელთა ეს მოსაზრებები შესაძლოა ერთი შეხედვით გაუგებარი მოგვეჩვენოს იმის ფონზე, რომ ნაცარქექიას საქციელს ძნელად თუ ვუნოდებთ მუშაობას. თუმცა, სახლიდან წასვლა და გარკვეული ბარიერების გადალახვა მისგან მართლაც მოითხოვდა ძალისხმევას, რაც, როგორც ჩანს ზოგისთვის მუშაობის ტოლფასი ან მასთან მიახლოებულია.

მეცხრე კლასში ეს აქცენტი უკვე არა შიშის ან სიზარმაცის დაძლევაზე, არამედ სულ სხვა რამეზე კეთდება: “რძალთან კარგი ურთიერთობა დაამყარა და თავის მხარეში ძლიერი კაცის სახელი მოიხვეჭა” (ნაილი, IX კლასი). რძალთან ურთიერთობის გამოსწორება, მისი ნდობის და პატივისცემის მოპოვება ის მიღწევაა რომელიც მეცხრე კლასში სიმდიდრის მოპოვებასთან და დევების დამარცხებასთან ერთად სახელდება. როგორც ჩანს მეცხრეკლასელებისთვის ინტერპერსონალური ურთიერთობების მონესრიგება მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელსაც ისინი ამ ზღაპარში ამჩნევენ.

მნიშვნელოვანია, რომ ზღაპრის ასეთი სხვადასხვანაირი გაგება და სხვადასხვა აქცენტების გაკეთება, მათ შორის ისეთის, რაც ერთი შეხედვით გაუგებრად შეიძლება მოგვეჩვენოს, ადასტურებს ბეთელჰაიმის მოსაზრებას რომ “სამეთო” ყველა ბავშვს სხვადასხვანაირად ესმის. ეს ასევე ადასტურებს იმ მოსაზრების სიმცდარეს და

ზედაპირულობას, რომლის მიხედვითაც “ნაცარქექია” ნოველისტურ ზღაპრებს მიაკუთვნეს. ბავშვების პასუხები ადასტურებს, რომ მთავარი გმირის მიღწევა აქ მხოლოდ ფულით ან საჭმელით არ შემოიფარგლება, როგორც ეს ნოველისტურ ზღაპრებშია.

სამი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ნაცარქექიას წარმატების ამხსნელად სახლდება სამივე კლასში, არის მოხერხებულობა, სიჭკვიანე და ტყუილი: “მან ჭკუით მოატყუა ძლიერი და დიდი დევები” (ლალო, VI კლასი). უშიშრობა და გამბედაობა, როგორც ნაცარქექიას წარმატების ფაქტორი, მხოლოდ მესამე და მეექვსე კლასებში ჩნდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა შიშების დაძლევა ამ ასაკში განსაკუთრებით აქტუალურია და რომ გზავნილი იმის შესახებ, რომ “შიში ბუნებრივია და მის გამო უკან არ უნდა დავიხიოთ” გაგებულია.

ცხრილი #5

საშუალება, რითიც ნაცარქექიამ წარმატებას მიაღწია					
III კლასი		VI კლასი		IX კლასი	
მოხერხებულობა	9	სიჭკვიანე	13	მოხერხებულობა	7
უშიშრობა	6	მოხერხებულობა	10	ტყუილი	7
სახლიდან წამოსვლა	2	ტყუილი	5	სიჭკვიანე	4
ტყუილი	2	უშიშრობა	1	მონღომება	1

სიჭკვიანე	2	სხვა	1
-----------	---	------	---

მნიშვნელოვანია ის, რომ კითხვაზე - რა იყო ნაცარქექიას მთავარი მიღწევა/წარმატება? - პასუხისას მესმევკლასელები შიშის დაძლევაზე აკეთებენ აქცენტს, მეექვსეკლასელები შრომის დაწყებაზე და სიზარმაცის დაძლევაზე, მეცხრეკლასელები კი - ახლობელი ადამიანების პატივისცემის და ნდობის მოპოვებაზე. ეს მიუთითებს რომ “ნაცარქექიაში” აღთქმული “სამეფო” ბავშვებს მართლაც სხვადასხვანაირად მით იმის მიხედვით, თუ განვითარების რა ეტაპზე არიან და რა არის ის ამოცანა, რასაც მოცემული ეტაპი მათ უყენებთ.

ეს მოსაზრება დასტურდება იმითაც, რომ ბავშვების პასუხები სხვადასხვა კითხვებზე “ნაცარქექიას” შესახებ, საკმაოდ შეკრული და თანამიმდევრულია: თუ ძირითად თემად სახელდება გამბედაობა, დიდი ალბათობით გამბედაობაზე კეთდება აქცენტი სხვა კითხვებზე პასუხისასაც: მაგალითად, რას გვასწავლის ეს ზღაპარი? რისო საშუალებით მიაღწია ნაცარქექიამ წარმატებას? რატომ მოგეწონა (ან არ მოგეწონა) ეს ზღაპარი? და ა.შ.

ზღაპრის რეფლექსია

ქვემოთ მოცემული დებულებებიდან, რომლებიც ბავშვებს ღია კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ უნდა აერჩიათ, მესამე, მეექვსე და მეცხრეკლასელებმაც სწორად მოახდინეს იმ დებულებების იდენტიფიკაცია, რომელიც “ნაცარქექიას” ნარატიულ ანალიზში იყო დასკვნის სახით წარმოდგენილი. ბოლო სამი ყველაზე იშვიათად მონიშნული დებულება სწორედ ისინია, რომელიც ამ ზღაპრის აზრის პრიმიტიულ გაგებას წარმოადგენს.

ცხრილი #6

	III კლასი	VI კლასი	IX კლასი
ყველაზე ზარმაც და სუსტ ადამიანსაც შეუძლია წარმატებას მიაღწიოს, თუ ეცდება ჭკვიანურად გამოიყენოს ის, რაც აქვს	12	20	14
როდესაც ძალა არ გყოფნის, ჯობია ჭკუა გამოიყენო	11	13	9
არ უნდა შეგვეზღვეს მათი, ვინც ჩვენზე დიდი და ძლიერია	9	10	6
შიში ბუნებრივია და მის გამო უკან არ უნდა დავიხიოთ	8	11	6
გონებით და მოხერხებით შესაძლებელია ძალის დამარცხება	6	10	7
იმისთვის რომ წარმატებას მიაღწიო, აუცილებელია სახლიდან გახვიდე	5	3	2
სიზარმაცე არ არის ცუდი თვისება	3	2	0
ხანდახან უნდა მოიტყო იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიო	1	4	2
სხვისი სახლ-კარის მითვისება ხანდახან გამართლებულია	1	0	1

კითხვაზე, მოგეწონა თუ არა “ნაცარქექია” უკლებლივ ყველა გამოკითხული მესამე კლასელი დადებითად პასუხობს. მონონების მიზეზები კი შემდეგია:

“იმიტომ რომ ეხება უშიშრობას და გამბედაობას” (ანი, III კლასი),

“მოხერხებულობას ეხება” (გუგა, III კლასი),

“სიკეთემ გაიმარჯვა” (გვანცა, III კლასი),

“ნაცარქექია მიხერხებულია” (დათა, III კლასი)

“ძალიან ჭკვიანურად მოიქცა” (ლუკა, III კლასი).

ასევე, ორმა აღნიშნა, რომ ნაცარქექია დამაფიქრებელი ზღაპარია, რომლისგანაც ბევრის სწავლა შეიძლება:

“სასაცილო და დამაფიქრებელია” (გიორგი, III კლასი),

“ამ ზღაპრიდან ძალიან ბევრ რამეს ვისწავლით” (ლუკა, III კლასი).

მეექვსე და მეცხრე კლასში “ნაცარქექიას” მონონება ასე ცალსახა არაა და ჩნდება პასუხები “არ მომეწონა” ან “მეტ-ნაკლებად მომეწონა”. არ მონონების მიზეზები ისაა, რომ ეს ზღაპარი სიზარმაცეს ეხება და რომ ნაცარქექიამ სხვისი ქონება მისაკუთრა. მეცხრეკლასელები ხაზს უსვამენ იმას, რომ პატარებმა შეიძლება ცუდად გაიგონ ეს ზღაპარი და ტყუილით შეეცადონ წარმატების მიღწევას.

მონონების მიზეზები კი არის ის, რომ საინტერესო და სახლისო ზღაპარია და მოხერხებულობას, გამბედაობას და სიჭკვიანეს ეხება. ის რომ ნაცარქექია დამაფიქრებელია, მეექვსე კლასშიც ახსენეს: “კარგი და აზროვნებიანი ზღაპარია” (მარიამი, VI კლასი). თუმცა, მეცხრე კლასში “ნაცარქექია” იმ გზავნილის გამო მონონთ,

რომელიც მონდომებას და შესაძლებლობების რეალიზაციას ეხება: “ეს ზღაპარი მოგვიწოდებს რომ ვიპოვოთ ჩვენი თავი იმ საქმეში რაც გვეხერხება. სწორად ამიტომ დაიმსახურა მან ჩემი დიდი მონონება” (გიორგი, IX კლასი).

თხოვნაზე ზღაპარს სხვა დასასრული მოუფიქრონ, მესამეკლასელთა უმრავლესობა უმრავლესობა ამბობს რომ ნაცარქექიას ზღაპრის დასასრულს ცოლი და შვილები ეყოლებოდა, დანარჩენნი კი აცხადებენ, რომ დასასრულს არ შეცვლიდნენ. მეექვსეკლასელები ამბობენ, რომ ზღაპარს ნაცარქექიას დაქორწინებით დაამთავრებდნენ. მეცხრე კლასში კი ეს თემა საერთოდ აღარ დაფიქსირებულა. მეექვსე და მეცხრე კლასში ზღაპრის ალტერნატიულ დასასრულად ნაცარქექიას გამოსწორება გვევლინება: “ნაცარქექია ჭკუას ისწავლიდა და ზარმაცი აღარ იქნებოდა” (ნინო, IX კლასი). ასევე, ამ კლასებში, მესამესგან განსხვავებით ამბობენ, რომ დევებს სახლიდან არ გააგდებდნენ ან დააბრუნებდნენ სახლში.

შეჯამება

ბავშვების პასუხები “ნაცარქექიას” შესახებ დასმულ კითხვებზე მიუთითებს, რომ ზღაპრის ძირითადი გზავნილები იმის შესახებ, რომ ძალის დამარცხება გონების და მოხერხების საშუალებით შეიძლება და რომ ყველას შეუძლია წარმატების მიღწევა თუ მონდომებს, გაგებულია. თავად ზღაპარი, ამ გზავნილებს პირდაპირ არსად აყალიბებს - მათ მკითხველი აყალიბებს ზღაპრის სიუჟეტზე დაყრდნობით. რაც მთავარია ეს არაა უბრალოდ ზღაპრის შეჯამება, არამედ ესაა ზღაპრის საფუძვლადმდებარე პრინციპის წვდომა, რომელიც საკუთარი სიტყვებით გადმოიცემა. ამ პრინციპების წვდომა კი, თავის მხრივ, დიდ როლს უნდა თამაშობდეს იმ ოპტიმიზმის განვითარებაში, რაც ასე მნიშვნელოვანია ყველა ადამიანის ცხოვრებაში.

ბავშვების პასუხები კითხვაზე, თუ როგორ გაგრძელდებოდა ნაცარქექიას ცხოვრება სახლიდან რომ არ წასულიყო მიუთითებს იმაზე, რომ გაგებულია მეტაფორა

ყოფიერების ორი ალტერნატივის შესახებ, ისევე როგორც ის, რომ “სახლიდან წასვლა” და ახალი გარემო ცვლის ადამიანს და მას თვითრეალიზაციას და წარმატებას პირდება.

ბავშვების მიერ “ნაცარქექია” გაგება იმაზე უფრო მრავალმხრივი და ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ეს ზღაპრის ნარატიულ ანალიზში იყო ნავარაუდები. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ “ნაცარქექია” არა მხოლოდ საკუთარი თავის რწმენას და ოპტიმიზმს შთაუწერგავს ბავშვებს, არამედ სხვა ადამიანების მიმღებლობას და პატივისცემას ასწავლის - აჩვენებს რა თუ რამხელა წარმატების მიღწევა შეძლო ერთი შეხედვით უქნარა ნაცარქექიამ. ამასთან, პასუხების მრავალფეროვნება იზრდება მეექვსე და მეცხრე კლასებში, რაც შესაძლოა აიხსნას როგორც მათი კოგითური უნარების უკეთესი განვითარებით, ასევე გაზრდილი არსებული ცოდნით, გამოცდილებით, რომლის საფუძველზეც ისინი ინტერპრეტაციას უკეთებენ წაკითხულ თუ მოსმენილ ტექსტს.

ბავშვების პასუხების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრის ძირითადი გზავნილები სხვადასხვა ასაკის ბავშვებს მსგავსად ესმით, გმირების და მათი ქმედებების ბავშვებისეული შეფასება განსხვავდება ერთმანეთისგან. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება პასუხების მრავალფეროვნება და გმირების ქმედებების პრაგმატული გაგება. ბავშვების პასუხები ადასტურებენ, რომ 11-12 და 14-15 წლის ბავშვების პერსპექტივა განსხვავდება 7-8 წლის ბავშვების პერსპექტივიდან, რომლებიც ზღაპარს ისე არ იგებენ, როგორც ეს მათზე უფროსებს წარმოუდგენიათ. კერძოდ, უფროსების ოლოდინის საპირისპიროდ, ბავშვები ამბობენ, რომ ნაცარქექია მათ სიზარმაცეს და ტყუილის თქმას კი არ ასწავლის, არამედ სიზარმაცის დაძლევას და იმას, რომ არ მოვიტყუოთ. ის, რომ ეს უკანსკნელი პირდაპირ არ გამომდინარეობს ზღაპრიდან, კიდევ ერთხელ მიანიშნებს რომ ზღაპრების გაგება “პირდაპირ” არასოდეს ხდება, არამედ გაშუალებულია ჩვენი უკვე არსებული ცოდნით და გამოცდილებით. მსგავსად, ნაცარქექიას სახლიდან წასვლა ზოგჯერ განიხლება როგორც “მუშაობა”, “შრომა”, რაც ერთი შეხედვით ასევე შორსაა ნაცარქექიას ქმედებებისგან. მისი მოხერხებულობა კი,

რიგ შემთხვევებში სწავლას და განათლებას უკავშირდება, რაც ასევე არსადაა ნახსენები ზღაპარში.

ინდივიდუალურია ნაცარქექიას მთავარი მიღწევის აღქმაც: ზოგისთვის ეს სიმდიდრეა, ზოგისთვის პატივისცემის მოპოვება, ზოგისთვის კი უბრალოდ - ცვლილება. “სამეფო”, რომელსაც “ნაცარქექია” ბავშვებს” აღუთქვამს ბავშვიდან ბავშვამდე იცვლება იმის მიხედვით, თუ რა არის მათთვის უფრო მნიშვნელოვანი. განსხვავებულია მათი აზრი იმაზეც, თუ რა არის ამ ზღაპრის ძირითადი თემა ან რას გვასწავლის ეს ზღაპარი. მესამე კლასში ფიგურირებს შიშის დაძლევის თემა, მეექვსეში - სიზარმაცის დაძლევა, ხოლო მეცხრეში - მონღომება და განათლება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ იმაზე, თუ როგორ გვესმის ზღაპრები, არა მხოლოდ უკვე არსებულ ცოდნას და გამოცდილებას აქვს გავლენა, არამედ იმასაც თუ რა გვინდა, რა მიზნები და ამოცანები გვაქვს და ვინ გვინდა რომ ვიყოთ - როგორია ჩვენი იდეალური “მე”. სხვა სიტყვებით რომ ვთვათ, ზღაპრის ინდივიდუალური გაგება ყალიბდება ინდივიდუალურ ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიზნებზე დაყრდნობით.

ბავშვების პასუხები ასახავს კოლბერგის მიერ აღწერილ მორალური განვითარების საფეხურებს. მსჯელობენ რა უშუალოდ ნაცარქექიას ქცევის შედეგებიდან გამომდინარე, როგორც ეს პრეკონვენციონალური სტადიისთვისაა დამახასიათებელი, 7-8 წლის ბავშვები ერთხმად გამოხატავენ “ნაცარქექიას” მონღონებას. 11-12 წლის და უფროს ბავშვებში კი უკვე ჩნდება კრიტიკული დამოკიდებულება ამ ზღაპრისადმი. ეს შეესაბამება კონვენციონალურ სტადიას, მორალური მსჯელობის განვითარების მესამე საფეხურს, როდესაც ქცევის მორალურობაზე მსჯელობა არა მხოლოდ შედეგიდან, არამედ განზრახვიდან გამომდინარე ხდება. ამ ასაკის მოზარდები აკრიტიკებენ ზღაპარს იმის გამო, რომ მთავარი გმირის ქცევა არ შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს - ის არღვევს იმ შეთანხმებებს და წესებს, რომელთაც დადგენილია ფართო საზოგადოების მიერ.

ბავშვების პასუხები, თუ ზღაპრის რომელ გმირთან იმეგობრებდნენ და რატომ, ასევე კარგად ასახავენ კოლბერგის მიერ გამოყოფილ მორალური განვითარების საფეხურებს. იმის მიუხედავად, თუ რომელ პერსონაჟთან მეგობრობას არჩევენ, 7-8 წლის ბავშვების მოტივაცია პრაგმატული მოსაზრებებს ეყრდობა. ნაცარქექიასთან მეგობრობას ირჩევენ იმის გამო, რომ ის მოხერხებულაა, დევთან კი იმის გამო, რომ მასთან თავს დაცულად იგრძნობდნენ: “მისი ყველას შეეშინდებოდა” (აკა, III კლასი). 11-12 წლიდან კი უფრო და უფრო ნაკლებ მოზარდს სურს ნაცარქექიასთან მეგობრობა. აქ ასევე ჩნდება პასუხი, რომ ნაცარქექიას არაფრით ჰგვანან და იმატებს ნაცარქექიას კრიტიკა და დევთან მეგობრობის სურვილი. მეექვსეკლასელთა მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვისთან მეგობრობას ისურვებნენ, პრეკონვენციონალური და კონვენციონალური ეტაპებისთვის დამახასიათებელი მსჯელობის ერთგვარი ნარევია და კარგად ასახავს ერთიდან მეორე ეტაპზე გადასვლას: ერთი მხრივ, პრაგმატიზმი და საკუთარ ინტერესებზე ფიქრი აქაც ვლინდება: “დევი, არ მომატყუებდა, ნაცარქექიას კი შეეძლო გავვებრიყვებინე” (ია, VI კლასი). მეორე მხრივ კი, აქ უკვე ჩნდება ნაცარქექიას საქციელის მორალური ნორმების ჭრილში განხილვა: “ნაცარქექია იყო ზარმაცი და მატყუარა, დევები კი მშრომელები და ყოჩაღები” (ნინია, VI კლასი). რადგან ნაცარქექიას საქციელი საზოგადოებრივ მოლოდინებს და შეხედულებებს ნაკლებად შეესაბამება, დევები კი ამ კონკრეტულ ზღაპარში არაფერს აკეთებენ ისეთს, რაც საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს არღვევს, ბავშვები დევთან მეგობრობისკენ იხრებიან. მეცხრეკლასელებში ეს ტენდენცია შენარჩუნებული და კიდევ უფრო გაძლიერებულია.

5.2. წიქარა

კითხვებს “წიქარას” შესახებ უპასუხა სამოცდა ორმა მესამე, მეექვსე და მეცხრეკლასელმა. მათ უმრავლესობას (58) უკვე წაკითხული ქონდა ეს ზღაპარი ერთხელ მაინც. მესამე- და მეექვსეკლასელები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ უყვართ ზღაპრების კითხვა (მხოლოდ ერთი მესამაკლასიდან და ორი მეექვსეკლასიდან ამბობს, რომ არ უყვარს), ხოლო მეცხრეკლასელების თითქმის ნახევარი (ოციდან რვა) ხაღებს, რომ არც ისე ან არ უყვართ ზღაპრების კითხვა. ეს განსხვავება სხვადასხვა ასაკის ბავშვებს შორის, სწორედ იმ განსხვავებაზე მიგვანიშნებს, რომელსაც ლუისი “შეცვლას” და არა “ზრდას” უკავშირებს და რომლის შესახებ “ნაცარქექიას” ანალიზისას უფრო დეტალურად ვისაუბრეთ.

მეგობრობა

ნაშრომის პირველ ნაწილში, “წიქარას” ნარატიული ანალიზში, ხაზი გაესვა იმას, რომ წიქარა ახერხებს მკითხველისთვის მეგობრობა უფრო მიმზიდველი გახადოს და ნამდვილი მეგობრების ამოცნობა ასწავლოს მკითხველს. კვლევის მეორე ნაწილი ადასტურებს ამ მოსაზრებას.

“ზღაპარი მეგობრობას უფრო მიმზიდველს ხდის...”

მეექვსეკლასელი ია, კითხვაზე თუ რითი ჰგავს “წიქარას” პერსონაჟ ბიჭს, უპასუხობს: “მე მყავს ისეთი მეგობარი რომელიც მახალისებს მისგან სულ დადებითი მუხტი მოდის და როგორც გინდა მონყენილი ვიყო სულ მახალისებს”. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარი დიდ აქცენტს არ აკეთებს იმაზე თუ როგორ ახალისებს და დადებითი მუხტით ავსებს წიქარასთან მეგობრობა ბიჭის ცხოვრებას, იგი მაინც ახერხებს მკითხველს დაანახოს მეგობრობის სასურველობა. როგორც პირველ ნაწილში აღინიშნა, “წიქარა” ამ გზავნილს მარტივი ხატების საშუალებით გადმოსცემს,

რომელიც მკითხველისთვის მეგობრობას მიმზიდველს ხდის და მას საკუთარ ცხოვრებაზე დაფიქრებისა და ანალიზისკენ უბიძგებს. როგორც წესი, კარგი ზღაპრის სიუჟეტი ისეა აგებული, რომ ეს ანალიზი სწორი დასკვნების გამოტანით მთავრდება - დასკვნების, როლებიც მისი ავტორისთვის უფრო ადვილად ინტერნალიზებადია, ვიდრე სხვის მიერ გაკეთებული და გადმოცემული ანალოგიური დასკვნები. იას სიტყვები სწორედ საკუთარ ცხოვრებასთან გავლებული პარალელის და მისი ანალიზის გახმოვანებაა, რომელსაც მივყავართ დასკვნამდე: “თუ როგორი ძვირფასია მეგობარი” (ია, VI კლასი).

კითხვაზე, თუ როგორი იქნებოდა ბიჭის ცხოვრება წიქარა რომ არ ყოფილიყო, პასუხები სამ კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორია მოიცავს პასუხებს, რომელიც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში დედინაცვალი ბიჭს დაჩაგრავდა ან მოკლავდა. პასუხების მეორე კატეგორია მოიცავს პასუხებს იმის შესახებ, თუ როგორი მოწყვნილი და დარდიანი იქნებოდა ბიჭი წიქარას გარეშე: “მისი ცხოვრება იქნებოდა უბედური მოწყვნილი დარდიანი” და სიცოცხლე არ ეყვარებოდა მას” (ია, VI კლასი). პასუხების მესამე კატეგორია კი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორი მოსაწყენი, უაზრო და უინტერესო იქნებოდა ბიჭის ცხოვრება წიქარას გარეშე: “უინტერესო იქნებოდა და უაზრო” (ანი, მესამე კლასი),

“უაზრო იქნებოდა რადგან არ ეყოლებოდა მეგობარი” (მერაბი, VI კლასი)

“წიქარა კი აზრს აძლევდა მის სიცოცხლეს აზრს” (ია, VI კლასი),

“ბიჭის ცხოვრება უხალისო და უთავგადასავლო იქნებოდა” (ლადო, VI კლასი),

“უიმისოდ იქნებოდა ერთფეროვნება” (ნინო, IX კლასი).

პასუხები კითხვაზე, თუ როგორ გაგრძელდებოდა ბიჭის ცხოვრება წიქარას გარეშე, მიუთითებს, რომ ზღაპარი წარმატებით გადასცემს მკითხველს გზავნილს იმის შესახებ, თუ რა მოსაწყენი და სევდიანია ცხოვრება მეგობრის გარეშე. უმრავლესობას წიქარას ცხოვრება სევდიანი და მოსაწყენი წარმოუდგენია:

“ბიჭი იქნებოდა სევდიანი უხალისო და მოწყენილი” (ლუკა, III კლასი)

“მისი სიცოცხლე სევდიანი იქნებოდა და მოსაწყენი” (გიორგი, VI კლასი).

ეს პასუხები ძალიან ჰგავს პასუხებს კითხვაზე თუ როგორი იქნებოდა ბიჭის ცხოვრება წიქარა რომ არ ყოლოდა.

როგორც პასუხები აჩვენებს, ბავშვები მესამე კლასიდანვე ახერხებენ ზღაპრის მიერ გადმოცემული გზავნილის გაგებას იმის თაობაზე, რომ უმეგობრო ცხოვრება სევდიანი, მოსაწყენი და სატრთხის შემცველია. თუმცა, მთავარი ის არის, რომ ამ დასკვნას ზღაპარი თავად კი არა აყალიბებს, არამედ მკითხველი თავად აკეთებს ზღაპრის სიუჟეტზე დაყრდნობით.

“...და გვასწავლის როგორ ამოვიცნოთ ნამდვილი მეგობარი”

კითხვაზე თუ რა არის ამ ზღაპრის მთავარი თემა, უმრავლესობა სწორედ მეგობრობას ასახელებს. როგორც ცხრილი აჩვენებს, ბავშვები მესამე კლასიდან უკვე კარგად ხვდებიან ზღაპრის თემატიკას.

ცხრილი #7

შენი აზრით, რა არის ამ ზღაპრის მთავარი თემა/აზრი?					
III კლასი	VI კლასი		IX კლასი		
მეგობრობა	14	მეგობრობა	17	მეგობრობა	18
სიკეთე	7	სიყვარული	14	ერთგულება	6
სიყვარული	4	ერთგულება	8	თავდადება	3
გასაჭირში დახმარება	2	გასაჭირში დახმარება	3	სიყვარული	2
თავდადება	2				
ერთგულება	1				
სხვა	1				

ცხრილი #8

შენი აზრით, რას გეასწავლის ეს ზღაპარი?					
III კლასი		VI კლასი		IX კლასი	
გასაჭირში დახმარება	8	მეგობრობა	1 5	ერთგულება	10
მეგობრობა	7	სიყვარული	1 2	მეგობრობა	10
სიკეთე	6	ერთგულება	1 0	თავდადება	4
სიყვარული	5	თავდადება	7	სიყვარული	3
სხვა	3	გასაჭირში დახმარება	3	გასაჭირში დახმარება	3
უშიშრები ვიყოთ	2	სხვა	3	სხვა	3
ერთგულება	1				

კითხვაზე, თუ რა არის “წიქარას” თემა, მეექვსეკლასელი დათო პასუხობს: “გვასწავლის, მეგობრობა როგორია და შენი მეგობარი როგორი უნდა იყოს. იგი სულ შენს გვერდით უნდა იდგეს და არასდროს არ მიგატოვოს არც ლხინში, არც ჭირში”. ეს ეხმიანება ზღაპრის ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც საჭირვარამო სალამური, როგორც ჩვენს ცხოვრებაში სირთულეებით აღსავსე დღეების აღმნიშვნელი, მიანიშნებს მეგობრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მაშინ, როდესაც გიჭირს. კონკრეტული კითხვა სალამურის შესახებ მოცემულ კვლევაში არ დასმულა და იმ შემთხვევაშიც კი რომ დასმულიყო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბავშვები მასზე იგივენაირად უპასუხებდნენ, როგორც ეს ზღაპრის ნარატიულ ანალიზშია ნავარაუდები. თუმცა, მთავარი ის კი არაა, თუ როგორ ხელავენ ზღაპარში ცალკეულ გმირებს ან ობიექტებს ბავშვები, არამედ ის, თუ რა დასკვნა გამოაქვთ ამ გმირების თუ ობიექტების ურთიერთქმედებიდან. ანუ მეტაფორას ქმნის ზღაპრის სიუჟეტი და მასში გმირების, საგნების და მოვლენების ურთიერთქმედება, და არა კონკრეტული გმირები, საგნები თუ მოვლენები.

“წიქარაში” ერთ-ერთი მეტაფორა იქმნება იმით, რომ წიქარა საჭირვარამო სალამურის ხმის გაგონებაზე მაშინვე ბიჭთან ჩნდება და ყველანაირად ცდილობს მის დახმარებას. როგორც ნარატიულ ანალიზში იქნა აღნიშნული, ეს ნამდვილი მეგობრობის მეტაფორაა, რომლის დროსაც მეგობრები ერთმანეთის გასაჭირის გაგებისას ერთმანეთს ეხმარებიან. ეს მეტაფორა რომ ბავშვებისთვის გასაგებია, ამაზე მიანიშნებს შემდეგი პასუხები:

“ცხოვრებაში ადამიანს ბევრი გასაჭირი აქვს მის დაძლევაში გვეხმარება ერთგული მეგობარი. ეს ზღაპარი გვასწავლის სწორედ ამას” (ლუკა, III კლასი),

“გადმოცემულია ერთგული მეგობრის ნათელი მაგალითი წიქარას სახით” (გიორგი, IX კლასი).

თუ ამ მონაცემებს უფრო ახლოდან შევხედავთ, დავინახავთ რომ ეს ზღაპარი არა მხოლოდ იმას ასწავლის მკითხველს, თუ როგორ ამოიყნოს ნამდვილი მეგობარი, არამედ იმასაც, თუ როგორი მეგობარი უნდა იყოს თავად. “წიქარა” მკითხველს უბიძგებს ნამდვილი მეგობრის როლის მორგებისკენ:

“ჩვენც ისეთივე მეგობრულები უნდა ვიყოთ როგორც წიქარა” (ნათია, VI კლასი),

“გვასწავლის რომ ჩვენ მეგობარს უნდა დავეხმაროთ და გვიყვარდეს იგი” (ანა, III კლასი),

“როცა ჩვენი მეგობარი გასაჭირშია უნდა დავეხმაროთ” (დათა, III კლასი),

“როდესაც მეგობარი გასაჭირში ჩავარდება უნდა გადაარჩინო არ უნდა მიატოვო” (ლუკა, VI კლასი),

“მუდამ მზად უნდა ვიყოთ მეგობრის გასაჭირიდან დასახსნელად” (თემური, IX კლასი).

ეს ზღაპრის კიდევ ერთი ღირსებაა, რომელიც მის ნარატიულ ანალიზში არ იყო ნახსენები, თუმცა ბავშვების პასუხებმა ის ნათელი გახადა.

გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ მოეწონა ზღაპარი იმის გამო, რომ:

“ეხება სიყვარულს ერთგულებას სიკეთეს და მეგობრობას” (ანი, III კლასი),

“ეს არის კეთილი მოთხრობა მეგობრობაზე ის გვეუბნება რომ მეგობრობაზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერი არის” (ლალო, VI კლასი),

“გადმოცემულია მეგობრობის არსი” (ანა, IX კლასი),

“აქ სჩანს თუ მეგობრობა რამდენს ნიშნავს” (ნინო, IX კლასი).

ეს პასუხები მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ “წიქარას” აკლია ჯადოსნური ზღაპრებისთვის დამახასიათებელი ბედნიერი დასასრული, ის მაინც მოსაწონია ბავშვებისთვის და რაც მთავარია ამ მოწონების მიზეზი ის ღირებულებებია, რომლებსაც ის თავისი სიუჟეტით გადასცემს მკითხველს.

ბიჭი როგორც რეალური - და წიქარა როგორც იდეალური “მე”

“წიქარას” შემთხვევაში გმირთან იდენტიფიკაციის საკითხი ისე ცალსახად არ დგას, როგორც სხვა ზღაპრებში იმის გამო, რომ მთავარი მოქმედი პირი ანუ გმირი არაა წარმოჩენილი როგორც ყველაზე ძლიერი, ლამაზი, ჭკვიანი და დადებითი გმირი. “წიქარას” ნარატიულ ანალიზში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბავშვისთვის შესაძლოა უფრო ადვილი იყოს ბიჭთან იდენტიფიკაცია მთელი იმ სისუსტეების გამო, რომლებიც ბავშვებისთვის და “წიქარას” გმირი ბიჭისთვის საერთოა. თუმცა, ამ მსგავსებების მიუხედავად, წიქარა რჩება ყველაზე მიმზიდველ და დადებით გმირად, რომელიც უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, ვიდრე ბიჭი.

როგორც ცხრილი აჩვენებს, მესამე და მეექვსე კლასელების უმრავლესობა, ფიქრობს რომ “წიქარას” გმირებიდან ბიჭს უფრო ჰგავს, ვიდრე წიქარას. მეცხრე კლასში კი სურათი იცვლება და უმრავლესობა ამბობს, რომ წიქარაში უფრო მეტ საერთოს პოულობს საკუთარ თავთან, ვიდრე ბიჭში.

ცხრილი#9

რომელი პერსონაჟი გგავს?					
III კლასი		VI კლასი		IX კლასი	
ბიჭი	10	ბიჭი	15	წიქარა	15
წიქარა	7	წიქარა	7	ბიჭი	4
		ორივე	1		
		არც ერთი	1		

მათი პასუხები შეკითხვაზე, თუ რითი ჰგვანან ბიჭს ან წიქარას, ნაწილობრივ ხსნის განსხვავებას ამ ჯგუფებს შორის. მესამე და მეექვსე კლასელთა პასუხები კითხვაზე თუ რითი ჰგვანან ბიჭს, ორ კატეგორიად იყოფა: პირველი - ყურადღებას ბიჭის მეგობრულობაზე ამახვილებს:

“თავის მეგობარი უყვარდა და ყველაფერს უსრულებდა” (ანი, III კლასი),

“ბიჭს თავისი მეგობარი ძალიან უყვარს და უნდა რომ გადაარჩინოს” (ანა, VI კლასი).

პასუხთა მეორე კატეგორია კი ბიჭის ადამიანობაზე ამახვილებს ყურადღებას:

“[ბიჭი მგავს] თვალებით, თავით, ნიკაპით, პირით, ხელებით, ფეხებით და ასე შემდეგ” (ლუკა, III კლასი),

“ბიჭიც ადამიანია” (ნინი, III კლასი),

“განსაკუთრებულის გაკეთება არ შემიძლია” (ანანო, VI კლასი),

“წიქარა რომ მყოლოდა და მკვდარი რომ მენახა ვიტირებდი” (თორნიკე, III კლასი).

ეს უკანასკნელი ამყარებს “წიქარას” ნარატიულ ანალიზში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შესაძლოა იდენტიფიკაცია უფრო ადვილი იყოს ისეთ გმირთან რომელსაც განსაკუთრებული, ჯადოსნური უნარები არ გააჩნია და მთელი რიგი მახასიათებლებით ბავშვთან უფრო ახლოსაა ვიდრე ზღაპრის ტიპიური გმირი, რომელიც ერთდროულად ძლიერი, ჭკვიანი, ლამაზი და უშიშარია.

წიქარას მსგავსებას საკუთარ თავთან მესამე და მეექვსეკლასელები სიკეთეში, მეგობრობაში და ერთგულებაში პოულობენ:

“წიქარა მგავს მეგობრობით სიკეთით” (საბა, III კლასი),

“ჩემსავით ერთგულია” (ნანუკა, VI კლასი),

“მეგობარს გასაჭირში მეც ვეხმარები” (გიორგი, VI კლასი).

მეგობრისთვის თავდადება არის ის, რაშიც მეცხრეკლასელები წიქარასთან მსგავსებას პოულობენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ წიქარას ჰგავს იმით, რომ იცის მეგობრობის ფასი და მეგობრისთვის ყველაფერს გააკეთებს:

“მეგობრის გამო ყველაფერზეა წამსვლელი” (ანა, IX კლასი),

“მეც ყველაფერს გავაკეთებდი მეგობრის გადასარჩენად” (გიორგი, IX კლასი),

“იცის მეგობრის ფასი. მეგობრისთვის ყველაფერს გავაკეთებ” (ნინო, IX კლასი).

როგორც ჩანს, კარგი მეგობრის თვისებები, ერთგულების და თავდადების ჩათვლით, უფრო მნიშვნელოვანია მეცხრეკლასელთა თვითაღქმაში, ვიდრე ასაკით უფრო პატარა ბავშვებისთვის. თუმცა, რამდენიმე მათგანი, რომელიც ამბობს, რომ ბიჭს უფრო ჰგავს ვიდრე წიქარას, ამ მსგავსებას მისი და ბიჭის სისუსტეებით ხსნის:

“ვარ პესიმისტი და ვკარგავ ყველაფერს იმედს” (ქეთი, IX კლასი),

“ცოტა წინდაუხედავია და მეგობრული” (ნინო, IX კლასი),

“მეც არ შემძლია კრიტიკულ დროს გამოსავალზე ფიქრი” (ჯაბა, IX კლასი).

სავარაუდოდ, ყველა ადამიანი იზიარებს რაღაც მსგავსებას წიქარასთანაც და ბიჭთანაც. თუმცა რადგან აქ წიქარა ძლიერ პერსონაჟადაა წარმოჩენილი, ბიჭი კი სუსტად, რესპონდენტი აკეთებს არჩევანს - გაუსვას ხაზი საკუთარ სიძლიერეს (მაგალითად: მეგობრების სიყვარულს და ერთგულებას) თუ სისუსტეს (მაგალითად: წინდაუხედავობა, პესიმიზმი, და ა.შ.). რადგან მეცხრეკლასელებისგან უფრო მოსალოდნელია სურვილი დამალონ ის, რაც “ბავშვურად” წარმოიჩინოთ სხვების თვალში, გასაკვირი არაა, რომ ისინი საკუთარი თავის წიქარასთან იდენტიფიკაციას უფრო ცდილობენ, ვიდრე ბიჭთან, რომელიც მთელი რიგი სისუსტეებით გამოირჩევა წიქარასგან.

კითხვაზე, თუ როგორ მოიქცეოდა თავად ბიჭის ადგილას, მესამე-, მეექვსე- და მეცხრე კლასელთა ნაწილი პასუხობს რომ ზუსტად ბიჭისნაირად მოიქცეოდა:

“მეც დავლონდებოდი და მოვიწყენდი”(ნინი, III კლასი),

“მეც მეტკინებოდა გული და ჩემი საუკეთესო მეგობრის საფლავთან გავატარებდი მთელ დროს” (თიკა, VI კლასი),

“მეც ვინერვიულებდი როცა უკან აღარ დაბრუნდებოდა და წავიდოდი მოსაძებნათ” (გიორგი, IX კლასი).

ნაწილი კი ამბობს, რომ სხვანაირად მოიქცეოდა და წიქარასთვის მიცემულ პირობას არ დაარღვევდა. ამ უკანასკნელზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

მიუხედავად იმ საერთო მახასიათებლებისა, რომლებსაც გამოკითხულები ბიჭთან ნახულობენ, მათი უმრავლესობა ბიჭთან მეგობრობას წიქარასთან მეგობრობას არჩევს.

ცხრილი #10

ვისთან იმეგობრებდი?					
III კლასი		VI კლასი		IX კლასი	
წიქარა	16	წიქარა	15	წიქარა	16
ორივე	1	ორივე	9	ბიჭი	2
		ბიჭი	1	ორივე	1

წიქარასთან მეგობრობის სურვილი იმ დადებითი თვისებებით აიხსნება, რაც წიქარას, როგორც მეგობარს ახასიათებს: “წიქარა ნამდვილი მეგობრის სახეა. მისი იმედი სულ მექნებოდა” (გიორგი, IX კლასი). ისევე, როგორც გიორგის ახსნა, თუ

რატომ იმეგობრებდა წიქარასთან, უმრავლესობის მოტივი ორ კატეგორიად იყოფა: ერთია პასუხები, რომლებიც წიქარას დადებით მახასიათებლებზე ამახვილებენ ყურადღებას და მეორეა პასუხები, რომლებიც ასეთი მეგობრის ყოლისგან მიღებულ სარგებელზე საუბრობენ. პირველის მაგალითებია:

“ის იყო კეთილი მეგობრის მოსიყვარულე და გაბედული” (ანა, III კლასი),

“{წიქარა} მეგობრულია, ძლიერია, ერთგულია და თავგანწირული”
(ნიკოლოზი, VI კლასი),

“ნამდვილი მეგობრობა წიქარას შეეძლო” (ნინო, IX კლასი).

მეორესი კი:

“ის ჩემი გულისთვისაც განირავდა თავს და იმედი მექნებოდა რომ გადამარჩენდა” (გვანცა, III კლასი),

“თავისი მეგობრობისთვის თავი განირა და ის თუ ჩემი მეგობარი იქნებოდა ჩემთვისაც განირავდა თავს” (ანანო, VI კლასი),

“რაც გინდა მოხდეს ჩემს გვერდით იქნებოდა” (გიორგი, IX კლასი).

წიქარა რომ უფრო იდეალური გმირია, ვიდრე ბიჭი, ამას მასთან მეგობრობის სურვილთან ერთად ისიც ადასტურებს, რომ კითხვაზე, თავად როგორ მოიქცეოდა წიქარას ადგილას, უმრავლესობა პასუხობს, რომ თვითონაც წიქარასნაირად მოიქცეოდა, დაიცავდა და თავს განირავდა მეგობრისთვის. თუმცა, მეექვსე და მეცხრე კლასში დაფიქსირდა პასუხები, რომ:

“მეც ასე მოვიქცეოდი მეგობრისთვის ყველაფერს გავაკეთებდი მაგრამ თავს ვერ მოვიკლავდი” (ანა, VI კლასი),

“მეგობრისთვის სიცოცხლეს ვერ გავწირავდი” (ჯაბა, IX კლასი),

“თავის განწირვა გამიჭირდებოდა” (ანუკი, IX კლასი).

ბიჭის და წიქრას წარმოსახვითი ასაკი განსხვავდება სხვადასხვა კლასში. მესამეკლასელები თვლიან, რომ ბიჭის ასაკი 5-დან 18 წლამდე მერყეობს (საშუალო ასაკი 9 წელია), წიქრასი კი 5-დან 23-მდე (საშუალო ასაკი 8 წელი). მეექვსეკლასელების მიხედვით, ბიჭის ასაკი 8-დან 13 წლამდე მერყეობს (საშუალო ასაკი 11 წელია), წიქრასი კი 13-დან 35-მდე (საშუალო ასაკი 17 წელია). ბიჭის ასაკი, მეცხრეკლასელთა მიხედვით 5-დან 15 წლამდე მერყეობს (საშუალო ასაკი 10 წელია), ხოლო წიქრასი - 10-დან 99-მდე (საშუალო ასაკი 22 წელია). საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც ბიჭი თითქმის თანატოლად წარმოუდგენიათ, წიქრას წარმოსახვითი ასაკი იზრდება ბავშვების ასაკთან ერთად - მეექვსე და მეცხრე კლასებში წიქრა უფრო ასაკოვანი წარმოუდგენიათ, ვიდრე მესამე კლასში.

ეს მონაცემები ადასტურებს, რომ შესაძლოა ბიჭთან იდენტიფიკაცია უფრო ადვილი იყოს იმ “ჩვეულებრიობის” გამო, რაც ბიჭს ახასიათებს, მაგრამ წიქრა უდავოდ რჩება ყველაზე არაჩვეულებრივ, მიმზიდველ და დადებით გმირად ზღაპრის განმავლობაში. ამასთან, მონაცემები მიუთითებს, რომ ასაკით პატარა ბავშვები უფრო ბიჭთან ახდენენ იდენტიფიკაციას ვიდრე წიქრასთან, უფროსებთან კი პირიქითაა - აქ წიქრასთან იდენტიფიკაციას მისი გმრობა და მეგობრისთვის თავდადება აიოლებს, რაც შესაძლოა მესამე კლასელებისთვის იმდენად აქტუალური არ იყოს, როგორც მათზე რამდენიმე წლით უფროსებისთვის. თუმცა მიუხედავად იმის, ბიჭს უფრო ამსგავსებს თავს თუ წიქრას, წიქრა მაინც უფრო სასურველ მეგობრად სახელდება, რაც იმაზე მიუთითებს რომ ისინი მაინც იზიარებენ ბიჭის პერსონაჟთან სულ მცირე ერთ საერთოს - ძლიერი მეგობრის საჭიროებას.

პირობის შესრულება

“იდეა იმის შესახებ რომ მშვიდობა და ბედნიერება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ გარკვეულ პირობებში არის მთავარი ეთიკაში და ზღაპრებში” (Chesterton, 1908, გვ. 256).

პირობის შესრულების მნიშვნელობა, რომელიც “წიქარაში” მეორეხარისხოვანია მეგობრობის თემასთან შედარებით, გადმოცემულია იმ ეპიზოდით, როდესაც ბიჭი წიქარასთვის მიცემულ პირობას არღვევს და ხიდან ჩამოდის, რის გამოც საბოლოო ჯამში წიქარა კვდება. ერთი შეხედვით, ეს მომენტი თითქოს არ იქცევს მკითხველის ყურადღებას, რადგან ზღაპარში ამ მომენტზე განსაკუთრებული აქცენტი არ კეთდება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბავშვები მეექვსე კლასიდან ხვდებიან ამ მომენტის მნიშვნელობას და იმას, რომ პირობის შესრულება აუცილებელია ბედნიერი დასასრულისთვის.

კითხვაზე, თუ თავად როგორ მოიქცეოდნენ ბიჭის ადგილზე 25-დან შვიდი მეექვსეკლასელი და 20-დან ცხრა მეცხრეკლასელი პასუხობს, რომ წიქარასთვის მიცემულ პირობას შეასრულებდა და ხიდან არ ჩამოვიდოდა:

“მე წიქარასთვის დაპირებულ პირობას არ გავტეხავდი” (ია, VI კლასი)

“არ დავეხმარებოდი მოხუცს” (გიორგი, VI კლასი)

“დაპირებას არ გავტეხავდი ხიდან არ ჩამოვიდოდი” (ჯაბა, IX კლასი)

“მეგობრის თხოვნას შევასრულებდი და ხიდან არ ჩამოვიდოდი” (გიორგი,

IX კლასი)

ასევე, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წიქარას სიკვდილი სწორედ თავვისთვის მიცემული პირობის შესრულება იყო: “წიქარამ შეასრულა პირობა და თავს აჭამა ლემი” (ნინო, IX კლასი). მიუხედავად იმისა, რომ აქ პირობის შესრულებას ყველასთვის უარყოფითი შედეგი - წიქარას სიკვდილი მოყვა, ბავშვების უმრავლესობა მაინც ფიქრობს, რომ თავადაც წიქარასნაირად მოიქცეოდა - პირობას შეასრულებდა და თავს განირავდა მეგობრისთვის.

ეს პასუხები მიუთითებს, რომ ბავშვები მეექვსე კლასიდან “წიქარადან” კიდევ ერთ გაკვეთილს იღებენ. ისინი აცნობიერებენ პირობის დარღვევით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს, რაც მათ პირობის შესრულების აუცილებლობაზე მიუთითებს. შესაბამისად, ისინი მსგავს სიტუაციაში მოქმედების ალტერნატიულ გზას ირჩევენ, რაც მათ დადებითი შედეგების მოტანას პირდება.

მეგობრის დაკარგვა ცვლის ცხოვრებას, მაგრამ არ ხდის მას ტრაგიკულს

“წიქარას” დასასრული - თითქმის ტრაგიკული - მას სხვა ზღაპრებისგან განასხვავებს. შესაბამისად, ბეთელჰაიმი მას უსარგებლო ზღაპრად ჩათვლიდა, რომელიც ბავშვის ოპტიმიზმის ნაცვლად პესიმიზმს შთაუწერგავს. მესამე კლასელთა პასუხებს თუ გადავხედავთ კითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენიათ ბიჭის ცხოვრება წიქარას სიკვდილის შემდეგ, ბეთელჰაიმის მოსაზრება გამართლდება: მათ უმრავლესობას ბიჭის ცხოვრება დარდიანი, მოწყენილი, უინტერესო და უმეგობრო წარმოუდგენია. მიუხედავად იმისა, რომ მეექვსე და მეცხრეკლასელთა უმრავლესობაც ასე ფიქრობს, აქ უკვე ჩნდება წიქარას ახალი მეგობრით ჩანაცვლების მოლოდინი:

“სახლში აღარ დაბრუნდებოდა კიდევ იშოვიდა მეგობარს მაგრამ წიქარას არ დაივიწყებდა” (ანა, VI კლასი),

“ალბათ ბიჭი ერთ ხარს იყიდიდა და წიქარასავით ეყვარებოდა” (მერაბი, VI კლასი).

იგივე თემა ჩნდება მეცხრე კლასშიც, ოღონდ მაშინ, როდესაც ბავშვები ცდილობენ სხვა დასასრული მოუფიქრონ ზრავარს:

“წიქარს სიკვდილის შემდეგ ბიჭი გაიჩინდა მისნაირ მეგობარს” (გოგა, IX კლასი),

“ბიჭს სახლში დავაბრუნებდი კეთილს გავზრდიდი და ახალ მეგობარს გაუჩინდი” (ჯაბა, IX კლასი).

ის ფაქტი, რომ მესამე კლასში წიქარას სიკვდილის შემდეგ ახალი მეგობრის გაჩენის თემა არ დაფიქსირებულა, შესაძლოა, იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა მეექვსე- და მეცხრეკლასელებს უკეთესად აქვთ განვითარებული სტრესის დაძლევის მექანიზმები და უფრო ადვილად შეუძლიათ იმის წარმოდგენა, თუ როგორ ჩაანაცვლონ დანაკარგი.

მეექვსე- და მეცხრეკლასელებს რომ უფრო ოპტიმისტური ხედვა აქვთ, ამას ისიც მოწმობს, რომ აქ პასუხების სხვა კატეგორიებს დაემატა ისეთი პასუხები, როგორიცაა:

“ალბათ ბიჭი მამასთან დაბრუნდებოდა და დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებდნენ” (ეკა, VI კლასი),

“ბიჭი იხეტიალებდა სხვადასხვა ქვეყნებში წიქარას მოსაგონებლად” (ნიკოლოზი, VI კლასი),

“ბიჭი სახლში არ დაბრუნდებოდა, გააგრძელებდა ცხოვრებას” (ანა, IX კლასი),

“გაძნელდებოდა უმეგობროდ და მამასთან დაბრუნდებოდა” (ჯაბა, IX კლასი).

ეს პასუხები მიუთითებს, რომ მეექვსე- და მეცხრეკლასელებს ბიჭის ცხოვრება წიქარას გარეშე შეუძლიათ წარმოიდგინონ შეცვილი, მაგრამ არა ტრაგიკული.

მიუხედავად მათი უფრო ოპტიმისტური ხედვისა, როგორც “ნაცარქექიას” შემთხვევაში, მესამე- და მეექვსეკლასელები უფრო სკეპტიკურები არიან “წიქარას” მიმართ და მათ ნაწილს არ მონონს ეს ზღაპარი, მაშინ, როცა მესამეკლასელები ერთსულოვნად ამბობენ, რომ მოეწონათ “წიქარა”. არ მონონების მიზეზები ორი ტიპისაა. ერთი მიზეზი “წიქარას” ცუდი დასასრულია, ხოლო მეორე ის, რომ ზღაპარი “ბავშვურია”. რაც შეეხება პირველს, ბავშვები რომ უფრო “სამართლიან” დასასრულს ამჯობინებენ, ეს მათი პასუხებიდან ჩანს თხოვნაზე - სხვა დასასრული მოუფიქრონ ზღაპარს. სამივე კლასში გამოკითხულთა უმრავლესობა ბედნიერ დასასრულს უფიქრებს “წიქარას” - ისეთივეს, როგორც ზღაპარმა მოგვიანებით მიიღო:

“თავს მისი შეჭმა შეეცოდა მათი მეგობრობის გამო. გადავარჩენდი წიქარას და ბიჭს გავაგრძელებინებდი ცხოვრებას” (ანი, III კლასი),

“ვეცდებოდი რომ ჩემს ზღაპარში წიქარა არ მომკვდარიყო და ბიჭი არ დაღონებულიყო” (მერაბი, VI კლასი),

“მე წიქარას არ მოვკლავდი ასეთი კარგი საქციელისთვის თავს ვათქმევინებდი რომ ის სიცოცხლის ღირსი იყო და პირობა გაუქმებული იქნებოდა რადგან ასეთი თავდადება გამოიჩინა” (ნინო, IX კლასი),

“წიქარას ცოცხლად დავტოვებდი. ბავშვებისთვის უფრო მისაღები იქნებოდა” (გიორგი, IX კლასი).

ეს უკანასკნელი მიუთითებს იმ განსვლაზე, რაც ბავშვების და მოზარდების მოსაზრებებს შორის არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ზღაპრის არატრადიციული დასასრული ბავშვებისთვის მიუღებლად აღიქმება მათ მიერ, ვინც თავს ბავშვად აღარ თვლის.

ზღაპრის არმონონების მეორე მიზეზად კი მეცხრეკლასელთა მიერ მისი “ბავშვურობა” სახელდება:

“ძალიან ბავშვურია” (ომარი, IX კლასი),

“ვფიქრობ ასაკს არ შეეფერება. ადრე მომწონდა რადგან ვისმენდი ნამდვილ მეგობრობის და თავგანწირვის ისტორიას” (ნინო, IX კლასი).

ეს პასუხები ასახავს ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ზღაპრები მხოლოდ ბავშვებისთვისაა.

საბოლოო ჯამში, ზღაპრის ნარატიული ანალიზის ნაწილში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ “წიქარას” ტრაგიკული დასასრული უფრო რეალურია და მეგობრობის საზღვრებზე მიუთითებს მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ვნახეთ ბავშვების წარმოდგენაში ბიჭის ცხოვრება მეგობრის სიკვდილის შემდეგ ყოველთვის ტრაგიკული არაა, უმრავლეს შემთხვევაში ის მაინც მუქ ფერებშია დახატული და გამოკითხულთა უმრავლესობას ურჩევნია “წიქარას” ბედნიერი დასასრული ქონდეს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ “წიქარას” ასეთი დასასრული მის საგანმანათლებლო ფუნქციას რამენაირად ზღუდავს. პირიქით, ზოგისთვის ასეთი დასასრული ლოგიკურია და როგორც მეცხრე კლასელი გიორგი აღნიშნავს, მისი შეცვლის შემთხვევაში “მთავარი აზრი გაქრებოდა”.

პარადოქსულია ის, რომ მესამეკლასელებს, რომლებსაც ბიჭის ცხოვრება მეგობრის სიკვდილი შემდეგ უფრო მუქ ფერებში წარმოუდგენიათ, ვიდრე მეექვსე- ან

მეცხრეკლასელებს, უფრო მეტად მოწონთ ეს ზღაპარი. ხოლო მეექვსე- და მეცხრეკლასელებს, რომელთათვისაც ბიჭის ცხოვრება წიქარას სიკვდილის შემდეგ უფრო ოპტიმისტურად წარმოუდგენიათ, ვიდრე მესამეკლასელებს, ხშირად არ მოწონთ ეს ზღაპარი მისი დასასრულის გამო.

ზღაპრის რეფლექსია

ქვემოთ მოცემული დებულებებიდან, რომლებიდანაც ბავშვებს ღია კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ უნდა აერჩიათ 3 ყველაზე მთავარი რამ, რასაც “წიქარა” გვასწავლის, ყველაზე ხშირად არჩეულს წარმოადგენს დებულება: “ნამდვილი მეგობარი ყოველთვის შენს გვერდითაა, როდესაც შენი გასაჭირის შესახებ იგებს”. ეს ადასტურებს, რომ ძირითადი “გაკვეთილი”, რომელსაც “წიქარა” გადმოგვცემს, სწორედ მეგობრობას და მეგობრების შეცნობას ეხება.

ცხრილი #11

III კლასი VI კლასი IX კლასი			
ნამდვილი მეგობარი ყოველთვის შენს გვერდითაა, როდესაც შენი გასაჭირის შესახებ იგებს	15	25	18
ნამდვილი მეგობრობა ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს ხდის	12	9	6
ცხოველი ადამიანის საუკეთესო მეგობარია	4	8	1
ადამიანის ცხოვრება ბედნიერი და დარდიანი დღეების მონაცვლეობაა	2	0	3
ზოგჯერ საუკეთესო მეგობარსაც არ შეუძლია შენი დახმარება	2	2	2
ყველა ადამიანს არ უნდა ენდო	2	1	9
ადამიანებს შურთ სხვისი ბედნიერების	1	6	3
როგორც კი მეგობრისთვის მიცემულ პირობას გატეხავ, მაშინვე ხიფათს გადაეყრები	1	5	8
ნამდვილმა მეგობარმა სიცოცხლეც უნდა გაწიროს მეგობრისთვის	0	17	10

საინტერესოა განსხვავებების ნახვა მესამე, მეექვსე და მეცხრე კლასების არჩევანს შორის. ეს განსხვავება ვერ განზოგადდება მოცემული კვლევის მეთოდოლოგიის გამო და ეს არცაა ამ კვლევის მიზანი, თუმცა ის საინტერესო კითხვებს აჩენს შემდგომი კვლევისთვის. პირველი მნიშვნელოვანი განსხვავება ეხება იმას, რომ მეექვსე- და მეცხრეკლასელები, მესამეკლასელებისგან განსხვავებით, ირჩევენ დებულებას პირობის შესრულების თაობაზე, როგორც მნიშვნელოვან გაკვეთილს რომელსაც “წიქარა” მკითხველს თავაზობს. ეს იმ თვისებრივი მონაცემებითაც დასტურდება, რომელიც ღია კითხვებზე პასუხების შედეგად იქნა მიღებული და რომელიც ასევე აჩვენებს, რომ მეექვსე და მეცხრე კლასში გზავნილი პირობის შესრულების აუცილებლობის შესახებ გაგებულია.

მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დებულება იმის შესახებ რომ ნამდვილმა მეგობარმა თავი უნდა გასწიროს მეგობრისთვის, მესამე კლასში არ იქნა არჩეული, მაშინ როდესაც მეექვსე და მეცხრე კლასში ის ხშირადაა გაგებული, როგორც “წიქარას” მთავარი გზავნილი. ეს განსხვავება გამყარებულია თვისებრივი მონაცემებით: კითხვაზე, თუ რას გვასწავლის ეს ზღაპარი, პასუხის კატეგორია “თავდადება” მხოლოდ მეექვსე და მეცხრე კლასში ჩნდება. ასევე, მეცხრეკლასელები უფრო მეტად წიქარას ამსგავსებენ თავს, ვიდრე ბიჭს და ამ მსგავსებას წიქარას მეგობრისადმი თავდადებით ხსნიან. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მეექვსე- და მეცხრეკლასელები უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი სოციალურ ურთიერთობებზე და თვითდამკვიდრებაზე, ვიდრე მესამეკლასელები, რომლებიც არ იზიარებენ მოცემულ პათოსს და რომელთათვისაც მეგობრობა თავგანწირვასთან არ ასოცირდება.

ანალიზის შეჯამება

ბავშვების პასუხები ადასტურებს, რომ “წიქარას” მიერ გადმოცემული გზავნილი იმის შესახებ, რომ მეგობრობა ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის, უმეგობრო

ცხოვრება კი უაზრო და მოსწყენია - გაგებულა. ბავშვები ზღაპრიდან ასევე იგებენ რა არის კარგი მეგობრისთვის საჭირო თვისებები, რაც, სავარაუდოდ, მათ დაეხმარებათ როგორც ნამდვილი მეგობრის ცნობაში, ასევე იმაში, რომ თავად გახდნენ კარგი მეგობრები. ეს უკანსკნელი ზღაპრის ის ასპექტია, რაც ნარატიულ ანალიზში არ იყო ნახსენები, თუმცა ბავშვების პასუხების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ზღაპარი არა მხოლოდ ნამდვილი მეგობრის ცნობას ასწავლის მკითხველს, არამედ თავადაც ანდომებს რომ წიქარასნაირი მეგობარი იყოს. აქ სავარაუდოდ ბეთელჰაიმის მიერ აღწერილი მექანიზმი მოქმედებს: იმ დადებითი შთაბეჭდილების გამო, რასაც წიქარა ბავშვებზე ახდენს, ბავშვს უნდება რომ თავადაც მისნაირი იყოს, რაც შემდგომში მისი მორალური იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ხდება.

პასუხები ასევე მიუთითებს, რომ “წიქარას” მიერ გადმოცემული კიდევ ერთი “გაკვეთილი” პირობის შესრულების აუცილებლობაზე, რომელიც ხშირად გვხვება ზღაპრებში და მნიშვნელოვანია ეთიკაში, გაგებული და გააზრებულია ბავშვების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ეს “წიქარას” მთავარი გზავნილი არ არის. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ გზავნილის გაგება მხოლოდ მეექვსე და მეცხრეკლასელებში ხდება, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს მორალური განვითარების დონეებს შორის არსებულ განსხვავებებზე: მეექვსეკლასელები, რომლებიც გადადიან პრეკონვენციონალურიდან კონვენციონალურ ეტაპზე, ყურადღებას აქცევენ ზღაპარში არსებულ იმ მომენტებს, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვას უკავშირდება. შესაბამისად, ბიჭის მიერ პირობის დარღვევა აღიქმება, როგორც არასწორი ქცევა, სხვისი მოლოდინების არგამართლება (მესამე საფეხური) და, ასევე, იმ წესების და ნორმების დარღვევა, რომლებიც დადგენილია საზოგადოების მიერ (მეოთხე საფეხური).

“წიქარას” ნარატიულ ანალიზში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ წიქარა მეგობრობის ლიმიტზე მიუთითებს, არ იქნა დადასტურებული ბავშვების პასუხებით.

ანალიზი აჩვენებს, რომ მესამე და მეექვსე კლასებში ძირითადად ბიჭთან ხდება იდენტიფიკაცია, მეცხრეში კი – ნიქარასთან. სავარაუდოა, რომ რადგან ასაკის მატებასთან ერთად ვცდილობთ დავმალოთ ჩვენი “სისუსტეები” – ის, რაც სხვის თვალში “ბავშვურს” გამოგვაჩენს – უფროსი ასაკის ბავშვები ამბობენ, რომ მათ ნიქარას ძლიერ გმირთან უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე ბიჭთან, რომელიც მუდმივ მფარველობას საჭიროებს. თუმცა, განვითარების ეტაპი არაა ამ განსხვავების ერთადერთი ამხსნელი. ბავშვების პასუხები კითხვაზე, თუ რითი გვანან ბიჭს ან ნიქარას, მიუთითებენ იმაზე, რომ ერთი და იმავე ასაკის ბავშვებიც კი სხვადასხვა მსგავსებას პოულობენ გმირებთან: ზოგისთვის ეს მეგობრების სიყვარული, ერთგულება და თავგანწირვის უნარია, ზოგისთვის კი – ემოციურობა, წინდაუხედაობა და პესიმიზმი. ეს განსხვავებები კიდევ ერთხელ ამყარებს “ნაცარქექიას” ანალიზისას გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბავშვები ზღაპრის ინტერპრეტაციას არაერთგვაროვნად ახდენენ იმის მიხედვით, თუ რა ცოდნა, გამოცდილება და პრობლემა აქვთ განვითარების მოცემულ ეტაპზე.

მიუხედავად იმისა, რომ მესამეკლასელებს ბიჭის ცხოვრება მეგობრის სიკვდილის შემდეგ უფრო მუქ ფერებში წარმოუდგენიათ, ვიდრე მათზე უფროსებს, მაინც პატარებს უფრო უფრო მონონთ ნიქარა მისი ტრაგიკული დასასრულის მიუხედავად. უფროს ბავშვებში “ნიქარას” არ მონონების ერთ-ერთი მიზეზი მისი ტრაგიკული დასასრულია. ისინი გამოთქვამენ შფოთვას იმის თაობაზე, რომ პატარა ბავშვებისთვის, რომლებსთვისაც ზოგადად გამიზნულია ზღაპრები, ასეთი დასასრული მიუღებელია. თუმცა, როგორც უკვე ბევრჯერ აღინიშნა, აზრი, იმის შესახებ, რომ ზღაპრები მხოლოდ ბავშვებისთვისაა მცდარია, ისევე, როგორც აზრი, იმის შესახებ, რომ ბავშვებიც ისე გაიგებენ ნაკითხულ თუ მოსმენილ ზღაპარს, როგორც ეს დიდებს ესმით.

დასკვნები

მოცემულ ნაშრომში ზღაპრები განხილულია, როგორც მორალური განათლების ალტერნატიული და ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც მეტაფორების საშუალებით მკითხველს მორალური პრინციპების წვდომაში ეხმარება. ბეთელჰაიმის (1976), რაფელის (2011) და სხვა ავტორების თეორიების კრიტიკული ანალიზსა და სინთეზს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ:

- ზღაპრებს, რომლებსაც არც ბედნიერი დასასრული აქვთ და არც ბეთელჰაიმის მიერ აღწერილი, “კარგი” ზღაპრისთვის საჭირო სხვა მახასიათებლები, მაინც ეფექტურად შეუძლიათ გადასცენ ბავშვებს მორალური პრინციპები მათთვის გასაგებ ენაზე - მეტაფორების საშუალებით.
- მეტაფორა უფრო ძლიერია, ვიდრე სიმბოლო, რადგან ის არა მხოლოდ კონკრეტულ საგანს ან მოვლენას ეხება, არამედ გვეხმარება ამ საგნისა და მოვლენის მნიშვნელობის გარკვევაში და მის შესახებ ჩვენს წარმოდგენებსა და აზროვნებას განსაზღვრავს.
- ზღაპრებში არსებული მეტაფორები რეალობას ასახავენ და ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე მნიშვნელოვან მორალურ და ცხოვრებისეულ გაკვეთილებს გადასცემენ.
- მეტაფორების გაგება, რაც წინასწარ ცოდნას თუ რაიმე განსაკუთრებული უნარების ქონას არ საჭიროებს, მკითხველს შესაბამის სიტუაციებში სწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგებს: იგი მორალურად გამართლებულ ქცევას სასურველად წარმოაჩენს, ხოლო მორალურად გაუმართლებელ საქციელს - არასასურველად.

- “კარგი” ზღაპრის მთავარი ღირსებაა ის, რომ იგი არასდროს გვეკარნახობს, როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ სიტუაციაში, არამედ მისი სიუჟეტის ანალიზის შედეგად მკითხველი თავად წყვეტს, თუ როგორი საქციელია უფრო გამართლებული.

ოთხი ყველასთვის კარგად ცნობილი ქართული ზღაპრის ნარატიული ანალიზი მიუთითებს, რომ:

- ბედნიერი დასასრული არაა ზღაპრების ერთადერთი ღირსება და არც გმირების ამბივალენტურობაა მკითხველის გირთან იდენტიფიცირების ერთადერთი წინაპირობა. ისეთ ზღაპრებს, რომლებიც ბედნიერად არ სრულდება და ამბივალენტური გმირები ჰყავს, მაინც შეუძლიათ მკითხველის ეფექტურად სწავლება მეტაფორების საშუალებით.
- ზღაპრებში არსებულ მეტაფორებს შეუძლიათ დაეხმარონ ბავშვებს ისეთი აბსტრაქტული ცნებებისა და პრინციპების წვდომაში, რომლებიც სხვაგვარად მათთვის გაუგებარია. მეტაფორები მორალურად გამართლებულ და გაუმართლებელ ქცევებს ხატებად აქცევენ. დადებითი მეტაფორა მიმზიდველს და საინტერესოს ხდის მორალურ საქციელს, უარყოფითი მეტაფორა კი მკითხველს ამორალური ქცევის შედეგებს აჩვენებს და მსგავსი ქცევებისგან თავის არიდებისკენ უბიძგებს.
- კარგი ზღაპრის სიუჟეტი ისეა აგებული, რომ მკითხველის ანალიზი სწორი დასკვნების გამოტანით მთავრდება - დასკვნების, როლებიც მისთვის უფრო ადვილად ინტერნალიზებადია, ვიდრე სხვის მიერ გაკეთებული და გადმოცემული ანალოგიური დასკვნები. მკითხველისთვის გარკვეული

რეალობის გაანალიზების შესაძლებლობის მიცემით და სწორი არჩევანის წახალისებით იმის შესახებ, თუ ვინ გვინდა ვიყოთ ამა თუ იმ სიტუაციაში, ზღაპრები მორალური სწავლების ალტერნატივას ქმნიან.

კვლევის მეორე ნაწილი, რომელშიც “წიქარას” და “ნაცარქექიას” ბავშვებისეული გაგებაა გაანალიზებული, ადასტურებს ამ ზღაპრების ნარატიულ ანალიზში გამოთქმულ მოსაზრებათა უმრავლესობას. შედეგების ანალიზს შემდგომ დასკვნებამდე მივყავართ:

- ასაკის მიუხედავად, ბავშვები ადეკვატურად სწვდებიან და იგებენ ზღაპრის ძირითად გზავნილებს. არსებული კვლევების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ 10 წლამდე ბავშვები ვერ იგებენ ნარატივის მთავარ აზრს, 7 წლის ბავშვების პასუხები მიუთითებს, რომ მათ შეუძლიათ გაიგონ ზღაპრის მთავარი აზრი, რომელიც განსხვავდება ზღაპრის უბრალო შეჯამებისგან.
- იმისათვის, რომ გაგებულ იქნას ზღაპრის მთავარი იდეა, არ არის აუცილებელი, რომ მას ბედნიერი დასასრული ჰქონდეს და მკვეთრად გამოხატული „კარგი“ და „ცუდი“ გმირები ჰყავდეს. იმ შემთხვევაშიც, როცა ზღაპრის მთავარი გმირი არ შეესაბამება მიღებულ სტერეოტიპს და ამბივალენტურია, ბავშვები კარგად ორიენტირებენ ზღაპრის საკმაოდ არაერთმნიშვნელოვან სიუჟეტში, სწვდებიან მის შინაარსს და ძირითად იდეას, რაშიც უდიდესი წვლილი მათი მეტაფორული ენით, ხატების მეშვეობით გადმოცემას მიუძღვის.
- იმ ფონზე, რომ ზღაპრების მთავარი გზავნილი სწორად და, შეიძლება ითქვას, მსგავსად არის გაგებული სხვადასხვა ასაკის ბავშვების მიერ, დამოკიდებულება ზღაპრის მთავარი გმირისადმი, მისი ქმედებების შეფასება იცვლება ბავშვების ასაკის მიხედვით. ზღაპრის გმირისა და სიტუაციისადმი დამოკიდებულების

ცვლილება ასაკთან ერთად შეესაბამება მორალური მსჯელობის განვითარების სტადიებს:

- ✓ 7-8 წლის ბავშვების პასუხები მორალური განვითარების I სტადიის მეორე საფეხურს შეესაბამება; ამ ასაკის ბავშვები ზღაპრის ძირითად იდეას სარგებლობის მიღებაში ხედავენ, ხოლო გმირის მოქმედებების ზნეობრივი შეფასება მათ პასუხებში არ ვლინდება;
- ✓ 11—12 წლის ბავშვების პასუხების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მათი ზნეობრივი ცნობიერება ერთგვარი ნარევია, გარდამავალი საფეხური სინამდვილის, მათ შორის ზღაპრის რეალობისა და მისი ძირითადი იდეის უშუალო აღქმასა თუ შეწყნარებასა და ზნეობრივ ჭრილში მათ შეფასებას შორის. მათ უკვე ხელეწიფებათ მორალურ კატეგორიებში მსჯელობა, თუმცა, ამავე დროს მათ პასუხებში უფრო ხშირად სარგებლობის მიღების მოტივი პრევალირებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მორალური მსჯელობის განვითარების II სტადიის მე-3 საფეხურზე იმყოფებიან.
- ✓ 14—15 წლის მოზარდების პასუხები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ზღაპრის რეალობას და მის ძირითად გზავნილს ზნეობრივი კატეგორიების ჭრილში აღიქვამენ. მათ პასუხებში მოცემულია ზღაპრის გმირის მოქმედებებისა და იქ განვითარებული მოვლენების ზნეობრივი შეფასება, მითითებულია საზოგადოებაში მიღებული წესებისა და ღირებულებების დაცვის აუცილებლობა, წესიერების დაცვის საჭიროება სხვებთან მიმართებაში, თუნდაც ეს იყოს ანტიგმირი - დევი; მათი მორალური მსჯელობის განვითარება შეესაბამება II სტადიის მე-4 საფეხურს. ამ ასაკის მოზარდები უკვე მსჯელობენ სხვისი უფლებების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობაზე, მიცემული პირობისა და ვალდებულებებისადმი ერთგულების საჭიროებაზე;

- ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ზღაპრები წარმოადგენს არა მხოლოდ მორალური განათლების ალტერნატივას, არამედ, აგრეთვე, მორალური განვითარების საკმაოდ ეფექტურ სადიაგნოსტიკო საშუალებასაც.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვების პასუხები ადასტურებს ზღაპრების ნარატიულ ანალიზში მოყვანილ მოსაზრებებს. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრების ნარატიულ ანალიზში იყო ისეთი თემებიც, რომლებიც ბავშვებს არ უხსენებიათ, მათი პასუხები მიუთითებს, რომ “ნაცარქექიას” და “წიქარას” ძირითადი გზავნილები და მეტაფორები გაგებულ იქნა. უფრო მეტიც, ბავშვების პასუხები იმაზე ღრმა და მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ზღაპრების ნარატიულ ანალიზში იყო ნავარაუდები - მათ ახალი თემები, ახალი აზრი აღმოაჩინეს ზღაპრებში, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციას უნდა ასრულებდნენ მორალურ განვითარებაში, ვიდრე ის გზავნილები, რომლებიც ზღაპრების ნარატიულ ანალიზში იქნა იდენტიფიცირებული.

კვლევის შეზღუდვები და რეკომენდაციები სამომავლო კვლევებისთვის

კვლევის რამდენიმე შეზღუდვა აქვს: პირველი მეთოდოლოგიური შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვების პასუხების კოდირება მხოლოდ ჩემს მიერ მოხდა. როგორც წესი, თვისებრივი კვლევისას, ორმაგი კოდირება სხვადასხვა მკვლევარის მიერ გაზრდიდა კვლევის სანდოობას. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ კვლევა ინდივიდუალური სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში შესრულდა, რაც სხვა მკვლევრების თანამონაწილეობას გამორიცხავს.

მეორე შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვების გამოკითხვა მხოლოდ იმ ზღაპრების შესახებ მოხდა, რომლებიც თავიდანვე “კარგ და ეფექტურ” ზღაპრებად იყო მიჩნეული იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მათ ნარატიულ ანალიზშია

წარმოდგენილი. შესაბამისად, კვლევა ამტკიცებს, რომ ბავშვები მათგან სასარგებლო გზავნილებს იღებენ. თუმცა, იმის გამო, რომ ბავშვებს არ ვკითხეთ იმ ზღაპრების შესახებ, რომლებიც მოცემულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს ან სხვა ლიტერატურულ ჟანრს (მაგ. იგავი, მითი და ა.შ.) მიეკუთვნება, ნაშრომში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ზღაპრები ყველა სხვა დანარჩენ ლიტერატურაზე უკეთ ახერხებენ ბავშვების რელობაში ორიენტირებას და მორალური გზავნილის გადაცემას, მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში დასტურდება.

მომავალი კვლევები უნდა დაეთმოს არა მხოლოდ ზღაპრების, არამედ სხვა საბავშვო ლიტერატურის შესწავლას და მოხდეს მათი შედარებითი ანალიზი. ასევე მნიშვნელოვანია იმ კავშირების გამორკვევა, რაც ზღაპრების თემის წვდომასა და ინდივიდის კოგნიტურ, მორალურ და ემოციური განვითარების თავისებურებებს შორის არსებობს. სასარგებლო და პრაქტიკული იქნება იმის კვლევა, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ უფროსებმა, რათა გაუადვილონ ბავშვებს ზღაპრების მნიშვნელოვანი გზავნილების გაგება. მაგალითად, შეუძლია თუ არა კარგად მოფიქრებულ კითხვებს უფროსის მხრიდან ან საკლასო დისკუსიას ზღაპრის მოსმენის შემდეგ გააუმჯობესოს მისი ძირითადი გზავნილების წვდომა და გაზარდოს ის ეფექტი, რასაც ნარატივი ბავშვების იდენტობის ჩამოყალიბებაზე ახდენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aarne, A. (1928). *The Types of the Folk-Tale*. Translated and Enlarged by Stith Thompson, Helsinki: Academia Scientarum Fennica.
2. Aarne, A., & Thompson, S. (1961) *The Types of the Folktale. A Classification and Bibliography*. Helsinki: Academia Scientarum Fennica.
3. Bettelheim, B. (1976). *The Uses of Enchantment. The Meaning and Importance of Fairy Tales*. New York: Random House.
4. Blaikie, N. (2000). *Designing Social Research: The Logic of Anticipation*. Cambridge: Polity Press.
5. Blum, A., & McHugh, P. (1984). *Self-Reflection in the Arts and Sciences*. Atlantic Highlands: Humanities Press.
6. Bong, Sharon A. (2002). Debunking Myths in Qualitative Data Analysis [44 paragraphs]. *Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research*, 3(2), Art. 10, <http://nbnresolving.de/urn:nbn:de:0114-fqs0202107>
7. Chesterton, G. (1908). *All Things Considered*. London: Methuen & Co.
8. Chikovani, M. (1952). *The History of Georgian Folklore*. Tbilisi: Scientific-Methodic Publishing. (Georgian source)
9. Chikovani, M. Y. (Ed.). (1999). *Georgian Folk Tales*. (N. Dolidze, & D. Hunt, Trans.) Tbilisi: Merani Publishing House.

10. Cholokashvili, R. (2004). *The Signs of Archaic Beliefs and Ideas in Folktales*. Tbilisi: Nekeri. (Georgian source)
11. Crotty, M. (1998). *The Foundations of Social Research: meaning and Perspective in the Research Process*. London: Sage Publications.
12. Denzin, N. K., & Lincoln, Y. S. (Eds.). (1998). *Strategies of Qualitative Inquiry*. Thousand Oaks: Sage Publications.
13. Denzin, N. K. (2004). Symbolic Interactionism. In U. Flick, E. Kardorff, & S. Ines (Eds.), *A Companion to Qualitative Research* (pp. 81-87). London: Sage Publications.
14. Elliot, J. (2005). *Using Narrative in Social Research*. London: Sage Publications.
15. Flick, U. (2004). Constructivism. In U. Flick, E. Kardorff, & I. Steinke (Eds.), *A Companion to Qualitative Research* (pp. 88-94). London: Sage Publications.
16. Freud, S. (1913). *The Interpretation of a Dream*. London: Allen.
17. Gillespie, A., & Zittoun, T. (2010). Using resources: Conceptualizing the mediation and reflective use of tools and signs. *Culture & Psychology*, (16:1, pp. 37-62). doi: 10.1177/1354067X09344888
18. Goldman, S. R., Reyes, M., and Varnhagen, D. (1984). Understanding fables in first and second languages. *NABE Journal*. (8:2, pp. 35-66)
19. Kiknadze, Z. (2001). *Georgian Folk Epos*. Tbilisi: Logos Presi. (Georgian source)

20. Kohlberg, L. (1964). Development of Moral Character and Moral Ideology. In M. Hoffman, & L. Hoffman (Eds.), *Review of Child Development Research* (Vol. 1, pp. 381-431). New York: Russel Sage Foundation.
21. Lakoff, G., & Johnson, M. (1980). *Metaphors We Live By*. Chicago: The University of Chocago Press.
22. Lakoff, G. (1993). The Contemporary Theory of Metaphor. In A. Ortony (Ed.), *Metaphor and Thought* (pp. 203-249). Cambridge: Cambridge University Press.
23. Lehr, S. (1991). *The Child's Developing Sense of Theme*, Teachers College Press, New York.
24. Lewis, C. (1966). *Of Other Worlds*. New York: Harcourt, Brace & Worlds, Inc.
25. Opie, I., & Opie, P. (1974). *The Classic Fairy Tales*. London: Oxford University Press.
26. Perfetti, C. A. (1994). Psycholinguistics and reading ability. In Gernsbacher, M. A. (ed.), *Handbook of Psycholinguistics*, Academic Press, San Diego, pp. 849–894.
27. Piaget, J. (1965). *The Moral Judgment of the Child*. New York: The Free Press.
28. Polkinghorne, D. E. (1988). *Narrative Knowing and the Human Sciences*. Albany: State University of New York Press.
29. Prior, L. (1997). Following in Foucault's Footsteps: Text and Context in Qualitative Research. In D. Silverman (Ed.), *Qualiatative Research: Theory, Method and Practice* (pp. 63-79). London: Sage.

30. Prior, L. (2004). Doing Things with Documents. In D. Silverman (Ed.), *Qualitative Research: Theory, Method and Practice* (pp. 76-93). London: Sage.
31. Propp, V. (1968). *Morphology of the Folktale*. Austin, Texas: University of Texas press.
32. Raffel, S. (2004). Teaching Social Rules: The Perspective of the York Project. *Childhood*, 117-128.
33. Raffel, S. (2011). *Symbols versus Metaphors in work of Bruno Bettelheim*. Unpublished.
34. Riessman, C. K. (1993). *Narrative Analysis*. Newbury Park: Sage Publications.
35. Ritchie, J., Spencer, L., & O'Connor, W. (2003). Carrying out Qualitative Analysis. In J. Ritchie, & J. Lewis, *Qualitative Research Practice: a Guide for Social Science Students and Researchers* (pp. 219-262). London: Sage.
36. Richards, L. (2005). Coding. In L. Richards, *Handling qualitative data* (pp.85-104). London: Sage
37. Saldana, J. (2009). First Cycle Coding Methods. In J. Saldana, *The Coding Manual for Qualitative Researchers* (pp. 45-145). London: Sage.
38. Spence D. P. (1982) *Narrative Truth and Historical Truth: Meaning and Interpretation in Psychoanalysis*. New York: Norton.
39. Taylor, K. (1986). Summary writing by young children. *Reading Research. Quarterly.*(21, pp. 193–207).

40. Thompson, R. (2002). Reporting the Results of Computer-assisted Analysis of Qualitative Research Data. *Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research*, 3(2), Art. 25, <http://nbn-resolving.de/urn:nbn:de:0114-fqs0202252>.
41. Todd, Z., & Harrison, S. J. (2008). Metaphor Analysis. In S. N. Hesse-Biber, & P. Leavy (Eds.), *Handbook of Emergent Methods* (pp. 479-493). New York: The Guilford Press.
42. Tolkien, J. R. (1988). On Fairy-Stories. In J. R. Tolkien, *Tree and Leaf* (pp. 9-73). London: Unwin Hyman Limited.
43. Uther, H. J. (2004). *The Types of International Folktales: A Classification and Bibliography*. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Helsinki: Academia Scientarum Fennica.
44. Von Franz, M.L. *Interpretation of Fairy Tales*. Spring Publications. Dallas. 1982.
45. Zipes, J. (1979). *Breaking the Magic Spell: Radical Theories of Folk and Fairy Tales*. New York: Routledge.

დანართი 1

კითხვები “ნაცარქექიას” შესახებ

სახელი _____

ასაკი _____

კლასი _____

გქონდა თუ არა აქამდე წაკითხული “ნაცარქექია”? _____

გიყვარს თუ არა ზღაპრების კითხვა? _____

1. როგორ ფიქრობ, რას ეხება ეს ზღაპარი (რა არის მისი მთავარი თემა/აზრი?)
2. როგორ ფიქრობ, რას გვასწავლის ეს ზღაპარი?
3. როგორ ფიქრობ, რამდენი წლის იყო ნაცარქექია?
4. როგორ ფიქრობ, როგორ გავრძელდებოდა ნაცარქექიას ცხოვრება სახლიდან არ წასულიყო?
- 4ა. როგორ ფიქრობ, სწორად მოიქცა ნაცარქექია სახლიდან წასვლა რომ გადაწყვიტა?
- 4ბ. რატომ ფიქრობ ასე?
5. რომელ პერსონაჟთან უფრო იმეგობრებდი ნაცარქექიასთან თუ ღვეთან?
- 5ა. ახსენი რატომ
6. რითი გავხარო შენ და ნაცარქექია ერთმანეთს?
7. რა არის ის მთავარი, რასაც მიაღწია ნაცარქექიამ?

8. რისი საშუალებით მოიპოვა?

9. მოგეწონა ეს ზღაპარი?

9ა. ახსენი რატომ (მოგეწონა ან არ მოგეწონა)

10. ჩამოთვლილთაგან რა არის ყველაზე მთავარი, რასაც ეს ზღაპარი გვასწავლის?

(შემოხაზეთ 3 პასუხი)

- a) სიზარმაცე არ არის ცუდი თვისება
- b) ყველაზე ზარმაც და სუსტ ადამიანსაც შეუძლია წარმატებას მიაღწიოს, თუ ეცდება ჭკვიანურად გამოიყენოს ის, რაც აქვს
- c) იმისთვის რომ წარმატებას მიაღწიო, აუცილებელია სახლიდან გახვიდე
- d) შიში ბუნებრივია და მის გამო უკან არ უნდა დავიხიოთ
- e) გონებით და მოხერხებით შესაძლებელია ძალის დამარცხება
- f) ხანდახან უნდა მოიტყუო იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიო
- g) არ უნდა შეგვეშნდეს მათი, ვინც ჩვენზე დიდი და ძლიერია
- h) სხვისი სახლ-კარის მითვისება ხანდახან გამართლებულია
- i) როდესაც ძალა არ გყოფნის, ჯობია ჭკუა გამოიყენო

11. შენ რომ ყოფილიყავი ნაცარქექიას ადგილას, როგორ მოიქცეოდი?

- a) არ წავიდოდი სახლიდან
- b) შევებრძოლებოდი დევს
- c) შეუმჩნევლად ავუვლიდი დევს გვერდს

d) ისე მოვიქცეოდი, როგორც ნაცარქექია მოიქცა

12. რომ გთხოვო ზღაპარს სხვა დასასრული მოუფიქრო, როგორ დაასრულებდი მას?

კითხვები “წიქარას” შესახებ

სახელი _____

ასაკი _____

კლასი _____

გქონდა თუ არა აქამდე წაკითხული “წიქარა”? _____

გიყვარს თუ არა ზღაპრების კითხვა? _____

1. როგორ ფიქრობ, რას ეხება ეს ზღაპარი (რა არის მისი მთავარი თემა/აზრი)?

2. როგორ ფიქრობ, რას გვასწავლის ეს ზღაპარი?

3. როგორ ფიქრობ, რამდენი წლისაა ბიჭი?

4. როგორ ფიქრობ, რამდენი წლის იქნებოდა წიქარა?

5. როგორ ფიქრობ, როგორი იქნებოდა ბიჭის ცხოვრება წიქარა რომ არ ყოფილიყო?

6. რომელ პერსონაჟთან უფრო იმეგობრებდი - ბიჭთან თუ წიქარასთან?

6ა. ახსენი რატომ

7. რომელი პერსონაჟი უფრო მეტად გგავს შენ - ბიჭი თუ წიქარა?

7ა. რითი გგავს?

8. როგორ ფიქრობ, რა იყო წიქარას სიკვდილის მიზეზი?

9. როგორ თქვით, როგორ გაგრძელდებოდა ბიჭის ცხოვრება წიქარას სიკვდილის შემდეგ?

10. მოგეწონა ეს ზღაპარი?

10.ა რატომ მოგეწონა? ან რატომ არ მოგეწონა?

11. ჩამოთვლილთაგან რა არის ყველაზე მთავარი, რასაც ეს ზღაპარი გვასწავლის?
(შემოხაზეთ 3 პასუხი)

a) ნამდვილი მეგობარი ყოველთვის შენს გვერდითაა, როდესაც შენი გასაჭირის შესახებ იგებს

b) ადამიანის ცხოვრება ბედნიერი და დარდიანი დღეების მონაცვლეობაა

c) ამდვილი მეგობრობა ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს ხდის

d) ზოგჯერ საუკეთესო მეგობარსაც არ შეუძლია შენი დახმარება

e) ადამიანებს შერთ სხვისი ბედნიერების

f) ცხოველი ადამიანის საუკეთესო მეგობარია

g) ყველა ადამიანს არ უნდა ენდო

h) ნამდვილმა მეგობარმა სიცოცხლეც უნდა განიროს მეგობრისთვის

i) როგორც კი მეგობრისთვის მიცემულ პირობას გატეხავ, მაშინვე ხიფათს გადაეყრები

12. შენ როგორ მოიქცეოდი ბიჭის ადგილას რომ ყოფილიყავი?

13. შენ როგორ მოიქცეოდი წიქარას ადგილას რომ ყოფილიყავი?

14. რომ ვთხოვო ზღაპარს სხვა დასასრული მოუფიქრო, როგორ დაასრულებდი მას?

დანართი 2

“ნაცარქექია”, III კლასი

პირველადი კოდი	მეორადი კოდი	წყარო	რეფერენსი
გქონდა თუ არა წაკითხული ნაცარქექია აქამდე?	კი	18	18
	არა	2	2
გიყვარს თუ არა ზღაპრების კითხვა?	კი	20	20
ვისთან იმეგობრებდი?	ღვეთან	3	4
	ნაცარქექიასთან	17	17
მთავარი თემა	უშიშრობა, გამბედაობა	4	4
	ემშაკობა	1	1
	მოხერხებულობა	15	15
	ადამიანის სახლიდან გაგდება არ შეიძლება	1	1
	სიძლიერე	1	1

	სიჭკვიანე	4	4
	ტყუილი	2	2
მოგეწონა თუ არა და რატომ?	მომეწონა	20	20
მსგავსება ნაცარქექიასთან	ადამიანობით	1	1
	მეგობრულობა	1	1
	მოხერხებულობა	9	9
	სიზარმაცე	2	2
	სიკეთე	1	1
	სიჭკვიანე	3	3
	უშიშრობა	6	6
	შიშს არ ვიმჩნევ	1	1
	წინდახედულობა	1	1
ნაცარქექიას მიღწევა	ღვევების დამარცხება	1	1

	რძალთან შერიგება	6	6
	სიმდიდრე	16	16
	შეიცვალა	1	1
	შიში დაძლია	6	9
რას გვასწავლის "ნაცარქექია"	არ ვიზარმაცოთ	1	1
	არ მოვიტყუოთ	2	2
	თავის დაცვას	1	1
	მეგობრობას	1	1
	მოხერხებულობა	14	15
	უშიშრობა	5	5
	სიჭკვიანე	3	3
როგორ გაგრძელდებოდა ნაცარქექიას ცხოვრება სახლიდან რომ არ წასულიყო?	ისევ ისე	5	5
	სხვა	5	5
	უინტერესოდ	2	2

	უსაქმურად	10	10
	ცუდად	3	3
საშუალება, რითიც ნაცარქექიამ წარმატებას მიაღწია	სიჭკვიანე	2	2
	მოხერხებულობა	9	9
	სახლიდან წამოსვლა	2	2
	ტყუილი	2	2
	უშიშრობა	6	6
ნაცარქექიას სახლიდან წასვლა	არასწორად მოიქცა	1	1
	სწორად მოიქცა, რომ წავიდა	19	20
სხვა დასასრული	ასევე დავტოვებდი	5	5
	ნაცარქექიას შვილები ეყოლოს	8	8
	სხვა	7	7
	ნაცარქექიას ასაკი	19	19

	ნაცარქექია შეიცვალა	2	3
--	---------------------	---	---

“ნაცარქექია”, VI კლასი

პირველადი კოდი	მეორადი კოდი	წყარო	რეფერენსი
ვისთან იმეგობრებდი?	დევთან	7	7
	ნაცარქექიასთან	18	18
მთავარი თემა	მოხერხებულობა	10	10
	როგორ მოვერიოთ ძლიერებს სიეშმაკით	2	2
	სიჭკვიანე	4	4
	ტყუილი	1	1
	უსაქმურობა	5	5
	უშიშრობა	3	3
	ყველაზე სუსტ ადამიანსაც შეუძლია ღირსეული გახდეს	1	1
მოგეწონა თუ არა და რატომ?	მეტ-ნაკლებად ან არა	3	3
	მომეწონა	22	22

მსგავსება ნაცარქექიასთან	არაფერი	10	10
	მოხერხებულობა	5	5
	სიზარმაცე	5	5
	სიჭკვიანე	3	3
	სხვა	1	1
	ტყუილის თქმა	1	1
ნაცარქექიას მიღწევა	ღვევების დამარცხება	7	7
	სიმდიდრე	13	13
	შეიცვალა	5	6
	ჭკუით დაამარცხა ძალა	1	1
რას გვასწავლის	არ ვიზარმაცოთ	8	9
	არ მოვიტყუოთ	1	1
	გამბედაობა	2	2
	მოხერხებულობა	8	8

	სიჭკვიანე	2	2
	ტყუილს	1	1
	ჭკუის გამოყენება ძალის ნაცვლად	8	8
როგორ გაგრძელდებოდა ნაცარქექიას ცხოვრება?	გამოსწორდებოდა	1	1
	სხვა	3	3
	უაზროდ, ერთფეროვნად	4	4
	უსაქმურად	15	15
	ღარიბი იქნებოდა	1	1
	ცუდად	4	4
საშუალება, რითიც ნაცარქექიამ წარმატებას მიაღწია	მოხერხებულობა	10	10
	სიჭკვიანე	13	13
	სხვა	1	1
	ტყუილი	5	5

	უშიშრობა	1	1
სახლიდან წასვლა	არ უნდა წასულიყო	2	2
	სწორად მოიქცა რომ წავიდა	23	23
სხვა დასასრული	დაქორწინდებოდა	2	2
	ღვევებს არ გავაგდებდი	2	2
	იგივეს დავტოვებდი	2	2
	ისევ ბუხართან დავსვამდი	1	1
	ნაცარქექია გამოსწორდებოდა	4	4
	ნაცარქექია ღვევების სახლში იცხოვრებდა	3	3
	სხვა	10	10
	ხერხი ჯობია ღონესა	2	2
	ნაცარქექია შეიცვალა	5	7
	ნაცარქექიას ასაკი	25	25

“ნაცარქექია”, IX კლასი

პირველადი კოდი	მეორადი კოდი	წყარო	რეფერენსი
ვისთან იმეგობრებდი?	დევთან	6	6
	ნაცარქექიასთან	9	9
მთავარი თემა	ზოგჯერ ტყუილი საჭიროა	2	3
	მოხერხებულობა	5	5
	სიზარმაცე	4	4
	სხვა	4	4
	ყველა ადამიანში არის პოტენციალი	2	2
მოგეწონა თუ არა და რატომ?	მეტ-ნაკლებად ან არ მომეწონა	4	4
	მომეწონა	12	12

მსგავსება ნაცარქექიასთან	არაფერი	7	7
	გონებით	2	2
	მოხერხებულობა	1	1
	სიზარმაცით	3	3
	ტყუილით	1	1
	წინდახედულობით	1	1
ნაცარქექიას მიღწევა	დაამტკიცა რომ ყველაზე სუსტსაც შეუძლია იყოს წარმატებული	3	3
	ღვეის დამარცხება	1	1
	რძლის პატივისცემა	5	5
	სიმდიდრე	6	6
	სხვა	1	1
რას გვასწავლის ?	არ ვიზარმაცოთ	4	4
	არ ვიყოთ გულუბრყვილოები	1	1

	არ მოვიტყუოთ	2	2
	მიმღებლობა	3	3
	მონდომება	2	3
	მოხერხებულობა	3	3
	უშიშრობა	1	1
	ცოდნა, განათლება	2	2
	ჭკუის გამოყენება ძალის ნაცვლად	2	2
როგორ გაგრძელდებოდა ნაცარქექიას ცხოვრება?	თავდასავლის გარეშე	1	1
	ისევ ისე	13	13
	ცუდად	2	2
საშუალება, რითიც ნაცარქექიამ წარმატებას მიაღწია	მონდომება	1	1
	მოხერხებულობა	7	7
	სიჭკვიანე	4	4

	ტყუილი	7	7
სახლიდან წასვლა	არ უნდა წასულიყო	1	1
	სწორად მოიქცა რომ წავიდა	15	15
სხვა დასასრული	დევებს არ გაყრიდა	4	4
	იგივენაირად	5	5
	ნაცარქექია გამოსწორდებოდა	4	4
	ნაცარქექია დევების სახლში დასახლდა	1	1
	სხვა	2	2
	ხერხი სჯობია ღონესა	2	2
	ნაცარქექია შეიცვალა	2	3
	ნაცარქექიამ შესაძლებლობების რეალიზაცია მოახდინა	4	4
	ყველაზე სუსტსაც შეუძლია იყოს წარმატებული	4	4

	ნაცარქეჩიას ასაკი	16	16
--	-------------------	----	----

“წიქარა”, III კლასი

პირველადი კოდი	მეორადი კოდი	წყარო	რეფერენსი
ბიჭის ადგილზე როგორ მოიქცეოდი?	ბიჭისნაირად	6	6
	სხვა	2	2
	სხვანაირად	8	8
ბიჭის ცხოვრება წიქარას გარეშე	დედინაცვალი მოკლავდა	6	6
	მოსაწყენი	7	7
	მონწყენილი	11	11
	უმეგობრო	3	3
ვისთან იმეგობრებდი?	ორივე	1	1
	წიქარასთან	16	17
მთავარი თემა	გასაჭირში დახმარება	2	2
	ერთგულება	1	1

	მეგობრისთვის თავის განწირვა	2	2
	მეგობრობა	14	14
	სიკეთე	7	7
	სიყვარული	4	4
	სხვა	1	1
მოგეწონა თუ არა და რატომ?	მომეწონა	17	17
რას გვასწავლის?	გასაჭირში დახმარება	8	8
	ერთგულება	1	1
	მეგობრობა	7	7
	სიკეთე	6	6
	სიყვარული	5	5
	სხვა	3	3
	უშიშრები ვიყოთ	2	2

რომელი პერსონაჟი გგავს და რითი?	ბიჭი	10	10
	წიქარა	7	7
სხვა დასასრული	ბედნიერი დასასრული	15	15
	სხვა	3	3
ბიჭის ცხოვრება წიქარას სიკვდილის შემდეგ	დარდიანი	12	12
	დედინაცვალი ცემდა ან მოკლავდა	6	6
	თავს დაადანაშაულებდა	1	1
	უაზრო	2	2
	უმეგობროდ	4	4
წიქარას ადგილზე როგორ მოიქცეოდი?	სხვა	3	3
	წიქარასნაირად	14	14
წიქარას სიკვდილის მიზეზი	თავი	7	7
	თავდადება	4	4

	პირობა	6	6
	ბიჭის ასაკი	17	17
	წიქარას ასაკი	17	17

“წიქარა”, VI კლასი

პირველადი კოდი	მეორადი კოდი	წყარო	რეფერენსი
ბიჭის ადგილზე როგორ მოიქცეოდი?	ბიჭისნაირად	11	11
	პირობას შევასრულებდი	7	7
	სხვანაირად	6	6
ბიჭის ცხოვრება წიქარას გარეშე	დედინაცვალი გაანვალებდა ან მოკლავდა	9	9
	მეგობარი დაჭირდებოდა	4	4
	მოსაწყენი	6	6
	მონწყენილი	11	11
	სხვა	5	5
ვისთან იმეგობრებდი?	ბიჭი	1	1
	ორივე	9	9
	წიქარა	15	15

მთავარი თემა	გასაჭირში დახმარება	3	3
	ერთგულება	8	8
	მეგობრობა	17	17
	სიყვარული	14	14
მოგეწონა თუ არა და რატომ?	არ მომეწონა	1	1
	მომეწონა	24	24
რას გვასწავლის?	გასაჭირში დახმარება	3	3
	ერთგულება	10	10
	თავდადება	7	7
	მეგობრობა	15	15
	სიყვარული	12	12
	სხვა	3	3
რომელი პერსონაჟი გგავს და რითი?	არც ერთი	1	1
	ბიჭი	15	15

	ორივე	1	1
	წიქარა	7	7
სხვა დასასრული	ბედნიერი დასასრული	23	23
	სხვა	2	2
ბიჭის ცხოვრება წიქარას სიკვდილის შემდეგ	ახალი მეგობარი	3	3
	მოსაწყენი	1	1
	მონწყენილი	9	9
	სხვა	11	11
	ცუდად	2	2
წიქარას ადგილზე როგორ მოიქცეოდი?	სხვანაირად	6	6
	წიქარასნაირად	20	20
წიქარას სიკვდილის მიზეზი	თავი	5	5
	თავდადება	4	4
	მეგობრობა	2	2

	პირობა	11	11
	ბიჭის ასაკი	25	25
	წიქარას ასაკი	25	25

“წიქარა”, IX კლასი

პირველადი კოდი	მეორადი კოდი	წყარო	რეფერენსი
ბიჭის ადგილზე როგორ მოიქცეოდი?	ბიჭისნაირად	3	3
	პირობას შევასრულებდი	9	9
	სხვა	3	3
	სხვანაირად	6	6
ბიჭის ცხოვრება წიქარას გარეშე	გაუჭირდებოდა	2	2
	დედინაცვალი დაჩაგრაავდა	7	7
	მონყენილი	3	3
	სხვა	1	1
	უბრალო	7	7
	ცუდი	3	3
ვისთან იმეგობრებდი?	ბიჭი	2	2
	ორივე	1	1

	წიქარა	16	16
მთავარი თემა	ერთგულება	6	6
	თავდადება	3	3
	მეგობრობა	18	18
	სიყვარული	2	2
მოგეწონა თუ არა და რატომ?	არ მომეწონა	6	6
	მომეწონა	16	16
რას გვასწავლის?	გასაჭირში დახმარება	3	3
	ერთგულება	10	10
	თავდადება	4	4
	მეგობრობა	10	10
	სიყვარული	3	3
	სხვა	3	3
რომელი პერსონაჟი გგავს	ბიჭი	4	4

და რითი?	წიქარა	15	15
სხვა დასასრული	ახალი მეგობარი	2	2
	ბედნიერი დასასრული	15	15
	იგივენაირად	1	1
	სხვა	1	1
ბიჭის ცხოვრება წიქარას სიკვდილის შემდეგ	დედინაცვალი დაჩაგრავდა	1	1
	მონყენილი	8	8
	სხვა	9	9
	უმეგობრო	5	5
	ჩვეულებრივი	2	2
წიქარას ადგილზე როგორ მოიქცეოდი?	სხვანაირად	4	4
	წიქარასნაირად	16	16
წიქარას სიკვდილის მიზეზი	თავი	5	5
	მეგობარი	2	2

ზღაპრების როლი ბავშვის მორალურ განვითარებაში

	პირობა	8	8
	სხვა	4	4
	ბიჭის ასაკი	20	20
	წიქარას ასაკი	19	19